



ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს ევროკავშირის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი(ები)

© UN Women 2018

ISBN 978-9941-8-1348-1

სარჩევი

აბრევიატურები	9
წინასიტყვაობა	10
ბადლობა	11
თავი 1. შესავალი	12
1.1 კვლევის მიმოხილვა და შეჯამება	12
1.2 კვლევის კონტექსტი საქართველოში	13
1.2.1 ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში	13
1.2.2 სოციალურ-კულტურული კონტექსტი	14
1.2.3 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სხვა კვლევებში არსებული მონაცემები	15
1.2.4 ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი ჩარჩო	16
1.3 კვლევის ამოცანები	18
1.4 ძირითადი ტერმინები და განმარტებები	19
თავი 2. მეთოდოლოგია	21
2.1 რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია	21
2.1.1 სამიზნე ერთობლიობა	21
2.1.2 კითხვარის შემუშავება და თარგმანი	21
2.1.3 ძალადობის გავრცელების გაზომვა	23
2.1.4 სავლე პერსონალის შერჩევა და ტრენინგი	25
2.1.5 შერჩევის დიზაინი და სამიზნე ერთობლიობა	26
2.1.6 კვლევის ორგანიზება და სავლე სამუშაოები	29
2.1.7 ხარისხის კონტროლის მექანიზმები	29
2.1.8 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი	30
2.1.9 ეთიკისა და უსაფრთხოების საკითხები	30
2.2 თვისებრივი კვლევა	33
2.2.1 თვისებრივი კვლევის სტრუქტურა და მონაცემთა შეგროვება	33
2.2.2 შერჩევის და სამიზნე ერთობლიობა	34
2.2.3 მონაცემთა შეგროვების პროცესი	35
2.2.4 ანალიზის სტრატეგია	36
2.2.5 ეთიკური ასპექტები	36
2.3 კვლევის ძლიერი მხარეები და შეზღუდვები	37
2.4 კვლევის ეროვნული მესაკუთრეობა და მონაწილეობა	38
თავი 3. გამოკასუების დონე და რესპონდენტთა მახასიათებლები	39
3.1 გამოკასუების დონე	39
3.1.1 შინამეურნეობების გამოკასუების დონე	39
3.1.2 ინდივიდუალური გამოკასუების დონე (ქალები)	39
3.2 რესპონდენტის კმაყოფილება ინტერვიუს დროს	40

3.3 შინამეურნეობებისა და რესპონდენტების მახასიათებლები	41
3.3.1 დემოგრაფიული ინფორმაცია	41
3.3.2 პარტნიორული ურთიერთობების სტატუსი	41
3.3.3 შინამეურნეობის მოცულობა	42
3.3.4 განათლება	42
3.3.5 დასაქმება	43

თავი 4. კაცი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება და მისი ფორმები	44
4.1 ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა	44
4.2 სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	46
4.3 ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	46
4.3.1 ძალადობის სიხშირე	46
4.3.2 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება ასაკობრივად	47
4.4 ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	47
4.5 ეკონომიკური ძალადობა	49
4.6 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება	49
4.7 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება ქალაქად და სოფლად	50
4.8 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება რეგიონების მიხედვით	50
4.9 ანალიზი	50

თავი 5. არაპარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება და მაგალითები	54
5.1 სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან	55
5.2 სექსუალური შევიწროება და ადევნება	56
5.2.1 ქალების სექსუალური შევიწროება 15 წლის ასაკიდან	56
5.2.2 ადევნება	58
5.3 ბავშვობაში გადატანილი ძალადობა და ბავშვობის ტრავმა	59
5.3.1 პირველი სქესობრივი კავშირი	60
5.3.2 არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროება და ბავშვთა მიმართ ძალადობა	60
5.3.3 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა ბავშვების თანდასწრებით	60
5.4 ძალადობის ერთიანი მაჩვენებელი	61
5.5 ანალიზი	61

თავი 6. ქალთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებები	64
6.1 ქალისა და კაცის დამოკიდებულებები ქალთა მიმართ ძალადობისადმი	65
6.2 გენდერული ურთიერთობების მიმართ დამოკიდებულებები	66
6.3 ძალადობის მიმართ დამოკიდებულებები	68
6.4 ინფორმირებულობა მომსახურებისა და კანონმდებლობის შესახებ	69
6.5 ანალიზი	71

თავი 7. პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავლენა ქალის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე	73
7.1 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები	73
7.2 ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან და ქალის საერთო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები	76
7.3 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა	77
7.4 ანალიზი	80

თავი 8. პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავლენა ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ბავშვთა კეთილდღეობაზე	82
8.1 ძალადობა ორსულობის დროს	82
8.2. გავლენა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე	83
8.2.1 მშობიარობის რაოდენობა	84
8.2.2 ჩასახვის სანინაადმდეგო საშუალებების გამოყენება	85
8.3 გავლენა ბავშვებზე	86
8.4 ანალიზი	88

თავი 9. მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობასა და სექსუალურ ძალადობრაზე ქალთა რეაგირება და დაძლევის სტრატეგიები	91
9.1 ვის უმხელენ ქალები ძალადობის ფაქტს და ვინ ეხმარება მათ?	91
9.1.1 დახმარების ძიებისა და არ მოძიების მიზეზები	93
9.2 ქალები, რომლებიც სახლიდან წასვლას ან დარჩენას ირჩევენ	95
9.3 წინააღმდეგობის განევა	96
9.4 ქალთა რეაგირება ადევნებაზე	97
9.5 ანალიზი	97

თავი 10. ქალთა მიმართ ძალადობა მონყვლად ჯგუფებში: თვისებრივი კვლევის მიგნებები	99
10.1 ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების მიმართ	99
10.1.1 ინსტიტუციური ძალადობა	100
10.1.2 მომსახურებებზე წვდომა	100
10.2 ძალადობა ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი (ლბტ) ქალების მიმართ	101
10.2.1 რელიგიური ინსტიტუტებისა და მედიის გავლენა	102
10.2.2 მომსახურებებზე წვდომა	102
10.3 ძალადობა ეთნიკური უმცირესობის ქალთა მიმართ	103
10.3.1 იძულებითი ქორწინება	103
10.3.2 ძალადობა მეუღლის/პარტნიორის და ოჯახის მხრიდან	103
10.3.3 მომსახურებებზე წვდომა	104
10.4 ძალადობა იმიგრანტი ქალების მიმართ	104

თავი 11. დასკვნები და რეკომენდაციები	106
---	------------

ცხრილების ჩამონათვალი

თავი 2	
ცხრილი 2.1: სავლეთ პერსონალის ტრენინგი, ადგილმდებარეობის მიხედვით	26
ცხრილი 2.2: შერჩეული შპე-ებისა და შინამეურნეობების განაწილება სტრატეგების მიხედვით ქალთა კითხვარისათვის	28
ცხრილი 2.3: შერჩეული შპე-ებისა და შინამეურნეობების განაწილება სტრატეგების მიხედვით კაცების განწყობებისა და დამოკიდებულებების კითხვარისათვის	28
ცხრილი 2.4: სავლეთ პერსონალის განაწილება რეგიონების მიხედვით	29
ცხრილი 2.5: თვისებრივი კვლევის სტრუქტურა	34

თავი 3	
ცხრილი 3.1: შინამეურნეობების გამოკვლევების დონე	39
ცხრილი 3.2: ინდივიდუალური გამოკვლევების დონე	40

თავი 4

ცხრილი 4.1: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების პროცენტული რაოდენობა, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან სხვადასხვა ფორმის ძალადობა განიცადა	45
ცხრილი 4.2: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გამოცდილების სიხშირე სიცოცხლის მანძილზე	47
ცხრილი 4.3: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიური ძალადობა და მაკონტროლებელი ქცევა გამოუცდიათ ამჟამინდელი ან უკანასკნელი პარტნიორის მხრიდან	48
ცხრილი 4.4: პროცენტული მაჩვენებელი ქალებისა, ვისაც ოდესმე ჰყოლია პარტნიორი და გამოუცდია ეკონომიკური ძალადობა ამჟამინდელი ან ბოლო პარტნიორის მხრიდან	49
ცხრილი 4.5: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ გამოცდილი ფიზიკური, სექსუალური, ფიზიკური ან/და სექსუალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ან/და ეკონომიკური ძალადობა	49
ცხრილი 4.6: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც განაცხადა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან განხორციელებული სხვადასხვა ტიპის ძალადობის შესახებ - ქალაქად და სოფლად	50

თავი 5

ცხრილი 5.1: არაპარტნიორის/მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის გავრცელება და მოძალადეები	55
ცხრილი 5.2: არაპარტნიორის/მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ გაუპატიურების მცდელობისა და სექსუალური ძალმომრეობის გავრცელება და მოძალადეები	56
ცხრილი 5.3: ადევნების გავრცელება 15 წლის ასაკის ზემოთ ქალებში	58
ცხრილი 5.4: ასაკი პირველი სექსუალური კავშირისას	60
ცხრილი 5.5: არაპარტნიორის მხრიდან ყველა ფორმის ძალადობის გავრცელება	60
ცხრილი 5.6: ბავშვების თანდასწრებით ძალადობის სიხშირე ქალებში, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა გამოუცდიათ	61

თავი 6

ცხრილი 6.1: იმ ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებლები, ვინც ეთანხმება უსამართლო გენდერულ ნორმებს/როლებს	67
ცხრილი 6.2: იმ ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც განაცხადა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს იცნობდა	71

თავი 7

ცხრილი 7.1: ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან მიღებული დაზიანებები	74
ცხრილი 7.2: იმ ქალების წილი, ვინც საჭირო დროს მიიღო სამედიცინო დახმარება პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად	74
ცხრილი 7.3: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობის შედეგად გაუარესებული ჯანმრთელობის სიმპტომების შესახებ განაცხადეს	77
ცხრილი 7.4: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ იმ ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შედარება, რომელთაც გამოუცდიათ და არ გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა	77
ცხრილი 7.5: იმ ქალთა შედარება, ვინც განაცხადა ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ, ბოლო ორი კვირის მანძილზე, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით	78
ცხრილი 7.6: სუიციდური აზრებისა და ქცევის შედარება ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში, მათი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით	79

თავი 8

ცხრილი 8.1: ოდესმე ორსულად მყოფ ქალებში ფიზიკური ძალადობის ფორმები	83
ცხრილი 8.2: ოდესმე ორსულად მყოფი იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც რეპროდუქციული ჯანმრთელობის უარყოფითი შედეგების შესახებ განაცხადა, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების გამო	84
ცხრილი 8.3: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი 1-2 და 2-ზე მეტი ამჟამად ცოცხალი ბავშვით, მათი პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილებაზე დაყრდნობით	85
ცხრილი 8.4: კონტრაცეპტივების გამოყენება ამჟამად პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალთა შორის, მათი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან განცდილი ძალადობის მიხედვით	85
ცხრილი 8.5: ბავშვთა ქცევითი პრობლემები იმ დედების მიხედვით, რომლებიც, სულ ცოტა, ერთ 6-12 წლის ასაკის შვილთან ერთად ცხოვრობენ	88

თავი 9

ცხრილი 9.1: რესპონდენტები, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შესახებ განაცხადეს და სხვადასხვა სამსახურებსა და დახმარების ცენტრებს მიმართეს	92
ცხრილი 9.2: დახმარების ძიების მიზეზი (იმ ქალებს შორის, ვინც ეძებდა დახმარებას) და არ მოძიების მიზეზი (იმ ქალებს შორის, ვინც არ ეძებდა დახმარებას)	94
ცხრილი 9.3: ძალადობის გამო სახლის დატოვების (სულ მცირე, ერთი ღამით მაინც) სიხშირე ქალებში, რომელთაც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ოდესმე ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოუცდიათ	95
ცხრილი 9.4: შეწინააღმდეგებინ თუ არა რესპონდენტები, როდესაც მათზე ძალადობდნენ, და რა გავლენა იქონია ამან ძალადობაზე იმ ქალებისათვის, ვინც მოძალადეს წინააღმდეგობა გაუწია	96
ცხრილი 9.5: ქალთა რეაგირება ადევნებაზე	97

გრაფიკების ჩამონათვალი

თავი 3

გრაფიკი 3.1: რესპონდენტების კმაყოფილება ინტერვიუს დასრულების შემდეგ	40
გრაფიკი 3.2: რესპონდენტების მახასიათებლები – ასაკობრივი ჯგუფი (ქალები)	41
გრაფიკი 3.3: რესპონდენტების მახასიათებლები – პარტნიორული ურთიერთობის სტატუსი	42
გრაფიკი 3.4: რესპონდენტების მახასიათებლები – პარტნიორული ურთიერთობის სტატუსი – ოდესმე თუ ჰყოლია პარტნიორი	42
გრაფიკი 3.5: რესპონდენტების მახასიათებლები – შინამეურნეობის მოცულობა	42
გრაფიკი 3.6: რესპონდენტების მახასიათებლები – განათლების საფეხურები	43
გრაფიკი 3.7: რესპონდენტების მახასიათებლები – დასაქმება	43

თავი 4

გრაფიკი 4.1: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების მიერ გაცხადებული ფიზიკური ძალადობის ფორმები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	45
გრაფიკი 4.2: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების მიერ გაცხადებული სექსუალური ძალადობის ფორმები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	46
გრაფიკი 4.3: პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გავრცელება, ასაკის მიხედვით	47
გრაფიკი 4.4: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით, რომლებმაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან განცდილი ძალადობის შესახებ განაცხადეს	51

თავი 5

გრაფიკი 5.1: 15-64 წლის იმ ქალების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროება ან/და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა გამოუცდიათ არაპარტნიორის მხრიდან, სიცოცხლის მანძილზე, ბავშვობაში გამოცდილი ძალადობის ჩათვლით	55
---	----

გრაფიკი 5.2: სექსუალური შევიწროების სახეები (სიცოცხლის მანძილზე)	56
გრაფიკი 5.3: პირები, რომლებიც სექსუალურ შევიწროებას ახორციელებენ	57
გრაფიკი 5.4: ადევნების ფორმები	59
გრაფიკი 5.5: ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები	59

თავი 6

გრაფიკი 6.1: იმ კაცებისა და ქალების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც კაცის მიერ ცოლის ცემას ამართლებს გარკვეულ შემთხვევებში	65
გრაფიკი 6.2: იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ეთანხმება ძალადობის მიმართ მიმდებლურ დამოკიდებულებას, ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით	66
გრაფიკი 6.3: იმ ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ძალადობის ნორმალიზებას ეთანხმება	69
გრაფიკი 6.4: იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მოძალადის პატიებას ფიქრობს, ქალაქის/სოფლის ტრილში	69
გრაფიკი 6.5: რამდენად გავრცელებულია ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ქალებისა და კაცების შეხედულების თანახმად	70
გრაფიკი 6.6: იმ ქალებისა და კაცების პროცენტული რაოდენობა, ვინც განაცხადა, რომ იცნობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს	70

თავი 7

გრაფიკი 7.1: იმ ქალების წილი, რომელთაც საჭირო დროს მიიღეს სამედიცინო დახმარება პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად	75
გრაფიკი 7.2: დაზიანებების მიღების სიხშირე ქალებში, რომელთაც ოდესმე მიუღიათ დაზიანება	75
გრაფიკი 7.3: დაზიანებების სახეები ქალებში, რომელთაც ოდესმე მიუღიათ დაზიანება	76
გრაფიკი 7.4: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც გაუარესებელი ჯანმრთელობის შესახებ განაცხადა, პარტნიორის მხრიდან გამოცდილი ძალადობის მიხედვით	76
გრაფიკი 7.5: იმ ქალთა შედარება, ვინც ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ განაცხადა, ბოლო 2 კვირის მანძილზე, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით	78
გრაფიკი 7.6: სუიციდური აზრებისა და ქცევის შედარება ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით	79

თავი 8

გრაფიკი 8.1: ოდესმე ორსულად მყოფ ქალებში ფიზიკური ძალადობის ფორმები	84
გრაფიკი 8.2: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებლები 1-2 და 2-ზე მეტი ამჟამად ცოცხალი ბავშვით, პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით	85
გრაფიკი 8.3: ბავშვთა ქცევითი პრობლემები იმ დედების მიხედვით, რომლებიც, სულ ცოტა, ერთ 6-12 წლის ასაკის შვილთან ერთად ცხოვრობენ	87
გრაფიკი 8.4: ქცევითი პრობლემები ბავშვებში იმ დედების მიხედვით, რომელთაც ჰყავთ, სულ ცოტა, ერთი 6-15 წლის ასაკის, სკოლის მოსწავლე შვილი	87

თავი 9

გრაფიკი 9.1: რესპონდენტები, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შესახებ განაცხადეს და სხვადასხვა მომსახურებებსა და დახმარების ცენტრებს მიმართეს	92
გრაფიკი 9.2: დახმარების ძიების მიზეზები (იმ ქალებისათვის, ვინც დახმარებას მიმართა) და არ მოძიების მიზეზები (იმ ქალებისათვის, ვისაც დახმარებისათვის არ მიუმართავს)	93
გრაფიკი 9.3: დარჩენის მიზეზები იმ ქალებისათვის, რომელთაც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა განიცადეს, მაგრამ განაცხადეს, რომ არასდროს შეწყვეტენ ძალადობის შემცველ ურთიერთობებს	96

აბრევიატურები

CEDAW	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
DHS	დემოგრაფიული ჯანმრთელობის კვლევა
DVL	საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
EU	ევროკავშირი
ფაგ	ფოკუს ჯგუფებში განხილვები
FRA	ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
HH	შინამეურნეობა
IPV	პარტნიორის მხრიდან ძალადობა
სტამბოლის კონვენცია	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია
ძრგ	ძირითადი რესპონდენტების გამოკითხვები
ლბტ	ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PSU	შერჩევის პირველადი ერთეული
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SSU	შერჩევის მეორადი ერთეული
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
VAW	ქალთა მიმართ ძალადობა
VAWG	ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა
VET	პროფესიულ-ტექნიკური განათლება
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შპე	შერჩევის პირველადი ერთეული
შმე	შერჩევის მეორადი ერთეული

წინასიტყვაობა

გაეროს ქალთა ორგანიზაცია ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევის მიმართულებით 2010 წლიდან ეხმარება პარტნიორებს საქართველოში. ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ბოლო რვა წლის განმავლობაში, ჩვენ ტექნიკურად ვეხმარებით საქართველოს ხელისუფლებას. კანონმდებლობისა და პოლიტიკის აღსრულების მიზნით გაეროს ქალთა ორგანიზაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ისეთი სპეციალიზებული მომსახურებების დანერგვას უწყობს ხელს, როგორცაა: სახელმწიფო თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, ცხელი ხაზი და ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამა მოძალადეთათვის; ასევე, მსხვერპლთა კვალიფიციური დახმარების უზრუნველსაყოფად, სამართალდამცავ ორგანოებსა და ძირითადი მომსახურებების მიმწოდებლებს ვეხმარებით შესაძლებლობების გაძლიერებასა და პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი. ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ხარისხიანი მონაცემების ხელმისაწვდომობა არსებითად მნიშვნელოვანია პრობლემის მასშტაბისა და ხასიათის გამოსავლენად, ასევე - მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შესამუშავებლად აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლისა და პროგრესის შეფასების მიზნით.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი) თანამშრომლობით და ევროკავშირის მხარდაჭერით, 2017 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის, მათ შორის, მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის, ორსულობის დროს ძალადობის, სექსუალური შევიწროების, ადევნების, ბავშვობაში გადატანილი

ძალადობისა და გენდერული დამოკიდებულებების შესახებ ეროვნული მასშტაბით წარმომადგენლობით მონაცემებში არსებულ ვაკუუმს ავსებს. კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები საქართველოს მიერ ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებისთვისაც გვანვდის საბაზისო მონაცემებს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმდებ პირებსა და პრაქტიკოსებს ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის ფაქტებსა და მტკიცებულებებს სთავაზობს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან პარტნიორობით ჩატარებული კვლევით, გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს მთავრობას ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვების კომპეტენციის გაძლიერებაში დაეხმარა და ამით ხელი შეუწყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით (ცნობილია, ასევე, სტამბოლის კონვენციის სახელით) გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული ვალდებულება ოფიციალური სტატისტიკის ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა სისტემატურ შეგროვებასა და გავრცელებას ითვალისწინებს. იმედი გვაქვს, რომ ამ პროცესში საქართველოში პარტნიორებისთვის გაწეული ტექნიკური დახმარება საქსტატს ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების შესახებ მონაცემთა რეგულარული შეგროვების გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემს - სტამბოლის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად.

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ კვლევაში ჩართულ ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორს, განსაკუთრებით კი, საქსტატს - შესანიშნავი პარტნიორობისათვის და ევროკავშირს - ამ ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერისათვის. ასეთი თანამშრომლობისა და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა.

ერიკა კვაპილოვა გაეროს ქალთა
ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში

მადლობა

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან პარტნიორობითა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ერთად დავძლიოთ ქალთა მიმართ ძალადობა“ - ფარგლებში ჩაატარა.

უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდით ევროკავშირს, რომლის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ეს კვლევა ვერ შედგებოდა.

ასევე, მადლობა კვლევის განმახორციელებელ გუნდს — საქსტატს, საერთაშორისო კონსულტანტს ემა ფულუს, რომელიც კვლევის შემუშავებისა და განხორციელების პროცესს ხელმძღვანელობდა და ნანა ჭაბუკიანსა და გვანცა ჭიბლაძეს კვლევის თვისებრივი კომპონენტის შესრულებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა კი იმ ათასობით ქალსა და კაცს, რომელთაც დრო დაგვითმეს და კვლევაში მონაწილეობაზე დაგვთანხმდნენ. ფასდაუდებელია მათ მიერ პირადი და ინტიმური გამოცდილების გაზიარების გამბედაობა და ეს განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს, რადგან კვლევის მიგნებებს სწორედ მათი გამოცდილებები დაედო საფუძვლად.

თავი 1. შესავალი

1.1 კვლევის მიმოხილვა და შეჯამება

ქალთა მიმართ ძალადობა, თავისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევაა. ეს ეხება ქალებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში - ასაკის, სოციალური კლასის, რასისა და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.¹ უახლესი კვლევები ადასტურებს, რომ მსოფლიო მასშტაბით, 15 წლის ასაკის და უფროსი ქალების 30 %-ს სიცოცხლის მანძილზე პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოუცდია, ხოლო 35% ასეთივე ძალადობის მსხვერპლი გამხდარა არაპარტნიორისგან, შემთხვევითი ურთიერთობისას.² ქალთა მიმართ ძალადობა ქალთა მკვლევლობების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია³ და უმძიმეს გავლენას ქალთა ჯანმრთელობის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზეც ახდენს.⁴ მასშტაბურია, ასევე, ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური შედეგები, ხოლო გლობალური მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ ძალადობა საგრძნობლად აფერხებს განვითარებას სხვადასხვა დონეზე და ფიზიკური, ადამიანური და სოციალური კაპიტალის გაუფასურებას იწვევს.⁵

- 1 García-Moreno, C., Jansen, H., Ellsberg, M., Heise, L. and Watts, C., "Prevalence of intimate partner violence: Findings from the WHO multi-country study on women's health and domestic violence", *The Lancet* (2006), 368: 1260—1269. doi: 10.1016/S0140-6736(06)69523-8.
- 2 Devries, K., Mak, J., García-Moreno, C., Petzold, M., Child, J., Falder, G., Lim, S., Bacchus, L., Engell, R., Rosenfeld, L., Pallitto, C., Vos, T., Abrahams, N. and Watts, C., "The global prevalence of intimate partner violence against women", *Science* (2013), 340: 1527—1528. doi: 10.1126/science.1240937.
- 3 Stöckl, H., Devries, K., Rotstein, A., Abrahams, N., Campbell, J., Watts, C. and Moreno, C.G., "The global prevalence of intimate partner homicide: a systematic review", *The Lancet* (2013), 382(9895): 859—865.
- 4 World Health Organization, *Global and regional estimates of violence against women: prevalence and health effects of intimate partner violence and non-partner sexual violence* (World Health Organization, 2013).
- 5 García-Moreno, C. and World Health Organization, *WHO Multi-country Study on Women's Health and Domestic Violence against Women: Initial results on prevalence, health outcomes and women's responses* (2005).

ქალთა მოძრაობის, ხელისუფლებისა და დაინტერესებული მხარეების ძალისხმევით ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობასთან ბრძოლა ადამიანის უფლებების, ჯანდაცვისა და განვითარების გლობალურ დღის წესრიგში პრიორიტეტული გახდა. საერთაშორისო საზოგადოებამ ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მნიშვნელობა სხვადასხვა კონვენციის, პოლიტიკისა და ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით აღიარა, რომელთა შორისაა: „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“ (CEDAW), პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია). ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმისა და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგშია ამჟამად გათვალისწინებული (კერძოდ, მდგრადი განვითარების მიზნების 5.2 და 5.3 ამოცანებში), რაც ნინსვლისათვის მყარ საფუძველს უზრუნველყოფს.

საქართველოში ჩატარებული კვლევები ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბურობაზე მიუთითებს.⁶ ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ისევე, როგორც ადრეული და იძულებითი ქორწინება, ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმებია საქართველოში. ძალადობის ეს ფორმები შემოსავლის, კულტურული თუ სოციალური კლასის ყველა დონეზე ვლინდება და ამ ფენომენის ძირითადი ასპექტები ნაკლებად არის გამოკვლეული. თავისი მასშტაბებისა და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიუხედავად, ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების გამოვლენა კვლავაც დაბალია. ბოლო ეროვნული კვლევა, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA)⁷ 2009 წელს ჩაატარა.

- 6 მ. ჩიტაშვილი, მ. ჯავახიშვილი, ნ. არუთინოვი, ლ. ნულაძე და ს. ჩაჩანიძე. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2010. თბილისი, UNFPA საქართველო; კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში. 2015, თბილისი: UNFPA; ნ. სუმბაძე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში 2014, თბილისი: UN Women.
- 7 მ. ჩიტაშვილი, მ. ჯავახიშვილი, ნ. არუთინოვი, ლ. ნულაძე და ს. ჩაჩანიძე. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2010. თბილისი, UNFPA საქართველო;

მას შემდეგ სრულყოფილი და სანდო მონაცემები ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებისა და ხასიათის შესახებ აღარ მოპოვებულა საქართველოში. უფრო მეტიც, არსებული ადმინისტრაციული მონაცემები, როგორცაა პოლიციისა და სისხლის სამართლის სტატისტიკა, პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივ სურათს გვიჩვენებს.

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობითი მონაცემების ვაკუუმის შესავსებად და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების პროცესის ინფორმირებისთვის, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (შემდგომში - საქსტატი) თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევა ჩაატარა.

კვლევა რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით განხორციელდა და საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდოლოგიებს დაეყრდნო, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის სრულყოფილი სურათის წარმოსაჩენად ავსებდა ერთმანეთს. კერძოდ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო, WHO) ქალთა ჯანმრთელობისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ კვლევა რაოდენობრივი კითხვარის შესამუშავებლად გამოიყენეს;⁸ კითხვები სექსუალური შევიწროებისა და ადევნების შესახებ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს (FRA) კვლევას დაეფუძნა;⁹ ხოლო კითხვები გენდერული დამოკიდებულებისა და ბავშვობაში მიღებული ტრავმების შესახებ „კაცებისა და ძალადობის შესახებ“ გაეროს კვლევის მიხედვით შემუშავდა.¹⁰

8 García-Moreno et al., *WHO Multi-country Study* (2005).

9 FRA, *Violence against women: an EU-wide survey – Survey methodology, sample and fieldwork. Technical report* (Luxemburg, European Union Agency for Fundamental Rights, 2014).

10 Fulu, E., Warner, X., Miedema, S., Jewkes, R., Roselli, T. and Lang, J., *Why Do Some Men Use Violence Against Women and How Can We Prevent It?: Quantitative Findings from the United Nations Multi-country Study on Men and Violence in Asia and the Pacific* (Bangkok, UNDP, UNFPA, UN Women, UNV, 2013).

11 მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების სია იხილეთ: <http://unstats.un.org/sdgs/indicators/Official%20List%20of%20Proposed%20SDG%20Indicators.pdf>.

კვლევაში, ასევე, მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების,¹¹ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა (CEDAW) და ამ კონვენციის 35-ე ზოგადი რეკომენდაციის ჩარჩოებისა და განსაზღვრებების ინტეგრირებაც მოხდა.

რაოდენობრივი კვლევა - შერჩევის დიზაინის, კვლევის ინსტრუმენტების თარგმნის, მკვლევარების გუნდის დაქირავების, ტრენინგის, კვლევის ჩატარების, მონაცემთა განმუშავებისა და ანალიზის ჩათვლით - საქსტატმა განახორციელა. თვისებრივი კვლევა კი ორმა ადგილობრივმა კონსულტანტმა ჩაატარა. ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების კვლევის ამ ორივე კომპონენტს ტექნიკურ მხარდაჭერას საერთაშორისო ექსპერტი უწევდა, რომელიც მთლიანად კვლევის დიზაინს, კითხვარის შემუშავებას, საქსტატის მკვლევართა გუნდის ტრენინგსა და საბოლოო ანგარიშის მომზადებას ხელმძღვანელობდა.

1.2 კვლევის კონტექსტი საქართველოში

1.2.1 ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა ისევე, როგორც ადრეული და იძულებითი ქორწინება, ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმად რჩება საქართველოში. გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით, 2009 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევის თანახმად, ქალების 6.9%-ს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობა, ხოლო 3.9% სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. ოჯახში ძალადობისადმი დამოკიდებულებისა და ადქმის შესახებ გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2014 წლის კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხულთა 77.8%-ის აზრით, ოჯახში ძალადობა ძალიან ხშირად ან საკმაოდ ხშირად ხდება. რესპონდენტთა 66.8%-მა აღიარა, რომ იცნობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/ძალადობაგადატანილს, ხოლო 56.3% პირადად იცნობს მოძალადეებს.

ამ ორი კვლევის შედეგებმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით სახელმწიფო და განვითარების პარტნიორების

მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების ინფორმირებულ დაგეგმვას შეუწყობს ხელი. ამის შედეგად, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული თავშესაფრები (ოთხი), კრიზისული ცენტრები (სამი) და ცხელი ხაზი შეიქმნა. გარდა ამისა, ქალთა მიმართ ძალადობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრებისა და არსებული მომსახურებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აქტიურად მართავენ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს.

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების შეფასებები ამჟამად მოძველებულია. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2009 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩატარებული კვლევა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოში ჩატარებული პირველი და ერთადერთი ეროვნული კვლევაა; 2014 წლის გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევამ კი ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დამოკიდებულებები შეისწავლა, თუმცა მისი გავრცელების მასშტაბი არ განუხილავს. ამდენად, საქართველოში პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელების მაჩვენებლების შეფასებიდან უკვე შვიდი წელი გავიდა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქსტატთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში - 2017“ ჩაატარა. კვლევამ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის გავრცელება და ძალადობის ისეთი სახეები შეისწავლა, როგორცაა: ფსიქოლოგიური ძალადობა, ადვენება, სექსუალური შევიწროება, ბავშვობაში გადატანილი ძალადობა, ვიქტიმიზაციის შიში და მისი გავლენა; ასევე - საზოგადოების დამოკიდებულებები და განწყობები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.

1.2.2 სოციალურ-კულტურული კონტექსტი

საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყანაა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მდებარეობს. მისი მოსახლეობა 2017 წლისთვის დაახლოებით ოთხ მილიონს შეადგენდა.¹²

ქვეყანაში, ძირითადად, ეთნიკური ქართველები (87%) ცხოვრობენ - აზერბაიჯანელებთან, სომხებთან, რუსებთან და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად. მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია (ქალების 84% და კაცების 83% - 2014 წლის მონაცემებით),¹³ ხოლო მეორე უმსხვილესი რელიგიური ჯგუფი კი მუსლიმებია (ქალების - 10% და კაცების - 11%). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან ერთად, საქართველომ დემოკრატიისკენ აიღო გეზი, თუმცა გარდამავალი პერიოდის გავლას ქვეყანაში შეიარაღებული, ტერიტორიული კონფლიქტები, ეკონომიკური კოლაფსი, ინფლაცია, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და სამოქალაქო ომი აფერხებდა.

გენდერული თანასწორობის ძირითადი ინდიკატორები საქართველოში ორაზროვან სურათს გვიჩვენებს ქალთა უფლებების შესახებ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 2017 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული განსხვავების ინდექსით საქართველო 94-ე ადგილზე იყო 144 ქვეყანას შორის.¹⁴ ზრდასრულ ქალთა და კაცთა წიგნიერების დონე 100 %, ხოლო განათლებაში ქალებისა და კაცების ჩართულობის მაჩვენებლები თანაბარია. ამასთან, დაბალია ქალების შრომითი მონაწილეობა კაცებთან შედარებით (15-64 წლის ასაკის ქალთა 61% - კაცების 79%-თან შედარებით); 2017 წლის გენდერული მაჩვენებლების თანახმად, ქვეყნის პარლამენტში ქალები მანდატების 16%-ს ფლობენ; მინისტრთა კაბინეტში ქალი მინისტრების პროცენტული რაოდენობა 21%-ია, ხოლო კომპანიების ტოპ მენეჯერებს შორის ისინი - 32%-ს შეადგენენ. ჯანდაცვის მაჩვენებლებით, დედათა სიკვდილიანობა საქართველოში 2013 წელს 41 იყო მაშინ, როცა ევროპასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 18-ს შეადგენდა.¹⁵

საზოგადოებრივი სტრუქტურა საქართველოში, მეტწილად, ოჯახის გარშემო ჩამოყალიბებული და ოჯახის ღირსება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე

12 საქსტატი 2017. ქალი და კაცი საქართველოში. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

13 საქსტატი 2017. ქალი და კაცი საქართველოში. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

14 http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2017.pdf

15 World Bank, 2013. Gender Brief - Georgia.

პიროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქალების 78.3% ოჯახში ძალადობას მხოლოდ ოჯახის საქმედ მიიჩნევს (თუმცა ეს შეხედულება უფრო მეტად სოფელშია გავრცელებული, ვიდრე ქალაქში). ქვეყნის მასშტაბით, ქალის როლი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული დედობისა და ოჯახური მოვალეობების შესრულებასთან. ქალებისგან, მეტწილად, ქმრების მორჩილებას მოელიან, თავად ქალების 51%-ს კი მიაჩნია, რომ კარგი ცოლი იმ შემთხვევაშიც ემორჩილება ქმარს, როცა პირადად არ ეთანხმება.¹⁶ ქალთა და კაცთა გენდერული როლები, სამუშაოს და ქცევის თვალსაზრისით, სოციალურად მოზარდობის ასაკში იყოფა, როდესაც ქალები, ძირითადად, ქალის საქმედ შერაცხულ საოჯახო საქმეებზე არიან პასუხისმგებელნი, ხოლო კაცები პასუხისმგებლობას კაცისთვის „ტიპურ“ სამუშაოზე იღებენ და საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ. არსებულ გენდერულ დანაწილებასთან დაკავშირებით მაღალი კმაყოფილება გამოვლინდა ერთ-ერთ კვლევაში, რაც საქართველოს საზოგადოებაში შრომის გენდერული დაყოფის ნორმატიულ ხასიათზე მეტყველებს.¹⁷

გარდამავალ, პოსტსაბჭოთა პერიოდში ქალის როლი საზოგადოებაში გარკვეულწილად შეიცვალა. კაცების უმუშევრობის ზრდასთან ერთად, ქალებმა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერისთვის, საოჯახო საქმეებიდან ხელფასიან სამსახურებში გადაინაცვლეს და სამუშაოს საძიებლად უცხოეთსაც მიაშურეს. ამის პარალელურად, პოსტსაბჭოთა ეპოქაში, რელიგიური ინსტიტუტების გავლენამ იმატა და კონსერვატიული ოჯახური ტრადიციები და ღირებულებები გააძლიერა, რაც ეწინააღმდეგება ქალთა ახალ როლს ეკონომიკურ სფეროში და მათ წვლილს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში.¹⁸

1.2.3 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სხვა კვლევებში არსებული მონაცემები

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების შესაფასებლად კვლევა პირველად 2009 წელს ჩატარდა. კვლევამ აჩვენა, რომ ოდესმე ქორწინებაში ან პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 9.1% ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას განიცდიდა.

16 ჩიტაშვილი და სხვ. 2010
 17 UNFPA 2014. კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში. თბილისი: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და UNFPA.
 18 ჩიტაშვილი და სხვ. 2010

ქალების 14.3% პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე საუბრობდა, ხოლო 35.9 %-ის თქმით, პარტნიორები მათ კონტროლს სხვადასხვა ძალადობრივი გზით ცდილობდნენ.¹⁹

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის ირგვლივ არსებული სტიგმების გამო, ძალადობის რეალური მასშტაბები უფრო მაღალია მოსახლეობაში, ვიდრე ეს კვლევაში მონაწილე ქალებმა განაცხადეს. შედარებისთვის - 2014 წელს ჩატარებულმა ქალებისა და კაცების კვლევამ აჩვენა, რომ კაცების 66%-მა საკუთარ მეუღლეს ან ქალ პარტნიორს, სულ მცირე, ერთხელ მაინც დაუყვირა, ხოლო კაცების 12-15%-მა ცოლის მიმართ, სულ მცირე, ერთხელ მაინც ჩაიდინა ფიზიკური ძალადობის ფაქტი.²⁰

საქართველოში პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობაგადატანილი ქალები ძალადობის უამრავ შედეგს განიცდიან. იმ ქალთა შორის, რომელთაც ფიზიკური და სექსუალური ძალადობა განიცადეს, 34.7%-მა ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების შესახებ განაცხადა.²¹ ქალებს, რომლებიც სექსუალურ ძალადობას განიცდიან, ხშირად ადანაშაულებენ ამ გამოცდილებისთვის, რადგან მიიჩნევა, რომ აღნიშნული მათივე ბრალია.²² ძალადობაგადატანილ ქალებს დაბალი თვითშეფასება აქვთ, თავს უსარგებლოდ გრძნობენ და მოტივაცია აქვთ დაკარგული.²³ კვლევები აჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა საზიანო შედეგებს, შეიძლება, ბავშვებისა და ოჯახის წევრებისთვისაც იწვევდეს, კერძოდ: ქალებში საოჯახო საქმეების შესრულების და ხელფასიან სამსახურში მუშაობის უნარის დაკარგვას, ხოლო ბავშვებში - ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებს.²⁴

პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა რიგი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებით არის გამოწვეული. საქართველოში ქალები აცხადებენ, რომ კაცის მიერ ალკოჰოლური სასმელების მოხმარება და ეკონომიკური პრობლემები ოჯახში ძალადობის ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია²⁵. ამასთან,

19 ჩიტაშვილი და სხვ. 2010
 20 UNFPA 2014
 21 ჩიტაშვილი და სხვ. 2010
 22 UNFPA 2014
 23 UN Women, Perceptions of Violence against Women (2014)
 24 UN Women, 2014.
 25 ჩიტაშვილი და სხვ. 2010

2014 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა შემოფოტების ძირითადი მიზეზი გენდერული უთანასწორობა იყო: გამოკითხულთა 51% აღიარებდა, რომ ქართულ საზოგადოებაში ქალები უფრო მეტად არიან დამაგრული, ვიდრე კაცები და გენდერულ უთანასწორობას ძალადობის მთავარ გამომწვევ ფაქტორად განიხილავდნენ.²⁶ კვლევის მონაწილეები, რომლებიც ქალსა და კაცს შორის მეტი თანასწორობის საჭიროებას იზიარებდნენ, უფრო ნაკლებად იყვნენ ტოლერანტულები ძალადობის მიმართ. გარდა ამისა, ქალთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც განსხვავდებოდა. ასაკოვანი ქალები და კაცები მეტ მიმდებლობას იჩენდნენ ოჯახში ძალადობის მიმართ და მას ოჯახის საქმედ უფრო განიხილავდნენ, ვიდრე დანაშაულად.²⁷

1.2.4 ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი ჩარჩო

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული პოლიტიკის და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების თვალსაზრისით. 1994 წელს საქართველო დათქმის გარეშე შეუერთდა კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), რომელიც ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმს წარმოადგენს.²⁸ 1995 წელს პეკინის კონფერენციაზე საქართველო იმ ქვეყნებს შეუერთდა, რომლებიც ქალთა პირობების გასაუმჯობესებლად სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე შეთანხმდნენ. 2017 წელს საქართველომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება მოახდინა და ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა, რომელიც სტამბოლის კონვენციასთან შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, საქართველომ მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია, რომელთა შორის მე-5 მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა

და გოგოს გაძლიერებაა - მათ შორის, ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის გზით როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროებში.

გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის/პრევენციის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი ინიციატივები განხორციელდა ეროვნულ დონეზე. მათი მიზანი შიდა კანონმდებლობის იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანა იყო, რომელთა ხელშეკრულებულ მხარესაც საქართველო წარმოადგენს. ეს საკანონმდებლო ცვლილებებია: „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კონონის მიღება 2006 წელს;²⁹ ამავე წელს მიღებული საქართველოს კანონი „ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;³⁰ 2010 წლის საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;³¹ 2014 წლის საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“;³² რომელიც სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვას მოიცავს; 2012 წელს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები, რომლითაც ოჯახში ძალადობის კრიმინალიზება მოხდა.

„ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ 2006 წლის საქართველოს კანონმა ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღმოფხვრისა და პრევენციის სამართლებრივი მექანიზმები, ასევე - მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძველები განსაზღვრა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის მიზნით, უწყებათაშორისი კოორდინაცია უზრუნველყო. ამავე კანონით განისაზღვრა ოჯახში ძალადობის ცნება და მისი ფორმები; შესაბამისად, შეიქმნა შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის სამართლებრივი საფუძველებიც. ამავე პერიოდში, კანონის თანმიმდევრული და ეფექტიანი აღსრულების მიზნით, მიიღეს და დამტკიცდა დამატებითი სამარ-

26 UN Women, 2014
27 UN Women, 2014
28 [http://www.police.ge/files/IRD/Donorta%20koordinacia%20\(shesrulebuli%20proeqtebi\)/cedaw.pdf](http://www.police.ge/files/IRD/Donorta%20koordinacia%20(shesrulebuli%20proeqtebi)/cedaw.pdf)

29 <https://matsne.gov.ge/en/document/view/26422>
30 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152?publication=10>
31 <https://matsne.gov.ge/en/document/view/91624>
32 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=0>

თლებრივი აქტები.³³ საქართველოს მთავრობა 2008 წლიდან, ასევე, რეგულარულად იღებს და ახორციელებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ ეროვნულ სამოქმედო გეგმებს. „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის, იურიდიული და სამედიცინო დახმარების მიზნით, 2008 წლისთვის თავშესაფრების შექმნა დაევალა. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ასეთი სახელმწიფო თავშესაფარი, პირველად, 2010 წელს დაარსდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვედეთის მთავრობის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. სახელმწიფო თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები ფუნქციონირებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში - სახელმწიფო ფონდი) ფარგლებშიც. დღეის მდგომარეობით საქართველოში 5 სახელმწიფო თავშესაფარი³⁴ და 3 კრიზისული ცენტრი

მოქმედებს და თითოეული მათგანი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან ფინანსდება. მათ შორის 4 თავშესაფრისა და ყველა კრიზისული ცენტრის მოწყობა-აღჭურვაში (სარემონტო სამუშაოები, სიღნაღის თავშესაფრისთვის შენობა-ნაგებობის შესყიდვა და სხვ.), ასევე, საკონსულტაციო ცხელი ხაზის (2010 წლიდან 2016 წლამდე - 2 309 903, ხოლო 2016 წლიდან - 116 006) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა-გამართვაში სახელმწიფო ფონდს ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN WOMEN) გაუწია.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების მიმართულებითაც. ინსტიტუციურ დონეზე, 2010 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისა და პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შედეგად, გენდერული თანასწორობის საბჭო მუდმივმოქმედ საპარლამენტო ორგანოდ გარდაიქმნა, რომლის ძირითადი ამოცანა გენდერული საკითხების სისტემატური და კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფაა. საბჭო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით ხელმძღვანელობს³⁵. 2013 წელს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა და დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის თანამდებობა. სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მისია გენდერული თანასწორობის კუთხით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგია. საქართველოს სახალხო დამცველი წელიწადში ერთხელ ამზადებს და სპეციალურ მოხსენებას აქვეყნებს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ.³⁶ აღმასრულებელ დონეზე, 2008 წლის დეკემბრიდან 2017 წლის ივნისამდე მოქმედებდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი

33 ეს პოლიტიკის დოკუმენტებია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის №183/ნ ბრძანება „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ“; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბრის № 625 ბრძანება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საბჭოს შემადგენლობისა და დებულებების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის № 665 ბრძანება „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №1094 ბრძანება „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და სხვ.

34 სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში ძალადობის მსხვერპლთათვის 5 თავშესაფარი მოქმედებს - თბილისში, გორში, ქუთაისში, სიღნაღსა და ბათუმში. შევნიშნავთ, რომ ბათუმის თავშესაფარი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის არის შექმნილი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, იგი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლებსაც ემსახურება. ფონდის

თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების მომსახურებებით სარგებლობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია: http://atipfund.gov.ge/res/docs/zalado-bis-statistika-2018-3_kvartali.pdf და http://atipfund.gov.ge/res/docs/krizisulis-statistika-2018-3_kvartali.pdf

35 <http://www.parliament.ge/en/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho>

36 <http://www.ombudsman.ge/en/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/genderuli-tanasworobis-centris-shesaxe>

საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანა იყო: ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მისი პრევენციის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელშეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია; აღნიშნულ საკითხებზე წინადადებების მომზადება და პრეზიდენტისთვის წარდგენა; ასევე - ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი. 2017 წლის ივნისიდან უწყებათაშორისი საბჭო გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიად (შემდგომში უწყებათაშორისი კომისია) გადაკეთდა, რომელსაც სხვა ამოცანებთან ერთად, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავება, ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებების კოორდინაცია და მონიტორინგი დაევალა. გარდა ამისა, უწყებათაშორისი კომისია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ 2011 წლის 11 მაისის ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) მე-10 მუხლით გათვალისწინებული მაკოორდინირებელი ორგანოს როლსაც ასრულებს. სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების ჩათვლით, იგი პოლიტიკის შემუშავების კოორდინაციაზეა პასუხისმგებელი, კერძოდ: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული საქმიანობებისა და პროგრამების დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები შედიან. სათათბირო ხმის უფლებით მასში საქართველოს სახალხო დამცველის, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის, სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. კომისიის საქმიანობაში, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, შეიძლება, არასამეცნიერმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართვაც.

1.3 კვლევის ამოცანები

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევის ამოცანებია:³⁷

- ✓ პარტნიორის/მეუღლის და სხვა მოძალადეების მხრიდან ქალებისა და გოგონების მიმართ, მათი სიცოცხლის მანძილზე და უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, საჯარო და კერძო სივრცეში განხორციელებული ძალადობის სხვადასხვა ფორმების გავრცელების შესახებ სარწმუნო მონაცემების მოპოვება;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობის შედეგების გავლენის შეფასება ქალის ჯანმრთელობასა და სხვა მახასიათებლებზე;
- ✓ იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომელთაც ქალის დაცვა ან ძალადობის რისკის შექმნა შეუძლია;
- ✓ ძალადობაგადატანილი ქალებისათვის არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმირებულობისა და მათი გამოყენების მასშტაბის შეფასება;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების მიმართ ქალებისა და კაცების ინფორმირებულობისა და მათი დამოკიდებულებების შესწავლა.

ქვეყნის მასშტაბით, ძალადობასთან მიმართებით, ზოგადი სურათისა და ტენდენციების გამოსავლენად მონაცემების ჩაშლა ისეთი ცვლადების მიხედვით მოხდა, როგორიცაა: რეგიონი, ქალაქი/ სოფელი, ასაკი, შემოსავლები, ეთნიკური წარმომავლობა და აღმსარებლობა.

გემოლნიშნული ამოცანების შესასრულებლად, საქართველოში ჩატარებულ 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნულ კვლევაში შეტანილია სამი ძირითადი კვლევითი კომპონენტი:

1. რაოდენობრივი კვლევა 15-64 წლის ასაკის ქალებში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების, რისკებისა და დამცავი ფაქტორების, დამოკიდებულებებისა და აღქმის, ინფორმირებულობის შესახებ;
2. რაოდენობრივი კვლევა 15-64 წლის ასაკის კაცებში ქალთა მიმართ ძალადობაზე არსებული დამოკიდებულებებისა და აღქმების შესახებ;

37 ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე, კვლევაში აღნიშნული სახელის ნაცვლად სხვა, უფრო ნეიტრალური სახელი გამოიყენა.

3. თვისებრივი კომპონენტი, რომელიც არსებული მონაცემების ანალიზს, ძირითადი რესპონდენტების გამოკითხვებსა და ფოკუს ჯგუფებში განხილვებს მოიცავს.

კვლევის მეთოდოლოგიის თითოეული ტიპის დეტალური განხილვა მე-2 თავშია მოცემული.

1.4 ძირითადი ტერმინები და განმარტებები

საქართველოს 2017 წლის ეროვნულ კვლევაში, ქალთა მიმართ ძალადობის გასაზომად, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი ტერმინები და განსაზღვრებები გამოყენებულია. კვლევაში გამოყენებულია, ასევე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) „ქალთა ჯანმრთელობისა და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ საერთაშორისო კვლევის“ ბოლო, მე-12 ვერსიაც. წინა ვერსიასთან შედარებით, კითხვარი არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობისა და ბავშვობაში გადატანილი ძალადობის შესახებ უფრო დეტალურ კითხვებს შეიცავს, ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობის განსაზღვრება წარმოდგენილია განახლებული სახით. სამუშაო განმარტებათა სრული სია მეთოდოლოგიის ნაწილშია მოცემული (იხ. მე-2 ნაწილი).

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები: „ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები“ განმარტება მნიშვნელოვანია კვლევისთვის, რადგან ქალების იმ ერთობლიობას განსაზღვრავს, რომელიც, შესაძლოა, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის რისკის ქვეშ იყოს და, შესაბამისად, იგი მნიშვნელია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელების დონის შესაფასებლად. ამ კვლევის მიზნებისთვის გამოიყენეს პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების ფართო განმარტებაც, რადგან ამ კატეგორიას მიკუთვნებულ ნებისმიერ ქალს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ქორწინებაში, შესაძლოა, ოდესმე გამოუცდია ძალადობა. „ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფად“ მიიჩნეულია ქალები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ოდესმე დაქორწინებული იყვნენ კაცზე, ოდესმე უცხოვრიათ კაცთან, ან ოდესმე ჰქონდათ პარტნიორული სასიყვარულო

ურთიერთობები. ამგვარად, „ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები“ განმარტება მოიცავს ქალებს, რომლებიც იყვნენ ან ოდესმე ყოფილან რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში; იგი, ასევე, მოიცავს შეყვარებულთა ურთიერთობებსაც.

გავრცელების დონე: ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების დონე „რისკის ქვეშ მყოფ“ იმ ქალთა პროცენტულ ნაწილს შეესაბამება, ვისაც ძალადობა გამოუცდია. ზოგიერთი სახის ძალადობის შემთხვევაში, როგორცაა სექსუალური ძალადობა, „რისკის ქვეშ მყოფად“, შეიძლება, ყველა ქალი ჩაითვალოს. სხვა სახის ძალადობისთვის კი, მაგალითად, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა, „რისკის ქვეშ მყოფად“ მხოლოდ ის ქალები ჩაითვლებიან, რომელთაც ჰყავთ ან ჰყავდათ პარტნიორი/მეუღლე.

გავრცელების დონე სიცოცხლის მანძილზე: გავრცელების მაჩვენებელი იმ ქალების პროცენტული ნაწილის შესაბამისია, რომელთაც სიცოცხლის ნებისმიერ დროს, ოდესმე გამოუცდიათ ძალადობის ერთი ან რამდენიმე ფაქტი (განმარტების თანახმად, აქ შედის ინტერვიუმდე 12 თვის პერიოდში ძალადობა გადატანილი ქალებიც). გავრცელების ეს მაჩვენებელი ძალადობის ხანგრძლივობას ან ძალადობის ფაქტების სიხშირეს არ ასახავს, არამედ, მხოლოდ იმას - ჰქონდა თუ არა ოდესმე ადგილი ძალადობას, თუნდაც ეს ერთხელ მომხდარიყო.

გავრცელების დონე (ინტერვიუმდე) ბოლო 12 თვის განმავლობაში/გავრცელების მიმდინარე დონე: ბოლო 12 თვის მანძილზე გავრცელების დონის მაჩვენებელი იმ ქალების პროცენტული წილის ამსახველია, რომელთაც გამოკითხვამდე 12-თვიან პერიოდში - და, ამდენად, შეფასების მომენტამდე მცირე ხნით ადრე - ძალადობის ერთი ან რამდენიმე ფაქტი გამოუცდიათ. იგი მოიცავს ძალადობას, რომელიც ახლახან დაიწყო ისევე, როგორც ძალადობას, რომელიც, შეიძლება, 12 თვეზე მეტი ხნით ადრე დაწყებულიყო. სიცოცხლის განმავლობაში, გავრცელების დონის მსგავსად, ის არ გვიჩვენებს, რამდენ ხანს გრძელდებოდა ძალადობა ან რამდენად ხშირად ხდებოდა ის. წინამდებარე ანგარიშის გრაფიკებსა და ცხრილებში გავრცელების დონის აღნიშნული მაჩვენებელი ნახსენებია როგორც - „გავრცელების მიმდინარე დონე“.

პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა: ქცევა პარტნიორული ურთიერთობების ფარგლებში, რომელიც ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ზიანს იწვევს (ფიზიკური აგრესიის, სექსუალური იძულების, ფსიქოლოგიური ძალადობისა და მაკონტროლებელი ქცევის ჩათვლით).³⁸ ძალადობის განსაზღვრება ვრცელდება როგორც ამჟამინდელ, ისე ყოფილ მეუღლესა და პარტნიორზე. კვლევით შეფასდა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა.

სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან: კვლევის ძირითადი მიზანი იყო ინფორმაციის შეგრო-

ვება ქალთა სექსუალური ძალადობის გამოცდილების გავრცელების დონის შესახებ იმ კაცის მხრიდან, რომელიც მათი პარტნიორი/მეუღლე არ ყოფილა. ამ კვლევის მიზნებისათვის სექსუალური ძალადობა მოიცავდა არაპარტნიორის მხრიდან გაუპატიურების და ჯგუფური გაუპატიურების ქმედებებს, სექსუალური ხასიათის შეხებას და იძულებით შეხებას, სექსუალურ შევიწროებასა და ადევნებას. ქალებს, ასევე, ჰკითხეს მოძალადის ვინაობის შესახებაც - როდესაც ეს შესაძლებელი იყო.

სექსუალური შევიწროება: არასასურველი სექსუალური მოპყრობა, სექსუალური ვაგშირის მოთხოვნა ან სექსუალური ხასიათის სხვა რაიმე სახის სიტყვიერი და ფიზიკური ქცევა.

38 (Garcia-Moreno et al., 2006)

თავი 2. მეთოდოლოგია

2.1 რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია

2.1.1 სამიზნე ერთობლიობა

2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა მიზნად ისახავდა ძალადობასთან დაკავშირებული სანდო ინდიკატორების მიღებას, რომლებიც წარმომადგენლობითი იქნებოდა ეროვნულ და, შეძლებისდაგვარად, რეგიონულ (ქალაქად/სოფლად) დონეზე. კვლევამ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია მოიცვა. კვლევის სამიზნე ერთობლიობას კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 15-64 წლის ქალები და კაცები წარმოადგენდნენ. შინამეურნეობის ცნების შესაბამისად, შინამეურნეობის წევრებად მხოლოდ ის პირები ჩაითვალებოდა, რომლებიც კვლევის მომენტისთვის ერთად ცხოვრობდნენ ან აპირებდნენ ცხოვრებას ამ შინამეურნეობაში, სულ ცოტა, 12 თვის განმავლობაში და მთლიანად ან ნაწილობრივ ინაწილებდნენ ბიუჯეტს. ეროვნული კვლევის მთავარი ამოცანა ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის მასშტაბის გამოვლენა და შესაბამისი (დამახასიათებელი) მაჩვენებლების მიღება იყო.

2.1.2 კითხვარის შექმნა და ტარება

ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნულ კვლევაში გამოყენებული კითხვარები ქალთა მიმართ ძალადობის კვლევების საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკისა და საერთაშორისოდ შეთანხმებული ეთიკისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად შემუშავდა. კითხვარს საფუძვლად დაედო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) „საერთაშორისო კვლევა ქალთა ჯანმრთელობისა და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ“ (მე-12 ვერსია); ასევე - სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული კითხვებისთვის - „ქალთა მიმართ ძალადობა: ევროკავშირის ფართომასშტაბიანი

კვლევა“ (რომელიც ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტომ (EUFRA) ჩაატარა) და დამოკიდებულებებთან დაკავშირებული კითხვებისთვის - გაეროს საერთაშორისო კვლევა კაცებსა და ძალადობაზე.³⁹ ამასთან, ქალთა კითხვარი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების, კერძოდ, 5.2 მიზნის (ძალადობა მეუღლე/პარტნიორისა და არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური შევიწროება) შესაბამისად შემუშავდა.

როგორც ვთქვით, კვლევა ჯანმო-ს „ქალთა ჯანმრთელობისა და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ საერთაშორისო კვლევის“ უახლეს, მე-12 ვერსიას იყენებს. წინა ვერსიასთან შედარებით, ახალი კითხვარი უფრო დეტალურ კითხვებს შეიცავს არაპარტნიორის მხრიდან სექსუალურ ძალადობაზე და ბავშვის მიმართ ძალადობაზე; აგრეთვე, გვთავაზობს ფსიქოლოგიური ძალადობის განახლებულ განსაზღვრებას, რომელმაც მანამდე არსებული ფსიქოლოგიური ძალადობის ცნება ჩაანაცვლა. სამუშაო განმარტებების სრული სია მეთოდოლოგიის ნაწილშია (ნაწილი 2) მოცემული.

კვლევა შემდეგ ძირითად სფეროებს მოიცავს: პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება; არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის გავრცელება; სექსუალური შევიწროების გავრცელება; ბავშვობაში გადატანილი ძალადობა; ძალადობის გავლენა ჯანმრთელობაზე; ქალთა მიმართ ძალადობის რისკ-ფაქტორები; ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული მომსახურების შესახებ ინფორმირებულობა და მიმართვიანობა; გენდერული დამოკიდებულებები და ცნობიერება (კაცის და ქალის მხრიდან).

შემდეგ ეტაპზე საერთაშორისოდ შედარებადი კითხვარების ქართულ რეალობასთან ადაპტირება მოხდა. ცვლილებები განიცადა დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან დაკავშირებულმა კითხვებმა და შესაბამისმა პასუხებმა. თავის მხრივ, ორ კითხვარად დაიყო ქალთა კითხვარი - „შინამეურნეობის შერჩევითი კითხვარი ქალებისთვის“ და „ქალების კითხვარი“.

კითხვარები ინგლისურ ენაზე შემუშავდა და ქართულად ითარგმნა. შემდეგ ისინი სამ სხვადასხვა დასახლებაში დაიტესტა: დიდ ქალაქში, პატარა

39 Garcia-Moreno, C et al, 2005, WHO Multi-country study on women's health and domestic violence, World Health Organisation; FRA. 2014. Violence against women: an EU-wide survey - Main results. Luxembourg: European Union Agency for Fundamental Rights; Fulu, E. and Warner, X et al. 2013. Why do some men use violence against women and how can we prevent it? Quantitative findings from the United Nations Multi-country study on men and violence in Asia and the Pacific. Bangkok: UNDP, UN Women, and UNV.

ქალაქში და სოფელში. თითოეულ დასახლებაში 15 რესპონდენტი გამოიკითხა, სულ - 30 ქალი და 15 კაცი. კითხვარების წინასწარი ტესტირებისთვის რესპონდენტები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებიდან შეირჩა. ტესტირების დროს არსებითი ხარვეზები არ გამოვლენილა და, შესაბამისად, მცირე ცვლილებების შემდეგ კითხვარების შედგენა დასრულდა.

კვლევა სამ კითხვარს შეიცავდა: შინამეურნეობაში ქალების შერჩევის კითხვარი, ქალების კითხვარი და კაცების განწყობებისა და დამოკიდებულებების კითხვარი.

შინამეურნეობაში ქალების შერჩევის კითხვარი შინამეურნეობების ზოგადი მახასიათებლებისა და სამიზნე ერთობლიობის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლადაა განკუთვნილი და სამი სექციისგან შედგება:

სექცია 1: თავფურცელი - კითხვარის შევსების პროცესის მონიტორინგისთვის გამოიყენება მონაცემების შეგროვებიდან შეყვანამდე, სხვადასხვა ეტაპზე შინამეურნეობის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მდებარეობის დასადაგენად;

სექცია 2: დემოგრაფიული მონაცემები - მოიცავს კითხვებს შინამეურნეობის შემადგენლობის დასადაგენად და ინტერვიუსთვის შესაფერის ქალთა სიიდან, შემთხვევითი წესით (უახლოესი დაბადების დღის თარიღის მიხედვით), ერთი ქალის შესარჩევად;

სექცია 3: შინამეურნეობის კითხვარი - ამ სექციაში მოცემული კითხვები მთელ შინამეურნეობას ეხება. კითხვარი ყოველ იმ შინამეურნეობაში შეივსო, სადაც ქალი რესპონდენტი გამოიკითხა;

ქალთა კითხვარის ინდივიდუალური თანხმობის ფორმა (რომლის შესაბამისად, პოტენციური რესპონდენტი ინფორმაციას იღებს მოცემული კვლევის შესახებ. ფორმა პოტენციურ რესპონდენტს უფლებას აძლევს, ნებისმიერი კითხვა დაუსვას ინტერვიუერს და გადანწყიტოს, სურს თუ არა კვლევაში მონაწილეობა) **და შემდეგ 12 ნაწილს შეიცავს:**

ნაწილი 1. რესპონდენტი და მისი გარემო - კითხვარის ამ ნაწილში მიიღება საერთო ხასიათის მნიშვნელოვანი ინფორმაცია რესპონდენტის და მის გარემო მყოფი საზოგადოების/გარემოცვის შესახებ;

ნაწილი 2. ბავშვების გამოცდილება - ეს ნაწილი ეხება ბავშვობისდროინდელ არასასურველ გამოცდილებას, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მომავალში მოძალადედ და მსხვერპლად ჩამოყალიბებაზე; ასევე - სიცოცხლის განმავლობაში ჯანმრთელობასა და შესაძლებლობებზე;

ნაწილი 3. საერთო ჯანმრთელობა - ამ ნაწილის დანიშნულება რესპონდენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებაა: ზოგადი ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა და სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა;

ნაწილი 4. რეპროდუქციული ჯანმრთელობა - მოცემული ნაწილის კითხვები ყველა რესპონდენტს დაუსვებს. კითხვები, შეიძლება, ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: ინფორმაცია ორსულობის, მშობიარობათა და შვილების რაოდენობის შესახებ და ქალების მიერ კონტრაცეპციის გამოყენებაზე;

ნაწილი 5. ბავშვები - ეს ნაწილი მოიცავს კითხვებს ბოლო ბავშვის დაბადების შესახებ და ინფორმაციას 15 წლამდე ასაკის ბავშვებზე;

ნაწილი 6. ამჟამინდელი/ბოლო პარტნიორი/მეუღლე - ეს ნაწილი მოიცავს საერთო კითხვებს ამჟამინდელი/ბოლო პარტნიორის/მეუღლის შესახებ;

ნაწილი 7. განწყობები და დამოკიდებულებები - იგი ქალების დამოკიდებულებას ეხება კაცებისა და ქალების შესაფერისი როლების მიმართ და რესპონდენტის განწყობას ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვადასხვა მტკიცებების შესახებ;

ნაწილი 8. რესპონდენტი და მისი პარტნიორი/მეუღლე - ამ ნაწილში ქალების მიერ გადატანილი ძალადობა განიხილება, რომელიც პარტნიორმა სხვადასხვა ფორმით (ეკონომიკური, ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური) განახორციელა;

ნაწილი 9. ტრავმები - ამ ნაწილის კითხვები რესპონდენტის ამჟამინდელი/ყოფილი პარტნიორის/მეუღლის ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად მიღებულ ტრავმებს ეხება;

ნაწილი 10. გემოქმედება და დაძლევა - იგი ეხება ქალებს, რომლებმაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ან/და სექსუალური

ძალადობის შესახებ განაცხადეს და იმის დასადგენად შეიცავს კითხვებს, თუ რა გავლენა იქონია პარტნიორის/მეუღლის მოქმედებამ რესპონდენტზე;

ნაწილი 11. სხვა გამოცდილება - ეს მოდული რესპონდენტის მიერ ცხოვრებაში მიღებულ ნეგატიურ გამოცდილებასა და გადატანილი ძალადობის სხვადასხვა ფორმას (გაუპატიურება, ძალადობა, სექსუალური შევიწროება, ადევნება) ეხება არაპარტნიორის მხრიდან;

ნაწილი 12. ინტერვიუს დასრულება - ამ ნაწილში რესპონდენტი ბარათის მეშვეობით ნებაყოფლობით ამხელს ინფორმაციას ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობის შესახებ, რომლის თაობაზეც მას არასოდეს უსაუბრია. ეს ნაწილი რესპონდენტისა და ინტერვიუერის კომენტარებსაც შეიცავს.

კაცების განწყობებისა და დამოკიდებულებების კითხვარი სამი ნაწილისგან შედგება და, მეტ-ნაკლებად, ქალთა კითხვარის შესაბამისი ნაწილების მსგავსია:

- ✓ თავფურცელი;
- ✓ შინამეურნეობების შერჩევის ფორმა კაცებისთვის;
- ✓ შინამეურნეობების კითხვარი;
- ✓ ორი ნაწილისგან შემდგარი ინდივიდუალური კითხვარი: „რესპონდენტი და მისი გარემო“ და „საზოგადოებრივი განწყობები და დამოკიდებულებები“.

2.1.3 ძალადობის გავრცელების გავრცელება

2.1.3.1 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა

ფიზიკური

ამჟამინდელ თქვენს პარტნიორს/მეუღლეს ან რომელიმე სხვა პარტნიორს/მეუღლეს გაუკეთებია თუ არა ოდესმე შემდეგი:

- ა) სილა გაგანნათ ან გესროლათ რაიმე ნივთი, რაც ზიანს მოგაყენებდათ?
- ბ) ხელი გკრათ ან თმებზე მოგქაჩათ?
- გ) დაგარტყათ მუშტი ან რაიმე მძიმე ნივთი, რომელსაც თქვენი დასახიჩრება შეეძლო?
- დ) ფეხი დაგარტყათ, გათრიათ ან გცემათ?
- ე) გახრჩობდათ ან განზრახ დაგნავათ?
- ვ) გემუქრობდათ დანით ან ცეცხლსასროლი იარაღით, ან გამოუყენებია ისინი თქვენს წინააღმდეგ?

სექსუალური

- ა) თქვენს ამჟამინდელ პარტნიორს/მეუღლეს, ან რომელიმე სხვა პარტნიორს/მეუღლეს ოდესმე თუ უცდია ან გაიძულათ სქესობრივი კავშირი, როდესაც თქვენ ეს არ გინდოდათ (მაგალითად, გამოინებდათ ან ძალით გაკავებდათ)?
- ბ) ოდესმე თუ გქონიათ სქესობრივი კავშირი თქვენი სურვილის წინააღმდეგ იმის შიშით, რომ თქვენი მეუღლე/პარტნიორი რაიმეს დაგიშავებდათ?
- გ) ოდესმე თუ გაიძულებდათ თქვენი რომელიმე მეუღლე/პარტნიორი რაიმე სხვა, სექსუალური ხასიათის ქმედებას, რომელსაც თქვენ დამამცირებლად ან შეურაცხმყოფელად თვლიდით?

ფსიქოლოგიური ძალადობა⁴⁰

ამჟამინდელ თქვენს პარტნიორს/მეუღლეს ან რომელიმე სხვა პარტნიორს/მეუღლეს გაუკეთებია თუ არა ოდესმე შემდეგი:

- ა) შეურაცხყოფა მოგაყენათ ან მოიქცა ისე, რომ საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა შეგექმნათ?
- ბ) გითხრათ ან მოგექცათ ისე, რომ თქვენ დამცირებულად იგრძენით თავი გარშემომყოფთა წინაშე?
- გ) მოიქცა ისე, რომ დაგაფრთხოთ ან დაგაშინათ?
- დ) გაანადგურა ან დააზიანა თქვენთვის მნიშვნელოვანი ნივთები?
- ე) გემუქრობდათ თქვენთვის ან თქვენთვის ძვირფას ადამიანებისთვის ზიანის მიყენებით?

მაკონტროლებელი ქცევა

- ა) არ მოგცათ თქვენი მეგობრის (დაქალის) ნახვის საშუალება?
- ბ) გიზღუდავდათ მშობლიურ ოჯახთან კონტაქტს?
- გ) იქცეოდა ისე, რომ თავს ყოველთვის მისი კონტროლის ქვეშ გრძნობდით ან გემინოდათ?
- დ) ხელს გიშლიდათ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობაში?

ეკონომიკური

აკეთებს ან ოდესმე გაუკეთებია თუ არა თქვენს ამჟამინდელ/ბოლო პარტნიორს/მეუღლეს შემდეგი:

- ა) გიკრძალავდა(და)თ სამსახურის დაწყებას, მუშაობას, ვაჭრობას, ფულის შოვნას ან შემოსავლის მომტან საქმიანობაში მონაწილეობას?

40 ფსიქოლოგიური ძალადობა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კითხვარის უახლესი ვერსიის მიხედვით, ემოციურ ძალადობასა და მაკონტროლებელ ქცევას მოიცავს.

- ბ) გართმევ(და)თ თქვენს შემოსავალს თქვენი ნება-სურვილის წინააღმდეგ?
- გ) არ გაძლევ(და)თ ფულს, როცა გჭირდება(ოდ)ათ საოჯახო ხარჯებისთვის, თვითონ კი სხვა მიზნებისთვის (ალკოჰოლი და სიგარეტი) იყენებ(და)ს მას?

ძალადობა ორსულობის დროს

- ა) თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენს მეუღლეს/პარტნიორ(ებ)ს თქვენთვის დაერთყათ ან ეცემეთ ორსულობის დროს?
- ბ) ორსულობის დროს მუცელში თუ დაურტყამთ თქვენთვის?

2.1.3.2 ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან

სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან
 თქვენი სიცოცხლის მანძილზე, ბავშვობის ჩათვლით, რომელიმე კაცმა, გარდა თქვენი პარტნიორის/მეუღლისა, თუ:

- ა) გაიძულათ სქესობრივი კავშირის დამყარება თქვენი სურვილის წინააღმდეგ მუქარით, ძალის გამოყენებით ან ისეთ სიტუაციაში ჩადებით, როდესაც თქვენ არ შეგეძლოთ უარის თქმა? გაიხსენეთ როგორც ნაცნობი, ისე უცნობი პირები. აქ არ ჩათვალოთ ძალადობის მცდელობები;
- ბ) დაამყარა თქვენთან სქესობრივი კავშირი, როდესაც თქვენ საკმაოდ ნასვამ მდგომარეობაში იყავით ან ისეთ მდგომარეობაში, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ შეგეძლოთ?
- გ) გაიძულათ ან დაგიყოლიათ, რომ თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, სქესობრივი კავშირი დაგმყარებინათ ერთ კაცზე მეტთან ერთდროულად?
- დ) ხომ არ ეცადა ვინმე, მაგრამ ვერ მიაღწია წარმატებას, სქესობრივი კავშირი დაემყარებინა თქვენთან, თქვენი სურვილის წინააღმდეგ, მაგ., ძალის გამოყენებით ან თქვენი ისეთ სიტუაციაში ჩაყენებით, რომ არ შეგეძლოთ უარის თქმა?
- ე) შეგეხოთ თუ არა ვინმე სექსუალურად თქვენი სურვილის წინააღმდეგ? იგულისხმება მკერდზე ან სხეულის ინტიმურ ნაწილებზე შეხება;
- ვ) დაგაძალათ/გაიძულათ თუ არა ვინმემ, შეხებოდით მისი სხეულის ინტიმურ ნაწილებს თქვენი სურვილის წინააღმდეგ?

სექსუალური შევიწროება

ახლა, მინდა, რომ იფიქროთ ნებისმიერ კაცზე ან ქალზე, თქვენი პარტნიორის/მეუღლის გარდა (ვისაც ოდესმე ჰყოლია მეუღლე/პარტნიორი). გარდა იმისა,

რაც უკვე აღნიშნეთ, შეგიძლიათ, მითხრათ, თქვენი სიცოცხლის მანძილზე თუ ჩაიდინა ვინმემ თქვენს მიმართ შემდეგი:

- ა) არასასიამოვნო შეხება, მოხვევა ან კოცნა?
- ბ) უხერხული, დაუინებელი მზერა, რომელმაც თქვენ თავი დამცირებულად გაგრძნობინათ?
- გ) თქვენთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი სექსუალური ხასიათის კომენტარები ან ხუმრობები?
- დ) გამოკვეთილად სექსუალური ხასიათის სურათების, ფოტოების ან საჩუქრების გამოგზავნა ან ჩვენება, რამაც შეურაცხყოფის გრძნობა გაგიჩინათ?
- ე) შეუფერებელი სახის (უხამსი) დაპატიუება პაემანზე?
- ვ) მომაბეზრებელი კითხვები თქვენს პირად ცხოვრებაზე, რაც თავს შეურაცხყოფილად გაგრძნობინებთ?
- ზ) მომაბეზრებელი კომენტარები თქვენს გარეგნობაზე, რაც თქვენთვის საწყენია ან შეურაცხმყოფელი?
- თ) არასასურველი, გამოკვეთილად სექსუალური ხასიათის ელექტრონული წერილები, ტექსტური შეტყობინებები ან შეუფერებელი გაარშიყება სოციალურ ქსელებში (როგორცაცაა, ფეისბუკი, ან სხვა სოციალური ქსელები), რაც თქვენ შეურაცხყოფთ?
- ი) ვინმე გაჩვენებდათ თავისი სხეულის ინტიმურ ნაწილებს ან სასქესო ორგანოს თქვენი სურვილის წინააღმდეგ?
- კ) ვინმე გაძალადებდათ პორნოგრაფიული მასალის ყურებას ან დათვალიერებას თქვენი სურვილის წინააღმდეგ?

ადევნება

ახლა, მინდა, რომ იფიქროთ ნებისმიერ კაცზე ან ქალზე (რესპონდენტებისთვის, ვისაც ოდესმე მეუღლე/პარტნიორი ჰყოლია, განმარტეთ: გარდა იმ პირისა, რომელიც აღნიშნული შემთხვევების დროს თქვენი მეუღლე/პარტნიორი იყო). იმის გარდა, რაც უკვე აღნიშნეთ, შეგიძლიათ, მითხრათ, მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე თუ ჩაუდენია ვინმეს მსგავსი ქმედებები არაერთხელ ან ასეთ ქმედებებს ჰქონდა თუ არა განმეორებითი ხასიათი?

- ა) გიგზავნიდათ ელექტრონულ წერილებს ან ტექსტურ შეტყობინებებს, რომლებიც შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი იყო?
- ბ) გიგზავნიდათ შეურაცხმყოფელ ან მუქარის შემცველ წერილებს ან ღია ბარათებს?
- გ) ახორციელებდა შეურაცხმყოფელ, მუქარის შემცველ ან უხმო სატელეფონო ზარებს?
- დ) ინტერნეტით აკეთებდა შეურაცხმყოფელ კომენტარებს თქვენ შესახებ?

- ე) აზიარებდა თქვენს ინტიმურ ფოტოებს ან ვიდეოებს?
- ვ) ხეტილობდა ან გელოდებოდათ სახლთან, სამუშაო ადგილთან ან სკოლასთან საპატიო მიზეზის გარეშე, ან მიზანმიმართულად დაგყვებოდათ?
- ზ) მიზანმიმართულად გიშლიდათ ხელს ან აზიანებდა თქვენს საკუთრებას?

პირველი სექსუალური კავშირის იძულებითი ან ძალადობრივი გამოცდილება

- ა) როგორ აღწერდით თქვენს პირველ სექსუალურ კავშირს? არ გქონდათ მისი სურვილი და მანინგ მოხდა, თუ მოხდა ძალის გამოყენებით?

2.1.3.3 ბავშვობაში განცდილი ძალადობა

ბავშვობაში განცდილი ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულვებელყოფა

- სანამ 18 წლის გახდებოდით:
- ა) არ გქონდათ საკმარისი საკვები?
 - ბ) სხვადასხვა დროს სხვადასხვა შინამეურნეობაში ცხოვრობდით?
 - გ) ოჯახის რომელიმე წევრმა გითხრა, რომ იყავით უსარგებლო/უუნარო ან სულელი/დებილი?
 - დ) ოჯახის რომელიმე წევრმა შეურაცხყოფა მოგაყენათ სხვების წინაშე?
 - ე) მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე ისე დათვრა ალკოჰოლით/იყო ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, რომ თქვენზე ზრუნვის ძალა არ შესწევდათ?
 - ვ) ისე იყავით გასული სახლიდან, რომ არცერთმა უფროსმა არ იცოდა, სად იყავით?

თქვენი თანდასწრებით თუ უძალადიან თქვენს დედაზე?

- სანამ 18 წლის გახდებოდით:
- ა) დაინახეთ ან მოგესმათ, თუ როგორ სცემდა თქვენს დედას მისი პარტნიორი/მეუღლე?

ბავშვობაში გადატანილი ფიზიკური ძალადობა

- სანამ 18 წლის გახდებოდით:
- ა) საკუთარ სახლში გცემეს ჯოხით, ქაშრით, მათრახით ან სხვა რაიმე საგნით?
 - ბ) საკუთარ სახლში ისე მაგრად გცემეს, რომ სხეულზე დაგრჩათ იარა ან ჩალურჯებული ადგილი/სისხლ-ჩაქცევები?
 - გ) სკოლაში გცემათ ან ფიზიკურად დაგსაჯათ მასწავლებელმა ან სკოლის სხვა წარმომადგენელმა?

ბავშვობაში სექსუალური ძალადობა

- სანამ 18 წლის გახდებოდით:
- ა) რაიმე კონკრეტული საჭიროების გარეშე (როგორც, მაგალითად, სამედიცინო მკურნალობა) ვინმე თუ შეგხებიათ საჯდომზე ან სასქესო ორგანოებზე ან გაიძულებდათ, შეხებოდით თქვენი სურვილის გარეშე?
 - ბ) გქონდათ სქესობრივი კავშირი კაცთან, რომელიც 5 ან მეტი წლით უფროსი იყო თქვენზე?
 - გ) გქონდათ სქესობრივი კავშირი ვინმესთან დაძინების, შიშის ან იძულების გამო?

2.1.3.4 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან კვლევის მონაწილე ქალების მიერ განცდილი ფიზიკური ძალადობის სიმძიმე

- ნაკლებად მძიმე ხარისხის ძალადობა:**
რესპონდენტმა დადებითად უპასუხა ა) ან/და ბ) კითხვას მისი მეუღლის/პარტნიორის შესახებ (და უარყოფითად უპასუხა გ) - ე) კითხვებს):
- ა) სილა გაგანათ ან გესროლა რაიმე ნივთი, რაც თქვენ ზიანს მოგაყენებდათ?
 - ბ) ხელი გკრათ?

- მძიმე ხარისხის ძალადობა:**
რესპონდენტმა დადებითად უპასუხა ქვემოთ მოცემულ ერთ ან რამდენიმე კითხვას მისი პარტნიორის/მეუღლის შესახებ:
- გ) დაგარტყათ მუშტი ან რაიმე ისეთი მძიმე საგანი, რომელსაც თქვენი დასახიჩრება შეეძლო?
 - დ) ფეხი დაგარტყათ, მინაზე გათრიათ ან გცემათ?
 - ე) გახრჩობდათ ან განზრახ დაგწვათ?

2.1.4 სავალე პერსონალის შერჩევა და ტრენინგი

წინამდებარე კვლევის სავალე სამუშაოებში მონაწილე ინტერვიუერებისათვის საჭირო მოთხოვნები სხვა კვლევათა უმეტესობისგან განსხვავდებოდა. კვლევაში მოცემული მგრძობიარე კითხვების ბუნებიდან გამომდინარე, ყველა შერჩეული ინტერვიუერი უნდა ყოფილიყო ქალი, რომელსაც შერჩევით გამოკვლევაში მონაწილეობის გამოცდილება ექნებოდა. კაცების გამოკითხვა მამრობითი სქესის ინტერვიუერთა მიერ მოხდა. ამ პრინციპით, საქართველოს მასშტაბით, 10 რეგიონიდან 159 ინტერვიუერი შეირჩა. სავალე პერსონალის რაოდენობამ სულ 181 ადამიანი შეადგინა, რომელთა შორის 22 რეგიონული ზედამხედველი და 159 ინტერვიუერი იყო.

საველე პერსონალის ტრენინგი ორ ეტაპად მიმდინარეობდა 7 ქალაქში, 2017 წლის 10-18 აგვისტოს. ტრენინგის ხანგრძლივობამ 3 დღე შეადგინა. საველე პერსონალს შედარებით პატარა რეგიონებიდან (გურია,

მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) ტრენინგი მებოზელი რეგიონების წარმომადგენლებთან ერთად ჩაუტარდა.

ცხრილი 2.1:

საველე პერსონალის ტრენინგი მისი ადგილმდებარეობის მიხედვით

საველე პერსონალი	ტრენინგის ადგილი	რეგიონული მუდამხედველების რაოდენობა	ინტერვიუების რაოდენობა
შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი	გორი	4	32
ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	თბილისი	4	29
აჭარის ა. რ., გურია	ბათუმი	4	25
სამეგრელო-ზემო სვანეთი	სენაკი	2	16
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ქუთაისი	3	23
კახეთი	თელავი	2	15
თბილისი	თბილისი	3	19

საველე პერსონალის ტრენინგი კვლევის კითხვარისა და მეთოდოლოგიის შემუშავებაში ჩართულმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა. ტრენინგი წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით გაიმართა:

პირველი დღე: ტრენინგის ნახევარი დღე კვლევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, რესპონდენტის ნდობის მოპოვებასა და წარმატებული ინტერვიუს ჩატარების ტექნიკას დაეთმო. დღის მეორე ნახევარში კი დეტალურად განიხილეს დემოგრაფიული კითხვარი და ქალების კითხვარის პირველი ოთხი ნაწილი;

მეორე დღე: მეორე დღე მთლიანად ქალების კითხვარსა და კაცების განწყობებისა და დამოკიდებულებების კითხვარის დარჩენილ ნაწილებს მიეძღვნა. დღის ბოლოს საველე პერსონალს დაევალა დემოგრაფიული კითხვარისა და ქალების კითხვარის შევსება სხვადასხვა შინამეურნეობაში და შევსებული კითხვარის განსახილველად ჩაბარება ტრენინგის მესამე დღეს;

მესამე დღე: დღის პირველი ნახევარი ინტერვიუების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზსა და ინტერვიუს ჩატარების დროს წარმოქმნილი საკითხების დეტალურ განხილვებს დაეთმო; დღის მეორე ნახევარი კი - პრაქტიკულ აქტივობებს, საველე პერსონალის მიერ იმპროვიზირებული ინტერვიუს

ერთმანეთისთვის ჩატარების ჩათვლით. მონაცემთა ანალიზი საქსტატის გამოცდილმა სტატისტიკოსებმა გააკეთეს, ხოლო ანალიზთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარება, ცხრილების შაბლონის მიწოდების ჩათვლით, საერთაშორისო კონსულტანტმა განახორციელა.

2.1.5 შერჩევის დიზაინი და საპიზნე პრეზენტაცია

2.1.5.1 შერჩევის დიზაინი

კვლევის შერჩევის ჩარჩოდ მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა გამოიყენეს. ამასთან, გადაწყდა ორეტაპიანი კლასტერული შერჩევის გამოყენებაც, **სადაც შერჩევის პირველადი ერთეული (შპე) –** სააღწერო უბანი და **შერჩევის მეორადი ერთეული (შპე)** შინამეურნეობის მისამართი იქნებოდა. შერჩევის ცდომილების შემცირების მიზნით გამოყენებული სტრატეგიები შემდეგ ცვლადებს შეიცავდა:

რეგიონები:

1. კახეთი;
2. თბილისი;
3. შიდა ქართლი;
4. ქვემო ქართლი;
5. სამცხე-ჯავახეთი;
6. აჭარის ა. რ.;
7. გურია;
8. სამეგრელო-ზემო სვანეთი;

9. იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი;
10. მცხეთა-მთიანეთი.

დასახლების ტიპები:

1. საქალაქო დასახლებები (დიდი, საშუალო და პატარა ქალაქები);
2. სასოფლო დასახლებები.

საერთო ჯამში, 20 სტრატა დადგინდა.

თითოეულ სტრატაში ქალი და კაცი რესპონდენტებისთვის განსხვავებული შპე-ები შეირჩა. თითო შინამეურნეობაში ერთი რესპონდენტი გამოიკითხა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეროვნულ დონეზე ცდომილების სიდიდე ქალებისთვის 1.6 პროცენტულ პუნქტს, ხოლო კაცებისთვის 3.0 პროცენტულ პუნქტს არ აღმატებოდა, ქალი რესპონდენტებისთვის 670 შპე (6700 ინდივიდუალური ინტერვიუ, 10 ინტერვიუ შპე-ში) შეირჩა, ხოლო კაცი რესპონდენტებისთვის – 228 შპე (1824 ინდივიდუალური ინტერვიუ, 8 ინტერვიუ შპე-ში).

რეგიონების მიხედვით, პირველადი მონაცემების ანალიზის გასამართივებად, თითოეულ რეგიონში შერჩეული შინამეურნეობების განაწილება ამ რეგიონში შინამეურნეობების რაოდენობის კვადრატული ფესვის პროპორციულად მოხდა, ხოლო რეგიონის შიგნით შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობა საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ შინამეურნეობათა თანაფარდობის მიხედვით განაწილდა. კვადრატული ფესვის პროპორციული განაწილება ზრდის მცირე რეგიონების წილს (შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობას) რეგიონის შიგნით შინამეურნეობების რაოდენობის პროპორციულ განაწილებასთან შედარებით.

შერჩევის პირველი ეტაპი: თითოეულ სტრატაში შპე-ები ზომის პროპორციული ალბათობის მეთოდით (PPS) შეირჩა, ხოლო შპე-ების რაოდენობა შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობის 12-ზე გაცივით განისაზღვრა. თუ შინამეურნეობის რაოდენობა რეგიონში აღინიშნება H_i -ით, გამოსაკითხი შინამეურნეობის მთლიანი რაოდენობა – n -ით, ხოლო რეგიონში გამოსაკითხი შინამეურნეობების რაოდენობა – n_i -ით, მაშინ რეგიონში გამოსაკითხი შინამეურნეობების რაოდენობის გაანგარიშება შემდეგი ფორმულით შეიძლება:

$$n_i = \frac{\sqrt{H_i}}{\sum \sqrt{H_i}} n$$

შერჩევის მეორე ეტაპი: რეგიონში გამოსაკითხი შინამეურნეობების რაოდენობა (n_i) დასახლების ტიპის ზომის პროპორციულად განაწილდა:

$$n_{ik} = \frac{H_{ik}}{H_i} n_i$$

სადაც, H_{ik} არის შერჩეული შინამეურნეობების k -ური რაოდენობა ქალაქად და სოფლად i -ურ რეგიონში:

$$\sum_1^k H_{ik} = H_i$$

2.1.5.2 დამატებითი შინამეურნეობების რაოდენობის განსაზღვრა

იქიდან გამომდინარე, რომ ქალი რესპონდენტებისთვის კვლევის მონაცემები 4 განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით უნდა გაანალიზებულიყო, თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის აუცილებელი გახდა საკმარისი რაოდენობის პასუხების მიღება. სამიზნე ერთობლიობის შედარებით მცირე კლასტერს 15-17 წლის ქალების ასაკობრივი ჯგუფი (შინამეურნეობების 5% 15-17 წლის ასაკის ქალებს მოიცავს) წარმოადგენს, ხოლო მთლიანი გამოუპასუხებლობის დონე 25%-ია. ამდენად, ქალთა ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის საკმარისი რაოდენობით შევსებული კითხვარების მისაღებად შემთხვევითი შერჩევის გამოყენება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, თითოეულ შპე-ში 30 შინამეურნეობა შეირჩა, რომელთაგან 14-ში რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის (უახლოესი დაბადების დღის თარიღი) მეთოდით უნდა გამოკითხულიყვნენ, ხოლო 16 შინამეურნეობაში ინტერვიუერს მხოლოდ ერთი ინტერვიუ უნდა ჩაეტარებინა 15-17 წლის ასაკის ქალთან (თუ ის ხელმისაწვდომი იყო ინტერვიუსთვის). ამგვარად, რესპონდენტების მაქსიმალურმა რაოდენობამ შპე-ში 15 ქალი შეადგინა.

ანალოგიურად, გამოუპასუხებლობის მოსალოდნელი 25% მაჩვენებლის გათვალისწინებით, კაცი რესპონდენტის შერჩევის ზომამ თითოეულ შპე-ში 11 პირი შეადგინა.

შემდგომ, გამოპასუხების 90%-იანი დონის უზრუნველ-
საყოფად, ქალებისა და კაცების შერჩევას, შესა-

ბამისად, 50 და 102 შპე დაემატა. შერჩევის საბოლოო
განაწილება მოცემულია ცხრილებში 2.2 და 2.3.

ცხრილი 2.2:

შერჩეული შპე-ებისა და შინამეურნეობების განაწილება სტრატეგის მიხედვით ქალთა კითხვარისათვის

რეგიონი	შპე			შმე		
	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ
კახეთი	16	54	70	240	810	1,050
თბილისი	111	-	111	1,665	-	1,665
შიდა ქართლი	26	38	64	390	570	960
ქვემო ქართლი	33	41	74	495	615	1,110
სამცხე-ჯავახეთი	22	38	60	330	570	900
აჭარის ა. რ.	41	28	69	615	420	1,035
გურია	15	41	56	225	615	840
სამეგრელო-ზემო სვანეთი	33	45	78	495	675	1,170
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	39	45	84	585	675	1,260
მცხეთა-მთიანეთი	12	42	54	180	630	810
საქართველო	348	372	720	5,220	5,580	10,800

ცხრილი 2.3:

შერჩეული შპე-ებისა და შინამეურნეობების განაწილება სტრატეგის მიხედვით კაცების განწყობებისა და
დამოკიდებულებების კითხვარისათვის

რეგიონი	შპე			შმე		
	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ
კახეთი	8	23	31	88	253	341
თბილისი	85		85	935		935
შიდა ქართლი	11	15	26	121	165	286
ქვემო ქართლი	15	15	30	165	165	330
სამცხე-ჯავახეთი	8	12	20	88	132	220
აჭარის ა. რ.	18	12	30	198	132	330
გურია	5	13	18	55	143	198
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10	19	29	110	209	319
იმერეთი	19	26	45	209	286	495
მცხეთა-მთიანეთი	4	12	16	44	132	176
საქართველო	183	147	330	2,013	1,617	3,630

2.1.6 კვლევის ორგანიზება და სავლე სამუშაოები

კვლევა პირისპირ ინტერვიუების მეთოდით ჩატარდა. რეგიონებში სავლე სამუშაოების ჩატარებაზე რეგიონული ზედამხედველები იყვნენ პასუხისმგებელნი. სავლე ზედამხედველების მოვალეობებში საჯირო მოსამზადებელი საქმიანობის განხორციელება,

სავლე სამუშაოების ორგანიზება და მართვა და შევსებული კითხვარების პირველადი ლოგიკური კონტროლი შედიოდა. სავლე პერსონალის რაოდენობამ, საქართველოს მასშტაბით, 181 კაცი შეადგინა 22 რეგიონული ზედამხედველისა და 159 ინტერვიუერის ჩათვლით.

ცხრილი 2.4: სავლე პერსონალის განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რეგიონული ზედამხედველების რაოდენობა	ინტერვიუერების რაოდენობა	სავლე პერსონალი სულ
კახეთი	2	15	17
თბილისი	3	19	22
შიდა ქართლი	2	18	20
ქვემო ქართლი	2	16	18
სამცხე - ჯავახეთი	2	14	16
აჭარის ა. რ.	2	15	17
გურია	2	10	12
სამეგრელო -ზემო სვანეთი	2	16	18
იმერეთი რაჭა - ლეჩხუმი	3	23	26
მცხეთა მთიანეთი	2	13	15
საქართველო	22	159	181

სავლე სამუშაოების დროს, შეცდომების შესამცირებლად, სავლე ზედამხედველებს მოეთხოვებოდათ, სავლე სამუშაოების დაწყებიდან რამდენიმე დღეში გაეკონტროლებინათ ინტერვიუერების მიერ შევსებული კითხვარები და გამოვლენილ შეცდომებთან დაკავშირებით დამატებითი მითითებები მიეცათ მათთვის.

სავლე სამუშაოები 2017 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 29 სექტემბერს დასრულდა.

2.1.7 ხარისხის კონტროლის მექანიზმები

კვლევის საბოლოო შედეგების სისწორე გამოკითხული შინამეურნეობებიდან შეგროვებული მონაცემების ხარისხზე დამოკიდებული. სათანადო ტრენინგისა და მონაცემთა დამუშავების მიუხედავად, მათი ხარისხი, შეიძლება, მაინც არაა დამაკმაყოფილებელი იყოს, თუკი მათი შეგროვების პროცესში არ არსებობს კონტროლის სათანადო მექანიზმები.

ინტერვიუერთამუშაოების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სავლე სამუშაოების დაწყებიდან ორ კვირაში შევსებული კითხვარები საქსტატის ცენტრალურ ოფისში გაიგზავნა. კითხვარები ტრენერთა ჯგუფმა შეამოწმა, რომელმაც შესაბამისი მითითებები მიანდა სავლე პერსონალს. გამოვლენილი ხარვეზები ზედამხედველებთან ერთად განიხილეს და მათ შემდგომი მითითებები მიეცათ.

სავლე პერსონალს, ასევე, მიანდეს ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო, რომელშიც სხვადასხვა აქტივობა და ხარისხის კონტროლის პროცედურები იყო აღწერილი უბნების აქტუალიზაციის, ინტერვიუების პროცესის მართვისა და მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემების ადრეულ ეტაპზე აღმოსაჩენად. სახელმძღვანელო ზედამხედველების მიერ ინტერვიუერის შესრულებული სამუშაოს მართვისა და ზედამხედველის კითხვარის გამოყენებით შემთხვევითი შემოწმებების ჩატარების საკითხებსაც შეიცავდა.

2.1.8 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

მონაცემები ქალაქის კითხვარის გამოყენებით შეგროვდა. კომპიუტერში კი მათი შეყვანა MS Access-ის ბაზაზე სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული პროგრამის საშუალებით მოხდა. მონაცემთა ბაზებში ჩანერილი მონაცემების შესაბამისობისა და ლოგიკური კავშირების შესამოწმებლად ლოგიკური კონტროლების სია მომზადდა, რომელშიც კითხვარის სტრუქტურის შესაძლო შეუსაბამობები და დარღვევები დეტალურადაა განხილული. არასრული და შეუსაბამო მონაცემები კითხვარების გამოყენებით გადამოწმდა. შეუსაბამობების გამოსასწორებლად, საჭიროების შემთხვევაში, სავლელ პერსონალთან ან/და რესპონდენტებთან დაკავშირება ხდებოდა.

ლოგიკური კონტროლის დასრულების შემდეგ სამუშაო ჯგუფმა მონაცემთა ბაზა განმინდა. მონაცემთა განმინდის მთავარი ამოცანა შედარებით კომპლექსური შეუსაბამობებისა და ხარვეზების აღმოჩენა და მათი გასწორება იყო.

მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის ყველა ეტაპზე SPSS და MS Access კომპიუტერული პროგრამები გამოიყენებოდა.

2.1.9 ეთიკისა და უსაფრთხოების საკითხები

2.1.9.1 კვლევის სენსიტიური ხასიათი

შინამეურნეობების კვლევისას ქალთა მიმართ ძალადობა საკმაოდ სენსიტიური თემაა. სირცხვილის, თვითდადანაშაულების ან ძალადობის შესაძლო გამოვლენების გამო, ქალებსა და კაცებს ძალადობის საკუთარი გამოცდილების გამჟღავნება არ სურთ. თუმცა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოებრივი კვლევა უკვე მთელ მსოფლიოში ჩატარდა და როგორც მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევის ოჯახებში ჩატარება, ეთიკისა და უსაფრთხოების საკითხების დაცვით, სრულიად შესაძლებელია. ასევე, იკვეთება, რომ სათანადო გარემოში კონფიდენციალურობის დაცვითა და განსჯის გარეშე გამოკითხვის შემთხვევაში, მრავალი ქალი და კაცი საუბრობს ძალადობის საკუთარ გამოცდილებაზე და ამას სასარგებლოდაც მიიჩნევს.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევის ჩატარებისას არაერთი ეთიკური საკითხის გათვალისწინებაა სავალდებულო. საერთო გამოცდილებაზე დაყრდნობით, „ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის საერთაშორისო ქსელი“ (International Re-

search Network on Violence Against Women) ხაზს უსვამს: კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მნიშვნელობას; კვლევის შედეგად რესპონდენტისათვის დამატებითი ზიანის მიყენების თავიდან არიდების საჭიროებას (რესპონდენტისთვის ტრავმის განმეორებით მიყენების ჩათვლით); დახმარების არსებული წყაროების შესახებ რესპონდენტის ინფორმირების საჭიროებას; და, ინტერვიუერის მიერ რესპონდენტის გადაწყვეტილებებისა და არჩევანის პატივისცემის მნიშვნელობას.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევის ჩატარებისას გათვალისწინებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ეთიკური სტანდარტები.⁴¹

2.1.9.2 ინდივიდუალური თანხმობა

თითოეული ინტერვიუს დაწყებამდე რესპონდენტებს კვლევის მიზნის, მოსალოდნელი რისკებისა და სარგებლის შესახებ ზეპირი ინფორმაცია მიეწოდება. არსებული რისკიდან გამომდინარე, რომ ქალებმა, შესაძლოა, კვლევის შინაარსის აღმწერი დოკუმენტი შეინახონ, ინფორმაცია მათ მხოლოდ ზეპირი ფორმით მიეწოდება.

ინტერვიუერი რესპონდენტს ინტერვიუს ჩასატარებლად სიტყვიერ თანხმობას სთხოვს. შემდეგ კითხვარში აღნიშნავს თანხმობის მოთხოვნის პროცედურის შესრულების შესახებ და იყო თუ არა მიღებული შესაბამისი ნებართვა ინტერვიუს ჩატარებაზე.

ზეპირი თანხმობა საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტული პრაქტიკაა ქალთა მიმართ ძალადობის კვლევისას და ქართული ნორმატიული ჩარჩოდან გამომდინარე მოთხოვნებსაც შეესაბამება. ამასთან, ეს მიღებული პრაქტიკაა საქსტატის კვლევებშიც.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუ კვლევა არასრულწლოვნებთან (15-17 წლის) ტარდება, ბავშვობაში გადატანილი ძალადობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება სავალდებულო არ არის. შესაბამისად, შესაძლებელია და რეკომენდებულიც, რომ სრულწლოვანთათვის არსებული პროცედურების

41 WHO, 2016. *Ethical and safety recommendations for intervention research on violence against women. Building on lessons from the WHO publication, 'Putting women first: ethical and safety recommendations for research on domestic violence against women'* Geneva: World Health Organisation.

მსგავსად, თანხმობის იგივე პროცედურები ჩატარდეს არასრულწლოვანთათვის, რაც აუცილებელია კონფიდენციალურობის წესების დასაცავად.

მაშინ, როდესაც ზოგიერთ კვლევაში არასრულწლოვანთათვის მიღებული პრაქტიკაა თანხმობის ორი პროცედურის (ორი ფორმა: ერთი მშობლების მიერ ხელმოწერილი და მეორე – თავად არასრულწლოვნის მიერ) გავლა, იგივე რეკომენდებული არ არის ქალთა მიმართ ძალადობის კვლევისას იქიდან გამომდინარე, რომ თუკი მშობლებს თანხმობის ფორმის შევსებას მოსთხოვენ, მათ, შესაძლოა, ხელმოწერამდე კითხვარში ჩახედვა მოინდომონ, რაც კონფიდენციალურობას უქმნის საფრთხეს და გამოპასუხებაზე უარის რაოდენობას ზრდის.

თანხმობის პროცედურის თანახმად, მონაწილე ინფორმირებულია, რომ შეგროვებული მონაცემები მკაცრი კონფიდენციალურობის დაცვით შეინახება. ინტერვიუერი წინასწარ აფრთხილებს მონაწილეს, რომ კვლევა პირად და სენსიტიურ თემებზე შეიცავს კითხვებს. რესპონდენტს შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერვიუ და გამოტოვოს მისთვის არასასურველი ნებისმიერი კითხვა.

2.1.9.3 ნებაყოფლობითი მონაწილეობა

კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და რაიმე ფორმით ნახალისებას არ ითვალისწინებს.

2.1.9.4 კონფიდენციალურობა

რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დიდი ნაწილი უადრესად პირადულია. ძალადობრივი ურთიერთობების დინამიკის ფონზე ძალადობის მტკივნეული დეტალების ოჯახის გარე პირისთვის გამხელამ, შესაძლოა, ძალადობის განმეორება გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ, კვლევიდან და ძალადობაგადატანილ ქალებთან ჩანერილი ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს.

შეგროვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დასაცავად შემდეგი მექანიზმები გამოიყენება:

- ✓ ყველა ინტერვიუერი მკაცრ ინსტრუქციებს იღებს კონფიდენციალურობის დასაცავად. არცერთი ინტერვიუერი არ ჩაატარებს ინტერვიუს საკუთარ საცხოვრებელ გარემოში;
- ✓ კითხვარებში არ ჩაიწერება სახელები. ამის ნაცვლად შინამეურნეობებს მიენიჭებათ უნიკალური

კოდები. კითხვარის შინამეურნეობის ადგილმდებარეობასთან დამაკავშირებელი საიდენტიფიკაციო ნიშნები კითხვარებისაგან განცალკევებულად ინახება და კვლევის დასრულების შემდეგ ნადგურდება. კითხვარების ერთმანეთისგან გასარჩევად ყოველი მომღვეწო ანალიზისთვის კოდები გამოიყენება;

- ✓ კვლევის მიგნებების პრეზენტაციისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია, ცალკეული უბნის ან პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის გამოსარიცხად, სათანადო ხარისხით იყოს დაჭამებული.

2.1.9.5 რესპონდენტებისა და მკვლევარების ფიზიკური უსაფრთხოება

რესპონდენტებისა და ინტერვიუერების ფიზიკური უსაფრთხოება, უპირველესად, მნიშვნელოვანია მოძალადის პოტენციური ანგარიშსწორებისგან დასაცავად. თუ კვლევის არსი შინამეურნეობის ან უფრო ფართო საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი, შესაძლოა, ინტერვიუს თემა ოჯახში მოძალადემაც შეიტყოს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის კვლევაში მონაწილეობამ კი მოძალადის მხრიდან, შეიძლება, შემდგომი ძალადობა გამოიწვიოს, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს რესპონდენტს ან ინტერვიუერთა ჯგუფს ინტერვიუს ჩატარებამდე, ინტერვიუს პროცესში ან მის შემდგომ. სწორედ ამიტომ, კვლევის შინაარსის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, შემდეგი ღონისძიებები გამოიყენება:

- ✓ იმისათვის, რომ რესპონდენტებმა სხვებისთვის კვლევის ახსნა შეძლონ, კვლევების სახელწოდება განისაზღვრება როგორც ქალების/კაცების ჯანმრთელობისა და ცხოვრებისეული გამოცდილების კვლევები და მათი გაცნობა ადგილობრივ და შინამეურნეობის დონეზე სწორედ ამ გზით ხდება;
- ✓ გამოკითხვები ტარდება მხოლოდ განცალკევებულ გარემოში. ინტერვიუზე დასწრება მცირეწლოვანი (ორ წლამდე ასაკის) ბავშვებისათვის არის მხოლოდ შესაძლებელი. საჭიროების შემთხვევაში, ინტერვიუს ჩასატარებლად ადგილი, შეიძლება, შინამეურნეობების გარეთ (მაგალითად, ახლომდებარე მინდვრები, ადგილობრივი კლინიკა, ეკლესია) შეირჩეს;
- ✓ რესპონდენტს შეუძლია ინტერვიუს დროის (ან ადგილის) შეცვლა იმ დროისათვის (ან იმ ადგილას), რომელიც უფრო უსაფრთხო ან

- კომფორტული იქნება მისთვის;
- ✓ ინტერვიუერებს ჩაუტარდათ სწავლება, როგორ შეაჩერონ ან შეცვალონ განხილვის თემა, თუკი ინტერვიუში გარე პირი ჩაერთვება. ინტერვიუს დროს ინტერვიუერი აფრთხილებს რესპონდენტს, რომ ის შეწყვეტს ან შეცვლის საუბრის თემას, თუ ინტერვიუში ვინმე ჩაერთვება და, საჭიროების შემთხვევაში, ამ კითხვებს დაუბრუნდება შემდგომ. ინტერვიუს ხელის შეშლის სიტუაციებთან დაკავშირებული გამოცდილების მისაღებად ინტერვიუერების ტრენინგი ისეთ როლურ თამაშებსაც მოიცავდა, რომლებშიც სხვადასხვა შესაძლო სიტუაციები იყო იმიტირებული;
 - ✓ ყველა ზედამხედველსა და ინტერვიუერს მიეცა ჯანმრთელობის შესახებ ფიქტიური კითხვარი, რომლის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, თუკი ადგილობრივი თემის ლიდერი ან ხელისუფლების წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვდა კითხვარის ასლის ნახვას.

2.1.9.6 არ მიაყენო ზიანი და პატივი ეცი ქალების გადანწყვტილებებსა და არჩევანს

ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობა მგრძობიარე, სტიგმატიზებული საკითხია, რის გამოც ქალები ხშირად შიშობენ, რომ მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაში მათვე დაადანაშაულებენ. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ ძალადობისა და მისი შედეგების შესახებ კითხვები დელიკატურად და განსჯის გარეშე დაისვას.

როგორც ზემოთ ითქვა, არსებობს გარკვეული მტკიცებულებები, რომ ბევრ ქალს სასარგებლოდ მიაჩნია ძალადობის შესახებ საკუთარ გამოცდილებაზე საუბარი. ამასთან, ზოგიერთმა მონაწილემ, შესაძლოა, გაიხსენოს საშიში, დამამცირებელი ან განსაკუთრებით მტკივნეული გამოცდილების შესახებაც და ამან უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს. ამიტომ ინტერვიუერებს დასმული კითხვების რესპონდენტზე შესაძლო ეფექტის შესახებაც ჩაუტარდათ ტრენინგები და მითითებები მიეცათ, რომ ინტერვიუ საჭიროებისამებრ დაესრულებინათ, განსაკუთრებით - უარყოფითი ეფექტის შემთხვევაში.

ქალთა კითხვარის შედგენისას გაითვალისწინეს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ კითხვების ფრთხილი და დელიკატური გზით დასმის საკითხი. მაგალითად, კითხვარის იმ ნაწილის დასაწყისში, რომელიც ქალთა მიერ განცდილ

ძალადობას იკვლევს, აღნიშნულია საკითხის სენსიტიური ხასიათი. უშუალოდ ძალადობის შესახებ კითხვების დასმამდე გამოიყენება ზოგადი ფრაზები იმის წარმოსაჩენად, რომ ოჯახში ძალადობა ფართოდ გავრცელებული ფენომენია. ეს რესპონდენტს ეხმარება ძალადობის ფაქტის გამჟღავნებაში და ათავისუფლებს შიშისგან, რომ დაადანაშაულებენ ან განსჯიან მას.

თითოეული ინტერვიუ პოზიტიურად უნდა დასრულდეს, რაც დაეხმარება რესპონდენტებს, წინ აღუდგნენ ძალადობას და მასთან გამკლავების სტრატეგიები გააუმჯობესონ. კითხვარები ხელით დაწერილ ორ დასკვნას მოიცავს - ერთი იმ ქალებისთვის, ვინც გადატანილი ძალადობის ფაქტი გაამჟღავნა და მეორე მათთვის, ვინც არ გაამჟღავნა ან არ გამოუცდია ძალადობა. პირველ მათგანში ხაზგასმულია მონოდებული ინფორმაციის მნიშვნელობა, რესპონდენტის ძლიერი მხარე, გადატანილი ძალადობის მიუღებლობა და ასევე - ინფორმაცია მსხვერპლთათვის არსებული მომსახურებების შესახებ.

მკვლევარებსა და სავლე პერსონალს ჩაღრმავებული ტრენინგები ჩაუტარდათ. ტრენინგების დროს კვლევის მეთოდებთან ერთად განიხილეს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ინტერვიუერმა ქალთან, რომელიც მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ განაცხადებს და, საჭიროებისამებრ, დაეხმაროს კიდევ მას. ამასთან, ინტერვიუერებმა მიიღეს მითითებები, რომ დახმარება შესაბამისი თხოვნის შემთხვევაშიც აღმოუჩინონ ქალებს, თუმცა მათ ისეთი ქმედებისაკენ არ უნდა უბიძგონ, რომლისთვისაც ეს უკანასკნელი მზად არ იქნება.

2.1.9.7 მკვლევარებისა და სავლე პერსონალის საჭიროებების გათვალისწინება

მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების მაღალი დონე ნიშნავს, რომ კვლევის პერსონალის ერთ წევრს მაინც პირადად გამოუცდია ძალადობა ან ეს გამოცდილება ოჯახში აქვს. ამან, ერთი მხრივ, შესაძლოა, გააუმჯობესოს ინტერვიუერის უნარები და გაზარდოს მისი თანაგრძობა, თუმცა კვლევის პროცესში მონაწილეობამ (როგორც ინტერვიუერის, ზედამხედველის ან სტატისტიკოსის), შეიძლება, მისი მოგონებების, ემოციების, შინაგანი დაბნეულობისა და კონფლიქტის პროვოცირებაც მოახდინოს. ამგვარმა რეაქციებმა კი უარყოფითად იმოქმედოს მის მუშაობაზე, ჯანმრთელობაზე, დაძაბულობა გამოიწვიოს სახელში

და ა. შ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სავლელ პერსონალს ან მკვლევარს ძალადობა პირადად არ გამოუცდია, შვინრობებისა და ძალადობის ამსახველი ისტორიების მოსმენა მაინც მძიმე და დამთრგუნველია.

მკვლევარებისა და სავლელ პერსონალის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა მექანიზმები შემუშავდა. ეს საკითხები ღიად განიხილეს ტრენინგებში და რესპონდენტებს პროექტში მონაწილეობაზე უარის თქმის შესაძლებლობა მიეცათ. კვლევის დროს კი დაიგეგმა რეგულარული შეხვედრები, რომელზეც მათ მოსმენილი ისტორიების განხილვისა და თავიანთი გრძნობების გამოხატვის საშუალება ჰქონდათ; შედეგად, ესაუბრათ, თუ რა გავლენა მოახდინა მათზე ამ გამოცდილებამ. ასეთი შეხვედრები სავლელ სამუშაოების დროს სტრესის შემცირებისა და უარყოფითი შედეგების აცილებისთვის იყო გამიზნული. აღნიშნული ზომების მიუხედავად, შეიძლება, ზოგიერთმა ინტერვიუერმა ნაკლებად ემოციური სამუშაოს შესრულება მოითხოვოს, დასჭირდეს შესვენება ან საერთოდ გამოეთიშოს კვლევას. აქედან გამომდინარე, ინტერვიუერების რაოდენობის განსაზღვრისას, კვლევის განმავლობაში ინტერვიუერთა რაოდენობის 10%-იანი გადინებაა გათვალისწინებული. ინტერვიუერების მიერ კვლევიდან წასვლის შემთხვევაშიც, მათ მიეცემათ სრული ანაზღაურება, რათა შექმნილი სირთულეების გამო ფინანსური სარგებელი არ დაკარგონ მათ.

2.1.9.8 მონაცემთა გავრცელების საზიანო ეფექტი
კვლევის შედეგები მეცნიერული სიზუსტით გავრცელდა. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ყველა საზოგადოებასა და სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში გვხვდება. განსაკუთრებული ყურადღება კი იმას მიექცა, რომ კვლევის შედეგები ერთი ჯგუფის სხვაზე „უარესად“ წარმოჩენის საშუალებად არ გამოიყენონ.

2.1.9.9 კრიზისულ სიტუაციაში ჩარევა
კვლევის დაწყებამდე გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი შესაბამისი მომსახურებების მიმწოდებლებს დაუკავშირდნენ, მათ შორის: ჯანდაცვის, იურიდიულ, სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში მო-

ღვანე სახელმწიფო სამსახურებს.

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და საქსტატმა იმ უწყებების სია შეადგინეს, რომელთაც მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეეძლოთ კვლევის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ. ეს სია ყველა რესპონდენტს გადაეცა მიუხედავად იმისა, განაცხადა თუ არა მან მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ.

2.1.9.10 კაცების გამოკითხვა

კაცებისათვის განკუთვნილი კითხვარი მხოლოდ მათი დამოკიდებულებებისა და კანონმდებლობის ცოდნის შესახებ შეიცავდა კითხვებს. ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე კითხვები მოძალადეებისა და ძალადობის გამოცდილების შესახებ შეტანილი არ იყო კითხვარში. კაცების გამოკითხვა გამოკითხული ქალებისაგან განსხვავებულ შინამეურნეობებსა და უბნებში მოხდა.

2.2 თვისებრივი კვლევა

2.2.1 თვისებრივი კვლევის სტრუქტურა და მონაცემთა შეროვნება

თვისებრივი კვლევა 2017 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა. მონაცემები 2 ქალაქსა და სოფლის ტიპის 3 დასახლებაში შეგროვდა, მათ შორის: თბილისში და ქუთაისში (ქალაქი) და კახეთში, ქვემო ქართლსა და გურიაში (სოფლად). რეგიონების შერჩევა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და კვლევის მიზნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით მოხდა. უზრუნველყოფილი იყო, ასევე, ადგილმდებარეობის მრავალფეროვნებაც - კვლევამ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რეგიონები მოიცვა.

მომსახურებების მიმწოდებლები, ადგილობრივი თემის წევრები (ქალები, კაცები და ახალგაზრდები), ძალადობაგადატანილი ქალები და მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები ძირითად რესპონდენტთა გამოკითხვებში (ძრგ), ჩაღრმავებულ ინტერვიუებში და ფოკუს ჯგუფების განხილვებში (ფჯგ) მონაწილეობდნენ.

ცხრილი 2.5:

თვისებრივი კვლევის სტრუქტურა

ჯგუფი	მეთოდი	ფჯგ-ის/ ინტერვიუების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდ.	მდებარეობა
მომსახურებების მიმწოდებლები	ძრგ	15	-	ქალაქი
	ფჯგ	4	31	თბილისი
ძალადობა გადატანილი ქალები	ჩადრმავებული ინტერვიუ	12	-	დასახლებები ქალაქად და სოფლად – გურია, ქუთაისი თბილისი, ქვემო ქართლი, კახეთი
მონყვლადი ჯგუფები	ფჯგ	4	29	თბილისი, სიღნაღი, გორი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავშესაფარი
ადგილობრივი მოსახლეობის წამომადგენლები	ფჯგ	10	88	ქალაქები – თბილისი, მარნეული
არასამთავრობო ორგანიზაციები, სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე ქალები	ფჯგ	2	12	დასახლებები ქალაქად და სოფლად – თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი, გურია, ქუთაისი

2.2.2 შერჩევის და სამიზნე პართობლიობა

ქვემოთ მოცემულია იმ სამიზნე ჯგუფების დეტალური აღწერა, რომლებიც თვისებრივი კვლევისა და ინტერვიუების/ფჯგ-ების შესწავლის ობიექტია სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში.

15 ძირითად რესპონდენტთა გამოკითხვები მომსახურების მიმწოდებლებთან ჩატარდა. მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების შესაბამისი განყოფილებების უფროსები იმ მომსახურებების მიწოდების სრული სურათის შესაქმნელად გამოიკითხნენ, რომლებიც ძალადობაგადატანილი პირებისთვის იყო გამიზნული, მონყვლადი ჯგუფების ჩათვლით. კვლევაში სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

თუ ძრგ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად იყო სასარგებლო, რიგითი ადამიანების მხრიდან დანახული სურათის დასაფიქსირებლად **ფოკუს ჯგუფების 4 განხილვა ჩატარდა მომსახურების მიმწოდებლებთან**, რომლებიც ადგილობრივი საზოგადოების წევრებთან ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობენ. ეს მოიცავდა 2 ფჯგ-ს სასოფლო დასახლებებში (გურია და ქვემო ქართლი) და 2 ფჯგ-ს საქალაქო დასახლებებში

(ქუთაისი და თბილისი). ფჯგ-ებში სხვადასხვა ტიპის მომსახურების მიმწოდებლები მონაწილეობდნენ, როგორცაა: პოლიცია, სოციალური მუშაკები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შერეული ჯგუფების მიდგომა განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმას უზრუნველყოფდა ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ქალთა მიმართ ძალადობის დონის შესასწავლად, ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებული გამოცდილების გათვალისწინების გზით, **12 ჩადრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ძალადობაგადატანილ ქალებთან**, რომლებიც სხვადასხვა (სამთავრობო და არასამთავრობო) ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მომსახურებებით სარგებლობდნენ, მათ შორის:

- ✓ ძალადობაგადატანილ 2 პირთან თბილისის თავშესაფრიდან (სახელმწიფო);
- ✓ ძალადობაგადატანილ 2 პირთან სიღნაღის თავშესაფრიდან (სახელმწიფო);
- ✓ ძალადობაგადატანილ 5 პირთან გორის თავშესაფრიდან (სახელმწიფო);
- ✓ ძალადობაგადატანილ 3 პირთან ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავშესაფრიდან (არასამთავრობო).

4 ფჯგ ჩატარდა მონყვლადი ჯგუფების ნარმომადგენლებთან ეთნიკური უმცირესობების ქალების, მიგრანტი ქალების, ლბტ ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ჩათვლით. ფჯგ-ები მიზნად ისახავდა დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას ამ ჯგუფების განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ და ამ საჭიროებებზე მომსახურებების უკეთ მორგების შესაძლებლობებზე.

10 ფჯგ ჩატარდა ადგილობრივი თემების ნარმომადგენლებთან სასოფლო და საქალაქო დასახლებებში. ფჯგ-ში ყურადღება გამახვილდა ქართული კონტექსტიდან გამომდინარე ქალთა მიმართ ძალადობის ხელშემწყობი შეხედულებებისა და სოციალური ნორმების შესწავლაზე. განხილვები ჩატარდა სრულწლოვან კაცებთან, ქალებთან და ახალგაზრდებთან, მათ შორის:

- ✓ 2 ფჯგ 26 წლის და უფროსი ასაკის სრულწლოვან კაცებთან გურიასა და ქვემო ქართლში (სოფლად);
- ✓ 2 ფჯგ 26 წლის და უფროსი ასაკის სრულწლოვან ქალებთან გურიასა და კახეთში (სოფლად);
- ✓ 2 ფჯგ 26 წლის და უფროსი ასაკის სრულწლოვან კაცებთან იმერეთში/ქუთაისში და თბილისში (ქალაქად);
- ✓ 2 ფჯგ 26 წლის და უფროსი ასაკის სრულწლოვან ქალებთან იმერეთში/ქუთაისში და თბილისში (ქალაქად);
- ✓ 1 ფჯგ 20-25 წლის ახალგაზრდებთან (ბიჭებთან და გოგოებთან) იმერეთში/ქუთაისში (ქალაქად);
- ✓ 1 ფჯგ 14-19 წლის ახალგაზრდებთან (ბიჭებთან და გოგოებთან) კახეთში (სოფლად).

2.2.3 მონაცემთა შეგროვების პროცესი

ძირითად რესპონდენტებთან დაკავშირება ფორმალური წერილების მეშვეობით მოხდა, რომლებშიც ინტერვიუზე მონაწილესთან ერთად, განმარტებული იყო კვლევის მიზნები.

ადგილობრივ თემებთან მომუშავე პირებმა, რომლებიც თითოეულ ადგილზე იყვნენ მიმავრებული, ფჯგ-ებში მონაწილეობის მისაღებად მომსახურების მიმწოდებლები მოიწვიეს. ქალაქში ფჯგ-ებში მომსახურების 17 მიმწოდებელი მონაწილეობდა, ხოლო სოფლად - 14. სულ, ფჯგ-ებში მომსახურების 31 მიმწოდებელი მონაწილეობდა.

4 განსხვავებული ფჯგ ჩატარდა ქალებთან ზემო-სხენებული ჯგუფებიდან. მონაწილეებთან დაკავშირება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით მოხდა. კვლევაში, სულ, 29 ქალი ჩაერთო მონაწილეობაში ჯგუფებიდან, მათ შორის:

- ✓ 10 აზერბაიჯანელი ქალი;
- ✓ 4 იმიგრანტი ქალი (ლტოლვილები ერაყიდან და ეგვიპტელები);
- ✓ 6 ლბტ ქალი;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 9 ქალი (ფსიქიკური და ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ქალები).

მარნეულში აზერბაიჯანელ ქალებთან ჩატარებული ფჯგ-ის გარდა, ყველა დანარჩენი ფჯგ თბილისში ჩატარდა. მონაწილეები განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლებით (ასაკი, განათლება, შემოსავლის დონე) შეირჩა. სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები მონაწილე იყვნენ შესაბამის ფჯგ-ზე, რომელიც სურდოთარგმანით იყო უზრუნველყოფილი. ლბტ ჯგუფთან ფჯგ-ის მოდერატორი ამავე ჯგუფთან დაკავშირებული პირი იყო, რაც მეტ გახსნილობასა და გულახდილობას განაპირობებდა. ფჯგ ეთნიკური უმცირესობების ნარმომადგენლებთან რუსულ ენაზე ჩატარდა, ხოლო იმიგრანტებთან ფჯგ არაბულ-ქართული თარგმანით იყო უზრუნველყოფილი. მონაწილეთა თანხმობით, თითოეული განხილვის აუდიო ჩანერა და შემდგომ მათი სტენოგრაფირება მოხდა.

ჩადრმავებული ინტერვიუების დროს გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ საკვლევი ჯგუფის მონაწილეობისა და სენსიტიურობის მაღალი დონიდან გამომდინარე, თავშესაფრებში შეღწევა გარეშე პირთათვის შეზღუდული იქნებოდა. ამიტომ გაეროს ქალთა ორგანიზაციამ რესპონდენტებთან დაკავშირების პროცესში შუამდგომლობა გაუწია კონსულტანტებს. ამ უკანასკნელთა შერჩევა გამიზნულად განხორციელდა განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი, განათლება, შემოსავალი და სხვ.) მქონე პირთა გამოცდილების ასახვის მიზნით. ასეთმა მიდგომამ, ძალადობის განსაკუთრებული ხასიათისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ამ ქალთა გამოცდილების შესწავლას შეუწყო ხელი. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუ მხოლოდ იმ პირებს ჩაუტარდათ, რომლებიც ძალადობის შემცველ ურთიერთობებში აღარ არიან.

ფაქტების ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივ საზოგადოებასთან მუშაობის გამოცდილების მქონე პირები მიმაგრებული იყვნენ კვლევის თითოეულ ადგილზე. ამ პირთა პასუხისმგებლობა იყო ადგილობრივი საზოგადოების წევრთა მონვევა ფაქტებში მონაწილეობის მისაღებად. კაცები და ქალები მინვეული იყვნენ განცალკევებულ განხილვებზე, ხოლო განხილვები ახალგაზრდა ბიჭებთან და გოგობთან ერთად ჩატარდა. თითოეული ჯგუფის მონაწილეებს განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ჰქონდათ ასაკის, განათლებისა და შემოსავლის დონის თვალსაზრისით. მონაწილეთა შერჩევის დამატებითი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო ის, რომ ერთმანეთის ნაცნობები არ უნდა ყოფილიყვნენ. ფაქტებისთვის მონაწილეთა შერჩევის პროცესში ადგილობრივ თემებთან მომუშავე პირები აღნიშნული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ. საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ჯგუფის მოდერატორების სქესი შესაბამისი ჯგუფის მონაწილეთა სქესს ემთხვეოდა, ანუ ფაქტების კაცი მოდერატორები სრულწლოვან კაცებთან მუშაობდნენ, ხოლო ქალი მოდერატორები – ქალებთან.

თვისებრივი კვლევის თავდაპირველი სტრუქტურა **სექსუალური შევიწროების** საკითხს არ შეიცავდა, თუმცა როგორც რაოდენობრივ მონაცემთა წინასწარი ანალიზიდან გამოჩნდა, ქალების დიდმა ნაწილმა სექსუალური შევიწროების გამოცდილებაზე ისაუბრა. შესაბამისად, თავდაპირველ გეგმას **ორი ფაქტ** დაემატა აღნიშნულ საკითხზე. ერთი ფაქტ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (6 მონაწილე) ჩატარდა, ხოლო მეორე – ქალებთან, რომელთაც სიცოცხლის განმავლობაში სექსუალური შევიწროება გამოუცდიათ (6 მონაწილე).

ყველა ზემოხსენებული ფაქტ და ინტერვიუ ორმა მკვლევარმა ჩაატარა. ერთი მკვლევარი განხილვების მოდერაციას ახდენდა, ხოლო მეორე - შესაბამის ჩანაწერებს აკეთებდა. ფაქტებისა და ძრგ-ების ჩატარების სახელმძღვანელოები ქართულად ითარგმნა, თითოეული სამიზნე ჯგუფის თავისებურებებზე მორგების მიზნით. ეს სახელმძღვანელოები კვლევითი სამუშაოების ჩატარებამდე გაეროს ქალთა ორგანიზაციამ დაამტკიცა.

2.2.4 ანალიზის სტრატეგია

მონაცემთა ანალიზი, რომელიც რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვების დასრულების შემდეგ განხორ-

ციელდა, რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. თავდაპირველად, გამოკითხვებისა და ფაქტების აუდიოჩანაწერების სტენოგრაფირება მოხდა და მკვლევარებმა, მასალების გაცნობის მიზნით, თითოეული ჩანაწერი გულდასმით წაიკითხეს. პირველადი ჩანაწერები თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის და ფაქტებთან და ძრგ-ებთან დაკავშირებული თავდაპირველი შთაბეჭდილებები მკვლევარებმა ანგარიშის სტრუქტურის შესადგენად განიხილეს.

ანალიზის მეორე ეტაპზე, სტენოგრამების ხელმეორედ წაკითხვის შემდეგ, მკვლევარებმა მონაცემთა თემატური კოდირება მოახდინეს. სუბიექტურობის გამორიცხვის მიზნით, კოდირება ოთხი მკვლევარის მიერ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხორციელდა. შემდგომში კი, მკვლევარებმა თემატური კოდები ერთობლივად განიხილეს და კოდირების ერთიანი ჩარჩო შეიმუშავეს. სტენოგრამული ჩანაწერები შემდეგ აღნიშნული კოდების მიხედვით დაჯგუფდა და ამის საფუძველზე მონაცემთა ანალიზი ჩატარდა.

2.2.5 ეთიკური ასპექტები

1. რესპონდენტთა ინფორმირებული თანხმობა

თითოეულ მონაწილეს კვლევის ყველა ასპექტის შესახებ მიენოდა ინფორმაცია, რაც კვლევაში მათ მონაწილეობაზე დადებითი ზემოქმედებისთვის იყო გამიზნული. ინდივიდუალური თანხმობის პროცედურები უზრუნველყოფდა იმას, რომ რესპონდენტს გააზრებული ჰქონოდა კვლევის მიზანი და მისი მონაწილეობა ნებაყოფლობითი ყოფილიყო. ინტერვიუები/ფაქტ-ები მხოლოდ რესპონდენტთა ზეპირი თანხმობის მიღების შემდეგ ჩატარდა. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო და მონაწილეთა რაიმე ფორმით წახალისებას არ ითვალისწინებდა.

2. კონფიდენციალურობა

კარგად არის ცნობილი, რომ ქალთა მიმართ ძალადობის კვლევაში რესპონდენტების უსაფრთხოებას და მათი სიცოცხლესაც კი, შეიძლება, საფრთხე შეექმნას. ამგვარად, კონფიდენციალურობის დაცვა არსებითი პრიორიტეტია მონაწილეთა უსაფრთხოებისა და მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად. ამისათვის, კვლევის გუნდმა ყველა სახის კონფიდენციალური ჩანაწერის დაცულ ადგილას შენახვა და მათზე წვდომის შეზღუდვა უზრუნველყო. რესპონდენტებს ცხადად განემარტათ, რომ მონაცემთა შემგროვებლები მათ კონფიდენციალურობას დაიცავდნენ.

მონაწილეებთან დაკავშირება ამ ჯგუფებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით მოხდა. შეგროვებულ მონაცემთა შესახებ ჩანაწერები ანალიზის დასრულებისთანავე განადგურდა. კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელის ან/და სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაციის შემცველი არც ერთი ჩანაწერი არ მოხვედრილა წერილობით მასალებში. კვლევის მიმდინარეობისას ადგილი არ ჰქონდა არც ერთ ინციდენტს, რომელსაც კვლევის ეთიკურ სტანდარტებზე გავლენის მოხდენა შეეძლო.

2.3 კვლევის ძლიერი მხარეები და შეზღუდვები

კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის ჩატარების არსებულ საერთაშორისო მეთოდოლოგიებს დაეყრდნო. ამასთან, ისევე როგორც სოციალური მეცნიერების ყველა კვლევას, მასაც გარკვეული შეზღუდვები ჰქონდა. პირველი, კვლევაში გამოყენებული იყო ჯვარედინი (Crosssectional) შესწავლის მეთოდი. ამდენად, ქალთა მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან განცდილ ძალადობასთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების განსაზღვრა შეუძლებელი გახდა; მეორე, ძალადობის ირგვლივ არსებულ სტიგმებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაძლოა, რესპონდენტებისთვის ძალადობის ფაქტების გამჟღავნებაში შეეშალა ხელი, ძალადობის გამოცდილების გამხელას კი ფაქტების გახსენებაში ცდომილება გამოეწვია. მკვლევართა ჯგუფმა ყველა შესაძლო ნაბიჯი გადადგა ფაქტების გამხელისა და გახსენების ცდომილების შესამცირებლად, მათ შორის, საკვლევი ინსტრუმენტების სტანდარტიზების, კითხვარების წინასწარი ტესტირებისა და ინტერვიუერთა ინტენსიური სწავლების მეშვეობით. საერთაშორისო კვლევებიდან ჩანს, რომ ინტერვიუერთა ჩაღრმავებული ტრენინგები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის საკითხებზე სანდო შედეგებს უფრო დიდი ალბათობით იძლევა. ასეთივე დიდი ალბათობით, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები სრულყოფილად ვერ ასახავს ძალადობის გავრცელების რეალურ მაჩვენებლებს საქართველოში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებთან ჩატარებულ ფჯგ-ებში მონაწილეობდნენ ქალები სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობებით. ამ ჯგუფების წარმომადგენლებს განსაკუთრებული

საჭიროებები ჰქონდათ. თუმცა, დროის სიმცირიდან გამომდინარე, თითოეული ჯგუფის წინაშე მდგარი გამოწვევების სიღრმისეული განხილვა შეუძლებელი იყო. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია ფჯგ-ების თითოეულ ჯგუფთან ცალკე ჩატარება. ფჯგ-ები სურდოთარგმანით იყო უზრუნველყოფილი, რამაც, სავარაუდოდ, დადებითად იმოქმედა მონაწილეთა გახსნილობაზე და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე.

ფჯგ ეთნიკურ უმცირესობებთან აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტში, მარნეულში ჩატარდა. შესაბამისად, ფჯგ-ის მონაწილეები აზერბაიჯანელი ქალები იყვნენ. ამდენად, კვლევაში სხვა ეთნიკური ჯგუფების გამოცდილებების ჩართვა შეუძლებელი შეიქნა. ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვები თავშესაფრებში ჩატარდა, ამიტომ კვლევამ თავშესაფრის გარეთ მყოფი ქალების შეხედულებები და გამოცდილება ვერ მოიცვა.

კვლევას რამდენიმე ძლიერი მხარე აქვს. შერჩევის დიზაინი ქალებზე და კაცებზე ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობითი შედეგების მისაღებად იყო გამიზნული. ქალებისა და კაცების შერჩევა წარმომადგენლობითი იყო ეროვნულ დონეზე, რაც კვლევის შედეგების მთელი ქვეყნის მასშტაბით განზოგადების საშუალებას გვაძლევს, ანუ კვლევაში მოხვედრილი ქალებისა და კაცების გამოცდილება მთელი ქვეყნისათვის წარმომადგენლობითია იმის მიუხედავად, რომ კვლევაში არ მონაწილეობდა ქვეყნის ყველა ქალი და კაცი. ქალთა მიმართ ძალადობის შესასწავლად კვლევაში გამოყენებული იყო შერეული მეთოდების მიდგომა. ქალებისა და კაცებისგან კვლევისათვის მიღებული მონაცემები ძალადობის შეფასებებს ზოგადი ერთობლიობის დონეზე იძლევა და ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის დამახასიათებელ ფაქტორებს ცხადყოფს. კვლევის თვისებრივი კომპონენტი კი ქალთა მიმართ ძალადობის გარშემო არსებული საკითხების, აღქმების, დამოკიდებულებებისა და სოციალური ნორმების კვლევის საშუალებას იძლევა. ამგვარი თვისებრივი მონაცემები ქმნის კონტექსტს რაოდენობრივი მონაცემების ინტერპრეტაციისა და გააზრებისთვის. ერთად კი ეს კომპონენტები საქართველოს კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობის ერთიან სურათს გვიჩვენებს.

2.4 კვლევის ეროვნული მესაკუთრეობა და მონაწილეობა

კვლევის ეროვნული მესაკუთრეობა და მასში მონაწილეობა კვლევის ეროვნული საკონსულტაციო ჯგუფის შექმნით იყო უზრუნველყოფილი. ამ ჯგუფის წევრები საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ სახელმწიფო უწყებებიდან, სამოქალაქო სექტორიდან, გაეროდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სამეცნიერო წრეებიდან.

კვლევის ეროვნული საკონსულტაციო ჯგუფი საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის განსახორციელებლად კოორდინაციის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. კვლევის განმახორციელებელი გუნდისთვის ჯგუფი აზრთა გაცვლის საკონსულტაციო პლატფორმად ფუნქციონირებდა. აღნიშნული ფორმატის ფარგლებში კვლევის განმახორციელებელი ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებში საკონსულტაციო ჯგუფის მდიდარ გამოცდილებასა და ექსპერტიზას ეყრდნობოდა. ჯგუფი ჩართული იყო როგორც კვლევის მიზნებისა და მასშტაბის განსაზღვრაში, ისე მის შემდგომ ფაზებშიც, მათ შორის, კვლევის შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებაში.

თავი 3. გამოკასუხების დონე და რესპონდენტთა მახასიათებლები

3.1 გამოკასუხების დონე

ამ ნაწილში განხილულია შინამეურნეობებისა და მათი ცალკეული წევრების გამოკასუხების დონე.

3.1.1 შინამეურნეობების გამოკასუხების დონე

კვლევის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ინტერვიუერებს გამოკასუხების დაბალი მაჩვენებლისა და ზოგიერთ ადგილებში შინამეურნეობებში შეუღწევ-

ლობის გარკვეული შიში და მოლოდინი ჰქონდათ, თუმცა კვლევაში გამოკასუხების მაჩვენებელმა მაინც მაღალ ნიშნულს მიაღწია. ჯამში 7,380 შინამეურნეობა გამოიკითხა; შერჩეულ შინამეურნეობებში გამოკასუხების დონემ 68.3% შეადგინა; შედარებით მცირე იყო მონაწილეობაზე უარი (6%); შინამეურნეობების 13.5% სახლში არ იმყოფებოდა, მათი 5.6 % კი შერჩეულ მისამართზე აღარ ცხოვრობდა (ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1:
შინამეურნეობების გამოკასუხების დონე

შედეგები შინამეურნეობების დონეზე	რაოდენობა	%
შინამეურნეობების გამოკასუხება (დასრულებული ინტერვიუ)	7,380	68.3
შინამეურნეობების უარი ინტერვიუზე	3,420	31.7
უარი განაცხადეს მონაწილეობაზე	650	6.0
არავინ იმყოფებოდა სახლში	1,454	13.5
შინამეურნეობა ადგილზე იყო, მაგრამ ინტერვიუ არ ჩატარებულა სხვა მიზეზების გამო	94	0.9
არავინ ცხოვრობს შერჩეულ მისამართზე	607	5.6
ბინა (სახლი) არ გამოიყენება საცხოვრისის სახით (გამოიყენება სხვა დანიშნულებით)	133	1.2
გამოკასუხებლობა დამატებით შინამეურნეობებში	482	4.5
შინამეურნეობები სულ	10,800	100.0

3.1.2 ინდივიდუალური გამოკასუხების დონე (მალეები)

ცხრილი 3.2 ინდივიდუალური გამოკასუხების დონეს ასახავს. ინდივიდუალური ინტერვიუები ჩატარდა კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების 81.4%-ში;

16.4%-ს არ ჰყავდა შინამეურნეობის შესაფერისი წევრი; 1.3%-ში შესაფერისი წევრი (უახლოესი დაბადების დღის მიხედვით) არ იმყოფებოდა სახლში; ზოგ შემთხვევაში კი რესპონდენტი სახლში იმყოფებოდა, მაგრამ ინტერვიუზე უარი განაცხადა (0.7 %) (ცხრილი 2).

ცხრილი 3.2:

ინდივიდუალური გამოკვლევების დონე

შედეგები ინდივიდუალურ დონეზე	რაოდენობა	%
ინდივიდუალური გამოკვლევა (დასრულებული ინტერვიუ)	6,006	81.4
ინდივიდუალური უარი (შეივსო მხოლოდ შინამეურნეობების კითხვარი)	1,374	18.6
შინამეურნეობაში არ არის ინდივიდუალური ინტერვიუს შესაბამისი წევრ(ებ)ი	1,212	16.4
შინამეურნეობაში არის ინდივიდუალური ინტერვიუს შესაბამისი წევრ(ებ)ი, მაგრამ შესაბამისი რესპონდენტი შინ არ იმყოფებოდა	94	1.3
შინამეურნეობაში არის ინდივიდუალური ინტერვიუს შესაბამისი წევრ(ებ)ი, მაგრამ შესაბამისმა რესპონდენტმა უარი განაცხადა ინტერვიუზე	52	0.7
სხვა მიზეზი	16	0.2
გამოკითხვაში მონაწილე შინამეურნეობათა რაოდენობა	7,380	100.0

გარსია-მორენო და სხვები (2005) ამტკიცებენ, რომ „ვინაიდან ქალები, როგორც წესი, სტიგმატიზებული და დადანაშაულებული არიან განცდილ ძალადობაში, ძალადობის გადაჭარბებული მაჩვენებლების მიღება ნაკლებად სავარაუდოა“⁴². ზემოაღნიშნული სტიგმა და დადანაშაულების ფაქტორი გავლენას ახდენს ქალების სურვილზე - გაამჟღავნონ ძალადობის გამოცდილება. კვლევის ინსტრუმენტების სტანდარტიზაცია, კითხვარის წინასწარი ტესტირება და ინტენსიური ტრენინგები ცდომილების მინიმუმამდე დაყვანას უწყობს ხელს და მაქსიმალურად ზრდის გამჟღავნების დონეს. მიუხედავად ამისა, გაუმჟღავნებლობა პრობლემად რჩება, რის გამოც ძალადობის იმაზე დაბალ მაჩვენებლებს ვიღებთ, ვიდრე ეს რეალობაშია. ამგვარად, გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში გავრცელებული ძალადობის ნამდვილი დონის ყველაზე მინიმალურ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ⁴³.


3.2 რესპონდენტის კმაყოფილება ინტერვიუს დროს

საერთო ჯამში, კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმეტესობამ კვლევა დადებითად შეაფასა. უფრო მეტიც, მათ გულახდილი მადლიერება გამოხატეს იმის გამო, რომ თავიანთი გამოცდილების სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობა მიეცათ; ასევე გამოთქვეს ნდობა, რომ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია

კონფიდენციალური დარჩებოდა. ხშირ შემთხვევაში, ინტერვიუერი იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც მათ განცდილ ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაცია გაუმჟღავნეს.

კითხვაზე - გრძობდნენ თუ არა თავს უკეთ, უარესად ან უკვლელად ინტერვიუს დამთავრების შემდეგ - 47%-მა განაცხადა, რომ თავს უკეთესად გრძობდნენ; 43%-მა ვერ დაინახა განსხვავება; ხოლო 10%-მა განაცხადა, რომ ინტერვიუს შემდეგ თავი უარესად იგრძნეს (გრაფიკი 3.1). ეს ადასტურებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, შეიძლება, განიხილებოდეს როგორც პირადი, ოჯახური საკითხი, ქალებისათვის მაინც სასურველია პირადი გამოცდილების გაზიარება განცალკევებულ ადგილას, კეთილგანწყობისა და პატივისცემის გამოხატვით. აღნიშნული სრულად შეესაბამება გაეროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიღებულ შედეგებს, სადაც კვლევის მეთოდოლოგიები იყო გამოყენებული.

გრაფიკი 3.1:
რესპონდენტის კმაყოფილება ინტერვიუს დასრულების შემდეგ



42 Garcia-Moreno, C., Jansen, H. A. F. M., Ellsberg, M., Heise, L. and Watts, C. 2005. WHO Multi-country Study on Women’s Health and Domestic Violence Against Women. WHO: Geneva
 43 Garcia-Moreno et al. 2005

3.3 შინამეურნეობებისა და რესპონდენტების მახასიათებლები


ქვემოთ განხილულია შინამეურნეობებისა და რესპონდენტების დეტალური მახასიათებლები. მახასიათებლების ამ ქვეთავში აღწერილია დემოგრაფიული ინფორმაცია, პარტნიორული ურთიერთობების სტატუსი, შინამეურნეობის მოცულობა, განათლება და დასაქმება.

3.3.1 დემოგრაფიული ინფორმაცია

3.3.1.1 რესპონდენტების მახასიათებლები - ასაკობრივი ჯგუფები

გრაფიკი 3.3.1.1 კვლევის მონაწილეთა ასაკობრივ მაჩვენებლებს ასახავს. რესპონდენტების უმრავლესობა 30-39 წლისაა (40-45 %). მათი მნიშვნელოვანი წილი, აგრეთვე, ხვდება 50-64 წლის (35-40%) ასაკობრივ ჯგუფში. ყველა რესპონდენტის 21%-ის და ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ რესპონდენტთა 16%-ის ასაკი 18-29 წელს შორის მერყეობს მაშინ, როცა ქალების მხოლოდ 4,4%-ია 15-17 წლის. საქართველოს დემოგრაფიული პროფილი ასეა ასახული გაეროს განვითარების პროგრამის ეკონომიკური და სოციალური დაუცველობის ანგარიშში და მსოფლიო ბანკის მონაცემებში.⁴⁴

გრაფიკი 3.2:
რესპონდენტების მახასიათებლები - ასაკობრივი ჯგუფი (ქალები)



3.3.2 პარტნიორული ურთიერთობების სტატუსი

ამ ქვეპუნქტში განხილულია, თუ როგორ განსხვავდება პარტნიორული ურთიერთობების სტატუსი კვლევის მონაწილეთა შორის.

3.3.2.1 რესპონდენტების მახასიათებლები - პარტნიორული ურთიერთობების სტატუსი


იმის გათვალისწინებით, რომ განმარტება პარტნიორის ოდესმე ყოლის შესახებ რეგულარულ პარტნიორს გულისხმობს, კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების მხოლოდ 18%-ს არასდროს ჰყოლია პარტნიორი. რესპონდენტების 64% კვლევის ჩატარების დროს დაოჯახებული იყო და მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა, ხოლო 2.4% დაოჯახებული კი

იყო, მაგრამ არ ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალი რესპონდენტების 78.6% ამჟამად ქორწინებაშია და მეუღლე/პარტნიორთან ერთად ცხოვრობს. ქორწინებაში მყოფი ქალების 2.9% კი აღარ ცხოვრობს მეუღლესთან ერთად. აღნიშნული ციფრები შეესაბამება საქსტატის მიერ 2017 წელს გამოცემულ სტატისტიკურ მონაცემებს, სადაც ქალების 59% დაოჯახებულია, 4% - განქორწინებული, ხოლო 16% არასდროს ყოფილა ქორწინებაში.⁴⁵

44. http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_vnerability_eng.pdf.
 45. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) 2017 ქალი და კაცი საქართველოში : სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/health/W&M%20in%20ENG_2017.pdf


გრაფიკი 3.3:

რესპონდენტების მახასიათებლები – პარტნიორული ურთიერთობების სტატუსი



გრაფიკი 3.4:

რესპონდენტების მახასიათებლები – პარტნიორული ურთიერთობის სტატუსი – ოდესმე თუ ჰყოლია პარტნიორი?




3.3.3 შინამეურნეობის მოცულობა

რესპონდენტების მახასიათებლები – შინამეურნეობის მოცულობა

გრაფიკი 3.5 გვიჩვენებს შინამეურნეობების განაწილებას მოცულობის მიხედვით. გამოკითხული შინამეურნეობების უმრავლესობა სამი ან ოთხი წევრისგან შედგება (44%); შინამეურნეობების მხოლოდ 8%-ია ერთწევრიანი, ხოლო 18% ორი წევრისაგან არის შემდგარი. შინამეურნეობების 15% ხუთწევრიანია, 16% კი წარმოდგენილია ოჯახის ექვსი ან მეტი წევრით.

გრაფიკი 3.5:

რესპონდენტების მახასიათებლები – შინამეურნეობის მოცულობა



3.3.4 განათლება


რესპონდენტების განათლების დონე 2010 წლის ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევადან (RHS) მიღებული მონაცემების მსგავსი იყო. რესპონდენტების უმრავლესობას უმაღლესი განათ-

ლება ჰქონდა მიღებული, მათ მნიშვნელოვან ნაწილს კი - სრული ზოგადი და პროფესიული განათლება. რესპონდენტების ძალიან მცირე რაოდენობა მხოლოდ საბაზისო ზოგად განათლებას ან არასრულ დაწყებით განათლებას ფლობდა. ოდესმე პარტნიორულ ურ-

თიერთობაში მყოფი ქალების 35% უმაღლესი განათლებითაა, 30%-ს კი სრული ზოგადი განათლება და თითქმის ერთ მეოთხედს – პროფესიული განათ-

ლება აქვს. ქალების 10%-მა საბაზისო ზოგადი განათლება მიიღო; ასევე - ქალების 10 % ფლობდა სრულ საშუალო განათლებას.

გრაფიკი 3.6:
რესპონდენტების მახასიათებლები – განათლების საფეხურები




3.3.5 დასაქმება

რესპონდენტის მახასიათებლები – დასაქმება
გრაფიკზე 3.7 ნაჩვენებია, რომ რესპონდენტების უმეტესი ნაწილი დიასახლისია (მთლიანი რესპონ-

დენტების 38.5% და ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი რესპონდენტების 44.9%), ხოლო რესპონდენტების 14.8% პროფესიული საქმიანობით არის დაკავებული.

გრაფიკი 3.7:
რესპონდენტების მახასიათებლები – დასაქმება



თავი 4. კაცი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება და ფორმები

ძირითადი მიგნაობები

- ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15–64 წლის ქალების დაახლოებით 6 %-მა განაცხადა, რომ სიცოცხლის მანძილზე გამოცდილი აქვთ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან;
- ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15–64 წლის შვიდი ქალიდან ერთს (13 %) გამოუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა სიცოცხლის მანძილზე;
- პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ყველა სახის ძალადობის თვალსაზრისით, კვლევის თანახმად, ქალები უფრო მეტი ალბათობით განიცდიან განმეორებითი ხასიათის ძალადობის აქტებს, ვიდრე ძალადობის ერთჯერად გამოვლინებებს.
- ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების თითქმის 10%-ს ეკონომიკური ძალადობის ერთი ფორმა მაინც აქვს გამოცდილი.

„მცემა, დამჭრა დანით. თავი რამდენიმეჯერ გამიტეხა. ყველაფერი დამიშავა, რაც კი შეეძლო, დაემავებინა“.
(მსხვერპლი, 41, ჩადრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

ამ თავში წარმოდგენილია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელების მონაცემები, რაც ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობასა და მაკონტროლებელ ქცევას მოიცავს ამჟამინდელი ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან (იმის მიუხედავად, დაქორწინებულია თუ არა). კვლევის დროს ძალადობის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებული ქცევის დამახასიათებელი კითხვები (განსაზღვრებისთვის იხ. თავი 1) დაისვა. რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, ასევე, თუ ჰქონდათ ზემოთ აღნიშნული ძალადობის აქტების გამოცდილება გასული 12 თვის განმავლობაში და რა სიხშირით?

ამჟამინდელი ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მასშტაბის შესახებ შედეგები ძალადობის სიმძიმის, ძალადობის მოხდენის დროის და ფიზიკური და სექსუალური ძალადობის თანკვეთის დონის მიხედვითაა წარმოდგენილი.

გამოკითხულ ქალთაგან 5055-ს (შეუწონავი რიცხვი) ოდესმე ჰყოლია პარტნიორი, ანუ ოდესმე დაქორწინებულა ან ინტიმურ ურთიერთობაში ყოფილა.

4.1 ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა

ცხრილში 4.1 ნაჩვენებია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გავრცელება ეროვნულ დონეზე პარტნიორის/მეუღლის მხრიდან, რაც გულისხმობს ქალებს, ვისაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც ჰქონია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის რომელიმე ფორმის გამოცდილება.

ცხრილი 4.1:


ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან სხვადასხვა ფორმის ძალადობა გამოსცადეს

	ოდესმე გამოუცდია ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან			ოდესმე გამოუცდია სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან			ოდესმე გამოუცდია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან		
	რაოდ.	%	95 ნ.ი.	რაოდ.	%	95 ნ.ი.	რაოდ.	%	95 ნ.ი.
სიცოცხლის მანძილზე	58,200	5.5	0.4	24,450	2.3	0.3	63,866	6.0	0.4
12 თვის განმავლობაში (ამჟამინდელი)	9,268	0.9	0.2	4,122	0.4	0.1	11,110	1.0	0.2

ცხრილში 4.1 ნაჩვენებია, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 5.5%-მა განაცხადა, რომ სიცოცხლის მანძილზე გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობა კაცი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან და 12 თვის განმავლობაში მყოფი ქალების 0.9%-მა განაცხადა, რომ სიცოცხლის მანძილზე გამოცდილი აქვს ფიზიკური ძალადობა კაცი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან და 12 თვის განმავლობაში.

გრაფიკი 4.1:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების მიერ გაცხადებული ფიზიკური ძალადობის ფორმები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან.



გრაფიკზე 4.1 ნაჩვენებია რესპონდენტების მიერ გაცხადებული ფიზიკური ძალადობის აქტების დეტალური ჩაშლა. ფიზიკური ძალადობის თვალსაზრისით, ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია

სილის განა ან რაიმე ნივთის სროლა რესპონდენტის მიმართულებით (5%); რესპონდენტისათვის ხელის კვრა (4%) და მუშტით ან რაიმე სხვა ნივთით დარტყმა (2%).

■ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ნაკლებად მძიმე ფორმა
■ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მძიმე ფორმა

ძალადობის სიხშირე და სიმძიმე

მთლიანობაში კვლევამ აჩვენა, რომ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ქალები უფრო მეტი ალბათობით განიცდიან განმეორებითი ხასიათის ძალადობის აქტებს, ვიდრე ძალადობის ერთჯერად გამოვლინებებს. ამას ადასტურებს სხვა კვლევებიც, რომელთა მიხედვით ქალები ხშირად განიცდიან ძალადობის განმეორებით აქტებს და ძალადობის ფორმებიც მძიმე ხასიათს ატარებს, რაც ურთიერთობებში ძალადობის ტენდენციამ უფრო მიუთითებს, ვიდრე ცალკეულ ინციდენტებზე.

ძალადობის სიმძიმის შესახებ მიღებული შედეგების მიხედვით, ქალები უფრო მეტად განიცდიან ძალადობის ნაკლებად მძიმე, ვიდრე მძიმე ფორმებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქალთა უმრავლესობის მიერ ძალადობის ნაკლებად მძიმე ფორმების დასახელების მიუხედავად, ქალები რეალურად ძალადობის ისეთ მძიმე ფორმებსაც განიცდიან, როგორცაა: დახრობა, დამწვრობა და ძალადობა იარაღის გამოყენებით.


4.2 სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან

4.1 ცხრილის მიხედვით, ქალების 2.3 %-მა განაცხადა, რომ გამოუცდიათ სექსუალური ძალადობის რომელიმე ფორმა კაცი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან სიცოცხლის მანძილზე, ხოლო 0.4 %-ს – ბოლო 12 თვის განმავლობაში.

გრაფიკი 4.2 გვიჩვენებს, რომ იმ ქალების უმეტესობას, ვისაც სექსუალური ძალადობა გამოუცდია, სქესობრივი კავშირი ფიზიკური ძალის გამოყენებით აიძულეს, რაც გულისხმობს გაუპატიურებას პარტნიორის/მეუღლის/ მხრიდან. ქალების დაახლოებით იგივე რაოდენობამ განაცხადა, რომ ჰქონდა სქესობრივი კავშირი სურვილის წინააღმდეგ, რადგან ემინოდათ, რომ უარის თქმის შემთხვევაში პარტნიორი/მეუღლე რაიმეს დაუშავებდა.

გრაფიკი 4.2:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების მიერ გაცხადებული სექსუალური ძალადობის ფორმები პარტნიორის/ მეუღლის მხრიდან



4.3 ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან

საერთო ჯამში, როგორც 4.1 ცხრილშია ნაჩვენები, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების 6%-ს კაცი პარტნიორის მხრიდან, სიცოცხლის მანძილზე, გამოუცდია ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის ერთ-ერთი ან ორივე ფორმა მაინც, ხოლო 1.0%-ს – გასული 12 თვის განმავლობაში (გავრცელების მიმდინარე დონე). ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის დონე პარტნიორის/მეუღლის მხრიდან 15-49 წლის ქალებში 6%-ს შეადგენდა, 95%-იანი ნდობის ინტერვალით კი – 5.4%-დან 6.6%-მდე.

4.3.1 ძალადობის სიხშირე

ქალებს, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან რაიმე სახის ძალადობის შესახებ განაცხადა, ჰკითხეს, რამდენჯერ ჰქონდა ძალადობის ფაქტს ადგილი - ერთხელ, რამდენჯერმე თუ ბევრჯერ? ქალების მიმართ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის სიხშირე გასული 12 თვის განმავლობაში ნაჩვენებია ცხრილში 4.2. ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან რამდენჯერმე გამოუცდია ქალების 4%-ს, ქალთა 3 %-ს კი – ერთხელ. საერთო ჯამში, კვლევამ დაგვანახა, რომ ქალები უფრო მეტი ალბათობით განიცდიან განმეორებითი ხასიათის ძალადობის აქტებს, ვიდრე ძალადობის ერთჯერად გამოვლინებებს.

ცხრილი 4.2: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გამოცდილების სიხშირე სიცოცხლის მანძილზე

ცხრილი 4.2: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გამოცდილების სიხშირე სიცოცხლის მანძილზე

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გამოცდილების სიხშირე სიცოცხლის მანძილზე						
	ბევრჯერ		რამდენჯერმე		ერთხელ	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
მხოლოდ ფიზიკური ძალადობა	3,307	0.3	23,290	2.2	20,409	1.9
მხოლოდ სექსუალური ძალადობა	397	-	3,229	0.3	1,972	0.2
ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გამოცდილების სიხშირე გასული 12 თვის განმავლობაში						
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
მხოლოდ ფიზიკური ძალადობა	132	-	4,327	0.4	3,382	0.3
მხოლოდ სექსუალური ძალადობა	-	-	1,504	0.1	338	-

4.3.2 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება ასაკის მიხედვით


ამ ნაწილში განხილულია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება ასაკობრივი ჯგუფებით. საერთო ჯამში, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სიცოცხლის მანძილზე პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელების მაჩვენებელი უფროსი ასაკის ქალებში უფრო მაღალია. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ეს ქალები ძალადობის რისკის ქვეშ უფრო მეტ ხანს იყვნენ, ვიდრე უფრო

ახალგაზრდები. 30-49 წლის ქალებში 7%-მა განაცხადა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან სიცოცხლის მანძილზე ძალადობის შესახებ, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი 15-24 წლის ქალებისათვის 3%-ია.

მიმდინარე პერიოდის (12 თვე ინტერვიუს ჩატარებამდე) ძალადობის სტრუქტურამ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აჩვენა, რომ 25-29 და 30-49 წლის ქალები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის ყველაზე დიდი რისკის ქვეშ იყვნენ.

გრაფიკი 4.3:

პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გავრცელება ასაკის მიხედვით



4.4 ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან

პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ კითხვების გარდა, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებაც გამოკითხეს, რაც ემოციური ძალადობისა და მაკონტროლებელი ქცევის კომპონენტებს შეიცავდა.

ცხრილში 4.3 ასახულია ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ერთხელ ან რამდენჯერმე გამოუცდიათ ფსიქოლოგიურ ძალადობად განსაზღვრული ქცევა. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 13%-ს გამოუცდილი აქვს ფსიქოლოგიური ძალადობა სიცოცხლის მანძილზე, ხოლო 3%-ს - ინტერვიუმდე 12 თვის განმავლობაში.

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალე-ბის მიერ გამოცდილი ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია შეურაცხყოფა (8%) და სხვა ადამიანების წინაშე დამცირება (9%). ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალთა 6%-მა შიშის ან დაშინების შესახებ განაცხადა, 5%-მა

კი - პარტნიორის მხრიდან იძულებითი კონტროლის შესახებ; ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 3%-მა აღნიშნა, რომ მათ უკრძალავდნენ ქალი მეგობრების ნახვას, ხოლო 2%-ს მშობლიურ ოჯახთან ურთიერთობა ეზღუდებოდა.

ცხრილი 4.3:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიური ძალადობა და მაკონტროლებელი ქცევა გამოუცდიათ არსებული ან უკანასკნელი პარტნიორის მხრიდან

	სიცოცხლის განმავლობაში		ბოლო 12 თვის განმავლობაში	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ემოციური ძალადობა				
შეურაცხყოფა მოგაყენათ, ან მოიქცა ისე, რომ საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა შეგექმნათ?	87,985	8.3	19,352	1.8
თქვა ან მოიქცა ისე, რომ დამცირებულად იგრძენით თავი საზოგადოების წინაშე?	89,814	8.5	17,080	1.6
მოიქცა ისე, რამაც დაგაფრთხოთ ან დაგაშინათ?	60,812	5.7	12,053	1.1
გაანადგურა/დაამტვრია საგნები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის?	44,295	4.2	6,640	0.6
გემუქრებოდათ, რომ ზიანს მოგაყენებდათ თქვენ ან თქვენთვის ძვირფას ადამიანებს?	31,778	3.0	5,011	0.5
მაკონტროლებელი ქცევა				
არ მოგცათ ქალი მეგობრების ნახვის საშუალება?	34,658	3.3	9,516	0.9
გიზღუდავდათ კონტაქტს თქვენს ოჯახთან?	21,998	2.1	3,821	0.4
იქცეოდა ისე, რომ თავს ყოველთვის მისი კონტროლის ქვეშ გრძნობდით ან კიდევ შიშს?	55,600	5.2	12,888	1.2
გიშლიდათ ხელს სამედიცინო მომსახურებით სარგებლობაში?	5,326	0.5	1,209	0.1
ამ ქცევებიდან ერთ - ერთი	138,052	13.0	34,216	3.2

აღნიშნული მიგნებები თვისებრივ მონაცემებშია ასახული. რესპონდენტები ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებად კონტროლს, იზოლირებასა და დადანაშაულებას ასახელებდნენ. ზოგიერთი რესპონდენტი ისეთ საკითხებს მოიხსენიებდა დადანაშაულების მიზეზებად, როგორიცაა საჭმლის მომზადება, რეცხვა ან დაორსულების შესაძლებლობის მოსპობა. მაგალითად, ერთ-ერთი ქალის თქმით:

„ჩემი მეუღლე მუდმივად მიმეორებდა, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლო. ის მიმეორებდა, რომ მე გაუნათლებელი ვიყავი და თავის რჩენა მხოლოდ მეძავობით შემეძლო. ის სულ მეუბნებოდა, რომ უუნარო ვიყავი“.
(მსხვერპლი, 36, ჩადრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

ძალაუფლების მთავარ ფორმებად რესპონდენტები კონტროლსა და იზოლირებას ასახელებდნენ. პარტ-

ნიორები აკონტროლებდნენ რესპონდენტების გარეგნობას, მათ ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, სამუშაოს და თავისუფალ დროს. რესპონდენტების თქმით, პარტნიორები მათ თავიანთ სოციალურ წრესთან ურთიერთობასაც უკრძალავდნენ და ფინანსურად აკონტროლებდნენ. მათი მთავარი მიზანი თითოეული რესპონდენტის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა იყო.

კიდევ ერთი ქალის ნაამბობიდან:

„ჩემი ქმარი წინააღმდეგი იყო, იმაზე მეტი დრო გამეტარებინა, მაგალითად, პარკში ჩემს ძალღატაკს ან მეგობრებთან ერთად, ვიდრე ნებას დამრთავდა. ის ბედმინევნით მკაცრად ბლუდავდა ჩემს კონტაქტს გარე სამყაროსთან ისევე, როგორც მიზღუდავდა სოციალური ქსელების [გამოყენებას] და ჩემს ნათესავებთან ტელეფონით საუბარს. ის ხშირად იღებდა ჩემს ტელეფონს და მიმაღავდა“.

(მსხვერპლი, 41, ჩადრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

4.5 ეკონომიკური ძალადობა

ყველა ქალს, რომელიც დაქორწინებული იყო ან კაცთან ცხოვრობდა, ფინანსური დამოუკიდებლობისა და კონტროლის შესახებ დაუსვეს კითხვები, კერძოდ:

- ✓ პარტნიორს ოდესმე თუ დაუშლია მათთვის მუშაობა ან ფულის შოვნა?

- ✓ პარტნიორს ოდესმე თუ წაურთმევია მათთვის საკუთარი შემოსავალი?
- ✓ პარტნიორს ოდესმე თუ უთქვამს მათთვის უარი შინამეურნეობების ხარჯების დასაფარად ფულის მიცემაზე, სხვა საგნების შესაძენად ფულის ქონის შემთხვევაშიც კი?

ცხრილი 4.4:

პროცენტული მაჩვენებელი იმ ქალებისა, რომლებსაც ოდესმე ჰყოლიათ პარტნიორი და გამოუცდიათ ეკონომიკური ძალადობა ამჟამინდელი ან უახლესი პერიოდის პარტნიორის მხრიდან

მეუღლეს ან პარტნიორს:	სიცოცხლის მანძილზე		მიმდინარე ბოლო 12 თვე	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
აუკრძალავს მისთვის მუშაობა, ფულის შოვნა	57,758	5.4	12,943	1.2
წაურთმევია მისთვის საკუთარი შემოსავალი	24,312	2.3	4,573	0.4
უარი უთქვამს მისთვის ფულის მიცემაზე, სხვა საგნების შესაძენად ფულის ქონის შემთხვევაშიც კი	52,043	4.9	17,285	1.6
სულ ცოტა ერთი ზემოთხსენებული	101,611	9.6	29,360	2.8

ცხრილში 4.4 ნაჩვენებია, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 10%-ს ეკონომიკური ძალადობის, სულ ცოტა, ერთი ფორმა მაინც გამოუცდია. ქალთა 5%-მა განაცხადა, რომ პარტნიორი უკრძალავდა მუშაობას ან ფულის შოვნას და უარს ეუბნებოდა ფულის მიცემაზე მაშინ, როდესაც თავად ჰქონდა ფული სხვა საგნების შესაძენად.

პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

4.6 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება

„მან გამორთო დენი, გაზი და წყალი, რადგან ის იხდიდა გადასახადებს. ის მეუბნებოდა, რომ შეეძლო, შეენყვითა გადახდა, როცა მოისურვებდა; ამბობდა: „შენ ჩემზე ხარ დამოკიდებული. მე ვშოულობ ფულს. შენ არარაობა ხარ ჩემს გარეშე.“

(მსხვერპლი, 25, ჩადრმავებული ინტერვიუ)

ცხრილში 4.5 ასახულია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება: ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ გადატანილი ფიზიკური, სექსუალური, ფიზიკური ან/და სექსუალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა.

ცხრილი 4.5:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ გადატანილი ფიზიკური, სექსუალური, ფიზიკური ან/და სექსუალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ან/და ეკონომიკური ძალადობა

იმ ქალთა შორის, რომლებსაც ოდესმე ჰყოლიათ პარტნიორი	ოდესმე გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა		ოდესმე გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან სექსუალური ძალადობა		ოდესმე გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობა		ოდესმე გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობა		ოდესმე გამოუცდიათ ეკონომიკური ძალადობა			
	რაოდ	%	რაოდ	%	რაოდ	%	რაოდ	%	რაოდ	%		
სიცოცხლეში	58,200	5.5	24,450	2.3	138,052	13.0	63,866	6.0	144,564	13.6	101,611	9.6
გასული 12 თვის განმავლობაში	9,268	0.9	4,122	0.4	34,216	3.2	11,110	1.0	37,063	3.5	29,360	2.8

4.7 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება ქალაქად და სოფლად

ცხრილში 4.6 შედარებულია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელების დონეები ქალაქად და სოფლად. საქართველოში პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის დონის შეფასებები ქალაქად უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე სოფლად, ნდობის ინტერვალის გათვალისწინების შემდეგაც. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების წილმა, რომელთაც ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა სიცოცხლის მანძილზე გამოუცდიათ, 6.5 % შეადგინა ქალაქად და 4,3 % - სოფლად. ამავე დროს, კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოში ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ქალაქშიც და სოფლადაც.

ცხრილი 4.6:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც განაცხადა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან განხორციელებული სხვადასხვა ტიპის ძალადობის შესახებ, ქალაქად და სოფლად

	ქალაქად			სოფლად		
	რაოდ.	%	95 ნ.ი.	რაოდ.	%	95 ნ.ი.
პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა სიცოცხლის მანძილზე	39,630	6.5	0.7	18,571	4.3	0.5
პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში	3,787	0.6	0.2	5,481	1.2	0.3
პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა სიცოცხლის მანძილზე	15,619	2.6	0.5	8,832	2.0	0.4
პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში	2,166	0.4	0.2	1,957	0.5	0.2
პარტნიორის მხრიდან სექსუალური/ფიზიკური ძალადობა სიცოცხლის მანძილზე	42,760	7.0	0.7	21,107	4.9	0.5
პარტნიორის მხრიდან ფიზიკური/სექსუალური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში	4,708	0.8	0.2	6,402	1.4	0.3
სიცოცხლის მანძილზე ფსიქოლოგიური ძალადობა	92,851	15.3	1.0	45,202	10.0	0.8
ფსიქოლოგიური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში	17,496	2.9	0.5	16,720	3.7	0.5
სიცოცხლის მანძილზე ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობა	96,269	15.9	1.0	48,295	10.6	0.8
ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში	18,104	3.0	0.5	18,959	4.2	0.5

4.8 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება რეგიონების მიხედვით


გრაფიკი 4.6 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელებას ასახავს საქართველოს რეგიონებში. პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი თბილისსა და სამცხე ჯავახეთში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი კი - გურიასა და აჭარაში. მთლიანობაში, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გაცხადებული მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო ქალაქად (პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ ქალების 16%-მა განაცხადა), ვიდრე სოფლად (ანალოგიურმა მაჩვენებელმა 11% შეადგინა).

4.9 ანალიზი

კვლევაში განხილულია საქართველოში პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება ქვეყნის დონეზე. ასეთი ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემის სრულყოფილი გააზრებისთვის, პრობლემაზე ქმედითი რეაგირებისა და მისი პრევენციისთვის. კვლევით დასტურდება, რომ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა ფართოდ გავრცელებული ფენომენია საქართველოს ქალების ცხოვრებაში. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ასაკის ქალების დაახლოებით 6%-ს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა, ხოლო 2 %-ს - სექსუალური ძალადობა გამოუცდია. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების 6%-ს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის (ან ორივე) მინიმუმ ერთი აქტი აქვს გამოცდილი სიცოცხლის

გრაფიკი 4.4

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით, რომლებმაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან გამოცდილი ძალადობის შესახებ განაცხადეს



მანძილზე. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 1%-ს გამოუცდია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალურ ძალადობა ბოლო 12 თვის მანძილზე. მთლიანობაში, 15-64 წლის ასაკის ქალების 14%-ს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის მინიმუმ ერთი აქტი მაინც გადაუტანია სიცოცხლის მანძილზე.

პარტნიორის/მეუღლის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის გავრცელების კვლევის შედეგად გამოვლენილი მაჩვენებლები ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ასაკის ქალებში, სიცოცხლის მანძილზე, უფრო დაბალია 2009 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მონაცემებთან შედარებით (6.9%). ეს, შეიძლება, ნაწილობრივ, იმითაც აიხსნას, რომ 2009 წლის კვლევის შერჩევა უფრო მცირე ზომისა იყო და, შესაბამისად, უფრო მაღალი ცდომილებით ხასიათდებოდა. ასევე, შესაძლებელია, რომ მცირე განსხვავებებმა კვლევის კითხვარში და კვლევის ჩატარების ორგანიზებაში გარკვეულწილად განსხვავებული შედეგები განაპირობა. სავარაუდოა ისიც, რომ სახელმწიფოს, განვითარების პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართულმა ძალისხმევამ ძალადობის გავრცელების შემცირებას შეუწყო ხელი.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ კვლევის შედეგად მიღებული ძალადობის დონის მაჩვენებლები ქალთა მიერ გადატანილ ძალადობას ყოველთვის არაჯეროვნად ასახავს ისეთი ბარიერების გამო, როგორცაა სტიგმა, სირცხვილი და შიში. ეს მაჩვენებლები მსოფლიოში გავრცელებულ საშუალო დონეზე უფრო დაბალია, თუმცა მსგავსია ცენტრალური ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში დაფიქსირებული შედეგებისა.⁴⁶ ისიც უნდა ითქვას, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ქალებისა და კაცების დამოკიდებულებების შესახებ კვლევის შედეგად მიღებული მაჩვენებლები საკმაოდ კონსერვატული რჩება (იხ. მე-6 თავი) და საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მიმდებლობის მაღალ დონეზე შეტყვევებს კვლავაც. გენდერულ დამოკიდებულებებსა და ძალადობის გავრცელების მაჩვენებლებს შორის არსებითი განსხვავებაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალები ჯერ კიდევ შეზღუდულად გრძნობენ თავს ინტერვიუს დროს ძალადობის გამოცდილების გამჟღავნებისას. ანონიმური გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით კი (იხ. მე-9 თავი), ბავშვობაში განცდილ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, ძალადობის უფრო მაღალი დონის მაჩვენებლები დაფიქსირდა, რაც ადასტურებს, რომ პირისპირი ინტერვიუს ჩატარების დროს გაცხადებული ძალადობის მაჩვენებელი ძალადობის გავრცელების რეალურ მასშტაბს სრულყოფილად ვერ ასახავს.

46 FRA, Violence against women: an EU-wide survey – Main results (2014).

კვლევის მიხედვით, ფსიქოლოგიური ძალადობა და მაკონტროლებელი ქცევა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ასაკის ქალების 13%-ს ფსიქოლოგიური ძალადობა ან მაკონტროლებელი ქცევა გამოუცდია პარტნიორის მხრიდან. ეს მიგნება 2009 წლის ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის შედეგებთანაა თანხვედრილი. აღნიშნული მიგნებები კვლევის თვისებრივი ნაწილის შედეგებშიც არის დამატებით ასახული. კონტროლი, იზოლაცია და დადანაშაულება ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმებია. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების დაახლოებით 10 %-ს პარტნიორის მხრიდან განცდილი აქვს ეკონომიკური ძალადობის, სულ ცოტა, ერთი ფორმა მაინც. სხვა კვლევების მიხედვით კი ხშირად პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა იძულებით კონტროლის სახით გამოიხატება.⁴⁷

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელების მაჩვენებელი ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად აღემატება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მაჩვენებელს. პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამჟღავნებული დონე განსაკუთრებით მაღალი აღმოჩნდა თბილისში. საერთაშორისო გამოცდილებით, აღნიშნული ტენდენციები საპირისპირო ხასიათს ატარებს: ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება, ჩვეულებრივ, სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში, რადგან სოფლად გენდერული ნორმები ბევრად კონსერვატიულია, ხოლო ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული მომსახურებები – ნაკლებად ხელმისაწვდომი⁴⁸. წინამდებარე კვლევით დადგინდა, რომ ქალებსა და კაცებს სოფლად უფრო კონსერვატიული შეხედულებები აქვთ და ძალადობის მიმართ უფრო შემწყნარებელი არიან, ვიდრე ქალაქში. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ რეალურად ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებლები ქალაქში უფრო მაღალი კი არ არის, არამედ ქალაქში მცხოვრები ქალები უკეთესად არიან ინფორმირებული და ძალადობას ნაკლებად მიიჩნევენ ნორმად. შესაბამისად, ისინი, სოფლად მცხოვრებ ქალებთან შედარებით, ძალადობის საკუთარ გამოცდილებაზე უფრო თავისუფლად საუბრობენ.

47 Stark, E. 2007. Coercive control. New York: Oxford
48 Garcia-Moreno et al. 2005.

კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ქალები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან უფრო მეტი ალბათობით განიცდიან განმეორებითი ხასიათის ძალადობის აქტებს, ვიდრე ძალადობის ერთჯერად გამოვლინებებს. ეს თანხვედრაშია სხვა კვლევებთანაც, რომელთა მიხედვით, ქალები ძალადობის განმეორებით აქტებს ხშირად განიცდიან და ძალადობის ფორმებიც მძიმე ხასიათისაა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს ძალადობის ტენდენციებთან და არა ცალკეულ ინციდენტებთან⁴⁹.

ძალადობის სიმძიმის შესახებ მიღებული შედეგების მიხედვით, ქალები ძალადობის ნაკლებად მძიმე ფორმებს უფრო მეტად განიცდიან, ვიდრე მძიმეს. თუმცა რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ ძალადობის ნაკლებად მძიმე ფორმების დასახელების მიუხედავად, ქალთა დიდ რაოდენობას ძალადობის ისეთი მძიმე ფორმები აქვს გადატანილი, როგორცაა დახრჩობა, დამწვრობა და ძალადობა იარაღის გამოყენებით.

პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის ინციდენტების ბავშვების თანდასწრებით ჩადენა მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე. როგორც სხვა კვლევებით დადგინდა, ბავშვობაში ძალადობის ფაქტების შესწრებას უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ზრდასრულ ასაკში ძალადობის გამოცდილებასთან მიმართებით⁵⁰.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელების დონე ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულის მსგავსია ან უფრო დაბალი. რეგიონში ჩატარებული კვლევების თანახმად, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება სიცოცხლის მანძილზე საშუალოდ 25%-ს შეადგენს

49 Garcia-Moreno et al., 2005.
50 Cashmore, J. and Shackel, R. 2013. The long-term effects of child abuse. *Child Family Community Australia Paper No. 11*. Australian Institute of Family Studies: Melbourne; Fry, D., McCoy, A., and Swales, D. 2012. The consequences of maltreatment on children's lives: A systematic review of data from the East Asia and Pacific region. *Trauma, Violence and Abuse*. 13(4): 209—233; Fulu, E. et al. 2017. Pathways between childhood trauma, intimate partner violence, and harsh parenting: findings from the UN Multi-country study on men and violence in Asia and the Pacific. *The Lancet* 5(5): e512-e522

ევროპაში⁵¹. თუმცა, ცალკეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ რეგიონში პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელება მნიშვნელოვნად განსხვავდება. თურქეთისა და სომხეთის ეროვნული კვლევებით, რომლებშიც ჯანმო-ის მეთოდოლოგია გამოიყენეს, დგინდება, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების შესაბამისად 38%-ს და 20%-ს გამოცდილი აქვს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან სიცოცხლის მანძილზე⁵². მოლდოვაში, ჯანმო-ის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კვლევის მოდულის მიხედვით, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 13%-ს გამოუცდია პარტნიორის/

მეუღლის მხრიდან ფიზიკური და სექსუალური ძალადობა სიცოცხლის მანძილზე, ხოლო 46%-ს – ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა⁵³. უკრაინაში, დემოგრაფიული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, ძალადობის გავრცელების დონემ 17% შეადგინა, ხოლო აზერბაიჯანში – 15%⁵⁴. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 2014 წელს ევროპის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს მიერ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით ჩატარებული კვლევების თანახმად, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავრცელებამ 13% შეადგინა უნგრეთში, პოლონეთსა და სლოვენიაში, 24 % – რუმინეთსა და ლიტვაში და 32% – ლატვიაში.⁵⁵

51 WHO, 2013. Global and regional estimates of violence against women: prevalence and health effects of intimate partner violence and non-partner sexual violence. World Health Organization

52 Ministry of Family and Social Policies. 2015. Research on domestic violence against women in Turkey. Ankara; Osipov, V. 2011. Report on nationwide survey on domestic violence against women in Armenia 2008-2010. United Nations Population Fund: Yerevan.

53 Statistica Moldovei, 2011. Violence against women in the family in the Republic of Moldova. Nova Imprim: Chisinau.

54 Ismayilova, L. 2010. Intimate Partner Violence and Unintended Pregnancy in Azerbaijan, Moldova, and Ukraine. DHS Working Papers No. 79, Calverton, Maryland, USA: ICF Macro.

55 FRA, 2014.

თავი 5. არაპარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება და მავალითები


ძირითადი მიგნებები

- ქალების დაახლოებით 26%-მა განაცხადა, რომ გამოუცდია სექსუალური ძალადობა ან/და სექსუალური შევიწროება არაპარტნიორის მხრიდან, ბავშვობაში გამოცდილი ძალადობის ჩათვლით.
- ხუთიდან ერთმა ქალმა განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროება გამოუცდია, ხოლო 4%-ს ადევნების გამოცდილება აქვს.
- ქალების 3%-მა განაცხადა, რომ არაპარტნიორის მხრიდან გაუპატიურების მცდელობა და სექსუალური ხასიათის შეურაცხყოფა გამოუცდია.
- თითქმის 14%-მა განაცხადა, რომ გამოუცდია ბავშვთა მიმართ ძალადობის რაიმე ფორმა.
- არაპარტნიორის მხრიდან ძალადობისას, მოძალადედ ყველაზე ხშირად სახელდებიან მამრობითი სქესის მეგობრები/ნაცნობები ან უცხო პირები.

მართალია, კვლევის ძირითადი საკითხი ქალთა მიმართ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან გამოცდილი ძალადობა იყო, თუმცა კვლევის კითხვარი სხვა მოძალადის მხრიდან ქალთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ კითხვებსაც შეიცავდა. ეს კითხვები დაუსვეს ყველა ქალს იმის მიუხედავად, ჰყოლიათ თუ არა მათ ოდესმე პარტნიორი. ამ თავში წარმოდგენილია 15 წლის და უფროსი ასაკის ქალთა მიმართ არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მასშტაბები. აქ, აგრეთვე, მოცემულია 15 წლამდე ასაკის გოგოების მიმართ სექსუალური ძალადობა (ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა) და იძულებით პირველი სექსუალური კავშირი პარტნიორის/მეუღლის ან სხვა მოძალადის მხრიდან.

გრაფიკი 5.1:

15-64 წლის ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც არაპარტნიორის მხრიდან, სიცოცხლის მანძილზე, სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროება ან/და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა გამოუცდიათ, ბავშვობაში გადატანილი ძალადობის ჩათვლით.



5.1 სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან

ქალებსა და გოგოებს ჰკითხეს, 15 წლის ასაკიდან ოდესმე ვინმემ, პარტნიორის/მეუღლის გარდა, თუ აიძულა ისინი, სქესობრივი კავშირი ჰქონოდათ მათი სურვილის წინააღმდეგ (გაუპატიურება). მათ ასევე ჰკითხეს, ყოფილან თუ არა გაუპატიურების მცდელობის ან სექსუალური ძალმომრეობის მსხვერპლნი? სექსუალურ ძალმომრეობად განისაზღვრა ისეთი ქმედებებიც, როგორცაა თანხმობის გარეშე შეხება და იძულება, შეხებოდა სხვა ადამიანის სხეულის ინტიმურ ნაწილებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ, მთლიანობაში, ქალთა 2.7%-მა განაცხადა.

შედეგები მოცემულია ცხრილში 5.1. ქალთა დაახლოებით 0.2%-ის თქმით, ისინი იყვნენ არაპარტნიორის მიერ გაუპატიურების მსხვერპლნი. ცხრილში 5.1 აგრეთვე ნაჩვენებია, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის ქალების მიმართ სექსუალურ ძალადობას ყველაზე ხშირად მეგობარი/ნაცნობი, ახალგაზრდობილი ან უცხო პირი ჩადიოდა.

ცხრილი 5.1:

არაპარტნიორის/მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის გავრცელება და მოძალადეები

	რაოდენობა	%	95% ნდობის ინტერვალი
სექსუალური ძალადობა სიცოცხლის მანძილზე	3,214	0.2	0.1
სექსუალური ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში	-	-	-
მოძალადე	რაოდენობა	%	95% ნდობის ინტერვალი
მეგობარი/ნაცნობი	865	0.1	0.1
ახალგაზრდობილი	724	0.1	0.0
უცხო პირი	1,625	0.1	0.1

ცხრილი 5.2 გაუპატიურების მცდელობისა და სექსუალური ძალმომრეობის გავრცელებას ასახავს. ქალთა თითქმის 3%-მა განაცხადა, რომ გამოცდილი აქვს გაუპატიურების მცდელობა ან სექსუალური ძალმომრეობა. გაუპატიურების მცდელობისა და სექსუალური ძალმომრეობის შემთხვევაში, ყველაზე ხშირად მოძალადეები უცხო პირები და მეგობრები/ნაცნობები იყვნენ. აღნიშნულ კატეგორიაში ქალთა მცირე ნაწილმა თანამშრომლებიც მიუთითა.

ლური ძალმომრეობის შემთხვევაში, ყველაზე ხშირად მოძალადეები უცხო პირები და მეგობრები/ნაცნობები იყვნენ. აღნიშნულ კატეგორიაში ქალთა მცირე ნაწილმა თანამშრომლებიც მიუთითა.

ცხრილი 5.2:

არაპარტნიორის/მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ გაუპატიურების მცდელობისა და სექსუალური ძალმომრეობის გავრცელება და მოძალადეები

	რაოდენობა	%	95% ნდობის ინტერვალი
გაუპატიურების მცდელობა ან სექსუალური ძალმომრეობა სიცოცხლის მანძილზე	33,909	2.6	0.4
გაუპატიურების მცდელობა ან სექსუალური ძალმომრეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში	4,989	0.4	0.2
მოძალადე	რაოდენობა	%	95% ნდობის ინტერვალი
თანამშრომელი	1,543	0.1	0.1
მეგობარი/ნაცნობი	8,913	0.7	0.2
ახალგაცნობილი	4,194	0.3	0.1
უცხო პირი	19,427	1.5	0.3

5.2 საქსუალური შევიწროება და აღქმვა

5.2.1 ქალების საქსუალური შევიწროება 15 წლის ასაკიდან


სექსუალური შევიწროების გავრცელება სიცოცხლის მანძილზე და მისი სახეები

ქალებს ჰკითხეს, გამოუცდიათ თუ არა ოდესმე სექსუალური შევიწროება სხვადასხვა გარემოებებში. გრაფიკზე 5.2 ნაჩვენებია სექსუალური შევიწროების

სახეები, რომელთა შესახებ ქალებმა კვლევისას განაცხადეს. მთლიანობაში, ხუთიდან ერთმა ქალმა (20%) თქვა, რომ, სულ მცირე, ერთი სახის სექსუალური შევიწროება მაინც გამოუცდია. ქალების 10%-მა განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროება გამოცდილი აქვს სამუშაო ადგილზე. სექსუალური შევიწროების ყველაზე გავრცელებული სახეებია: უადგილო ყურება ან შემოხედვა (15%), მომაბეზრებელი კომენტარები პირად ცხოვრებაზე (7%), სექსუალური ხასიათის კომენტარები ან ხუმრობები და არასასურველი შეხება, ჩახუტება ან კოცნა (6 %).

გრაფიკი 5.2:


სექსუალური შევიწროების სახეები (სიცოცხლის მანძილზე)



გრაფიკზე 5.3 ნაჩვენებია, რომ სექსუალურ შევიწროებას ყველაზე ხშირად უცნობი კაცები (14%) და კაცი მეგობრები/ნაცნობები (4%) ჩადიან. სექსუალური

შევიწროების სუბიექტად დასახელებული იყვნენ ქალი მეგობრები/ნაცნობებიც (2%).

გრაფიკი 5.3:
პირები, რომლებიც სექსუალურ შევიწროებას ახორციელებენ



თვისებრივი ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში სექსუალური შევიწროება ფართოდ გავრცელებული ფენომენია. რესპონდენტებმა მათ მიერ გამოცდილი სექსუალური შევიწროების სხვადასხვა სახეებზე ისაუბრეს, მათ შორის იყო: ქუჩაში უცხო პირების ან მძღოლების მხრიდან სექსუალური ხასიათის კომპლიმენტები და კომენტარები, ან არასასურველი შეხება. რესპონდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროება მიღებულია და როგორც მოძალადეების, ისე მსხვერპლთა უმეტესობა ამგვარ ქცევას სექსუალურ შევიწროებად არ თვლის. რესპონდენტების თქმით, სექსუალური შევიწროების ზოგიერთი ფორმა „მეგობრული შევიწროებაა“, რაც ისეთ ქმედებას ნიშნავს კაცი მეგობრის მხრიდან, რომელიც, შეიძლება, არაკომფორტული იყოს ქალისთვის, თუმცა მისადები კაცებისთვის და, ზოგადად, საზოგადოებისთვის, სხვა ქალების ჩათვლით.

რესპონდენტი ქალის მონაცლიდან:

„ამგვარი ქმედებები კაცისთვის ნორმაა, და, ალბათ, ბევრი ქალისთვისაც. და თუ თქვენ ამ ქალებთან გააპროტესტებთ ამას, შეიძლება, გიჟად ჩაგთვალონ.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი)

როგორც თვისებრივი კვლევის რესპონდენტებმა აღნიშნეს, სექსუალურ შევიწროებას ყველა ქალი განიცდის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, თუმცა გაცილებით მაღალ რისკ ჯგუფში შედიან ლბტ, ეთნიკური უმცირესობები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები. ასევე, მაღალ რისკ-ჯგუფს განეკუთვნებიან ბავშვები და მოზარდი გოგონები, მათი „დაუცველობისა“ და „გულუბრყვილობის“ გამო.

„როცა პატარა ვიყავი, 11 წლის, სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდი. ძალიან ბავშვური ვიყავი და არანაირი წარმოდგენა არ მქონდა სექსუალურ საკითხებზე. უბრალოდ, სრულიად დაუცველი პატარა ვიყავი, ვისაც არ შეეძლო ვინმესთვის რაიმეს თქმა, არ შეეძლო რამის გაკეთება, ის კი მავიწროებდა, რადგან სურდა რაღაცის დამტკიცება.“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი)

„პატრონის“ ცნება სექსუალური შევიწროების მახასიათებელ ფენომენად დასახელდა. „პატრონი“ არის ქალის ღირსებისა და უსაფრთხოების მფარველი კაცი. ეს კაცი ჩვეულებრივ უახლოესი ნათესავია – მამა, ძმა, პარტნიორი, ქმარი ან მამრობითი სქესის

ბიძაშვილი. ქალები, მათი სტატუსის მიუხედავად, ძლიერი კაცი მფარველის გარეშე ნაკლებ პატივსაცემად და ადვილად ხელმისაწვდომად აღიქმებიან. მაგალითად, განქორწინების შემდეგ ქალი მარტივად ხდება სექსუალური შევიწროების ობიექტი. განქორწინებული ქალი, მარტოხელა დედა და ქვრივი ყველაზე დაუცველები არიან. რესპონდენტი ქალის მონაცოლიდან:

„როდესაც ჩემი პირველი ქმარი და მე დაეშორდით, ყველა კაცი, იქნებოდა ის ნათესავი, ნათესავის მეგობარი, ჩემი ძალიან ახლო ნათესავი, უბრალოდ ნაცნობი თუ მეგობრის მეგობარი, ყველა კაცი ცდილობდა ჩემთან ფლირტს, რადგან ფიქრობდნენ, რომ შეეძლოთ ამის გაკეთება, რადგან იმ დროს დაუცველი ვიყავი, რადგან ჩემ გვერდით არ იყო კაცი. ისინი ფიქრობდნენ, რომ თუ ქალი მარტოხელა დედაა მამის, ძმის და ქმრის გარეშე, მაშინ ის დაუცველი და ხელმისაწვდომია“. (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი)

თვისებრივ ინტერვიუებში ქალები ხშირად ახსენებდნენ სექსუალურ შევიწროებას სამუშაო ადგილზე. ისინი აცხადებდნენ, რომ მათ ხელმძღვანელები სექსუალურ ურთიერთობებს სთავაზობდნენ. ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როდესაც ქალები სამსახურში აპყავდათ არა მათი უნარებისა და კვალიფიკაციის, არამედ გარეგნობის მიხედვით.

რესპონდენტი ქალის მონაცოლიდან:

„ერთხელ გასაუბრებაზე მივედი კაცთან. მაქსიმალურად ვეცადე ჩამეცვა მოკრძალებულად – შავი შარვალი, შავი მაისური, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, არავითარი მაკიაჟი. როდესაც ოთახში შევედი, მან მითხრა, რომ მას ესმოდა [რატომ მავიწროებდნენ] და მე ვიყავი იმ კატეგორიის ქალი, რომლის შევიწროებაც უნდა მომხდარიყო [...]. მისი აზრით, ეს კომპლიმენტი იყო. მე ტირილი დავიწყე, რადგან არაფრის თქმა ან გაკეთება არ შემიძლო“. (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი).

5.2.2 ადევნება

კვლევის ფარგლებში ქალებს ადევნების გამოცდილების შესახებაც ჰკითხეს:


- ✓ ქონების განზრახ დაზიანება;
- ✓ სახლის, სამუშაო ადგილის ან სკოლის გარეთ უსაფუძვლოდ და მიზების გარეშე სიარული და ლოდინი/შეგნებულად ადევნება;
- ✓ შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი წერილების ან ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნა;
- ✓ ინტიმური ფოტოებისა და ვიდეოების გავრცელება.

ქალთა 4%-მა განაცხადა, რომ სიცოცხლის მანძილზე ადევნების ერთი ფორმა მანაც გამოუცდია, ხოლო 3%-ს ადევნება ბოლო 12 თვის განმავლობაში გამოუცდია. რესპონდენტების თანახმად, ადევნების ყველაზე გავრცელებული ფორმაა შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი შეტყობინებები ან ელექტრონული ფოსტა (2%), გაყოლა (1%) და შეურაცხმყოფელი, მუქარის შემცველი სატელეფონო ზარები (1%).

ცხრილი 5.3:
ადევნების გავრცელება 15 წლის ასაკის ზემოთ ქალებში

	რაოდენობა	%	95 ნ.ი.
ქალები, ვინც ადევნების ნებისმიერი ფორმის შესახებ განაცხადეს	45,438	3.5	0.4
ქალები, ვინც ბოლო 12 თვის განმავლობაში ადევნების შესახებ განაცხადეს	42,323	3.3	0.4

გრაფიკი 5.4:
ადევნების ფორმები




5.3 ბავშვობაში გადატანილი ძალადობა და ბავშვობის ტრავმა

ქალებს დაუსვავს რამდენიმე კითხვა, რომელიც ბავშვობის ტრავმების კონკრეტულ გამოცდილებას შეეხებოდა. ბავშვობაში გადატანილი ძალადობის სიხშირესთან დაკავშირებული კითხვების შესაძლო პასუხები იყო: „არასდროს“, „ხანდახან“, „ხშირად“, „ძალიან ხშირად“. მიღებული პასუხების შედეგად გამოიკვეთა ბავშვობაში განცდილი შევიწროების სამი განზომილება: ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულვებლყოფა, ფიზიკური ძალადობა და სექსუალური ძალადობა. გრაფიკზე 5.4 ნაჩვენებია, რომ ქალების 14 %-ს ბავშვთა მიმართ ძალადობა რაიმე ფორმით

გამოუცდია, მათგან 6 %-ს ბავშვობაში გატანილი აქვს ფიზიკური ძალადობა, 5 %-ს – ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულვებლყოფა, ხოლო 3 %-ს – სექსუალური ძალადობა.

ბავშვობის სექსუალური ძალადობის საბოლოო ბავშვობის ტრავმასთან დაკავშირებული კითხვებიდან და კვლევის ბოლოს თვითგაცხადებული ანონიმური კითხვიდან მიღებულ მონაცემებს ეფუძნება. ანონიმური მეთოდის გამოყენება გამართლებულია ბავშვობაში გამოცდილი სექსუალური ძალადობის განსაკუთრებულად სტიგმატიზებული ბუნებისა და სირცხვილის, უხერხულობისა და ბრალეულობის გრძნობებიდან გამომდინარე, რამაც შეიძლება, რესპონდენტებს პირისპირ ინტერვიუს დროს შეუშალოს ხელი.

გრაფიკი 5.5:
ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები



5.3.1 პირველი სქესობრივი კავშირი

რესპონდენტებს, აგრეთვე, სთხოვეს, აღენერათ პირველი სქესობრივი ურთიერთობის გამოცდილება: ეს მოხდა მათი სურვილით, მათ სურვილი არ ჰქონდათ, მაგრამ ეს მაინც მოხდა (იძულებით, არ იგულისხმება ძალადობა), თუ სქესობრივი კავშირი იყო ძალადობრივი (გაუპატიურება). ცხრილში 5.4 ნაჩვენებია ქალთა

პასუხები აღნიშნულ კითხვაზე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მთლიანობაში, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პირველი სქესობრივი კავშირი უმეტესი ქალისთვის ნებაყოფლობითი და სასურველი იყო, ხოლო ქალების 2%-სათვის, რომელთაც პირველი სექსუალური კავშირი 15-დან 24 წლამდე ჰქონდათ, ეს კავშირი იყო იძულებითი.

ცხრილი 5.4:
ასაკი პირველი სექსუალური კავშირისას

	12-14		15-24		25-34		35-44		45-52	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ნებაყოფლობითი	4,985	0.4	760,703	59	206,114	16.0	36,359	2.8	930	0.1
სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მოხდა	1,911	0.15	29,515	2.3	6,598	0.5	-	-	-	-
ძალადობრივი	-	-	1,406	0.1	-	-	-	-	-	-
არ ვიცი/არ მახსოვს	-	-	2,051	0.2	1,668	0.1	-	-	-	-
უარი თქვა პასუხზე	133	0.01	3,664	0.3	559	0.04	306	0.02	-	-

შენიშვნა: არ ჰქონია სქესობრივი კავშირი 17.6% (n=227,266)

5.3.2 არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროება და ბავშვთა მიმართ ძალადობა

ცხრილში 5.5 არაპარტნიორის მხრიდან გამოცდილი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება ასახული კვლევაში მონაწილე ქალების მიერ. ეს მოიცავს

გაცხადებულ, ბავშვობისას განცდილ სექსუალურ ძალადობას. მთლიანობაში, ქალთა 12%-ს ოდესმე მაინც გამოუცდია არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა. ქალთა თითქმის ერთ მესამედს (27%) კი არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა და სექსუალური შევიწროება აქვს გამოცდილი.

ცხრილი 5.5:
არაპარტნიორის მხრიდან ყველა ფორმის ძალადობის გავრცელება

ყველა ქალის მიერ (ბავშვობაში გადატანილი ძალადობის ჩათვლით)	ოდესმე გამოუცდია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა		ოდესმე გამოუცდია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა და შევიწროება	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სიცოცხლის მანძილზე	154,328	12.0	346,510	26.9

5.3.3 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა ბავშვების თანდასწრებით

ქალებს, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის შესახებ განაცხადა, ჰკითხეს, მათი შვილები თუ შესწრებიან ოდესმე ძალადობის ფაქტს. იმ ქალთა თითქმის ორმა მესამედმა, ვისაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა გამოუცდია, აღნიშნა, რომ მათი შვილები არაერთხელ შესწრებიან ძალადობის ფაქტებს.

თვისებრივი ინტერვიუების დროს ქალებმა განაცხადეს, რომ მათი პარტნიორები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ შვილებს დამცირებითა და სხვადასხვა სახელის დაძახებით. სხვა შემთხვევებში კი ვაკცია პარტნიორები იზოლაციაში აქცევდნენ ან უგულვებელყოფდნენ ბავშვებს.

რესპონდენტი ქალის მონაყოლიდან:
„მას ბავშვებთან თითქმის არანაირი კონტაქტი არ ჰქონდა, ძალიან იშვიათად. თუმცა, იგი

ასხვავებდა ბავშვებს. უმეტესად უყვარდა (გოგო) და საერთოდ არ უყვარდა ბიჭები. კი, ნამდვილად არ უყვარდა ისინი“ (მსხვერპლი, 25, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

სხვა ქალის მონაყოლიდან:

„იგი მათ ნაბიჭვრებს ეძახდა. ასეთ სახელებს ეძახდა. უფროსი გოგო ცეკვის გაკვეთილებზე

დადიოდა და როცა გაკვეთილებისთვის გადახდის დრო მოვიდოდა, იგი მას (გოგოს) ფულს არ აძლევდა და ატირებდა ისე, რომ (გოგო) იხვენებოდა, ცეკვისთვის თავი დაენებებინა, თუმცა საბოლოოდ ის მაინც იხდიდა ფულს.“ (მსხვერპლი, 35, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

ცხრილი 5.6:

რა სიხშირით ხდებოდა ძალადობა ბავშვების თანდასწრებით ქალებში, რომელთაც გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა?

	რაოდენობა	%
არასდროს	15,685	28.8
1-2-ჯერ	7,387	13.5
რამდენჯერმე (2-5)	16,221	29.7
ბევრჯერ/ყოველთვის	10,883	20.0
არ ვიცი/უარი პასუხზე	4,363	8.0

5.4 ძალადობის პერიანი მაჩვენებელი

კვლევის შედეგად, ქალების მიერ გამოცდილი ძალადობის გავრცელების მაჩვენებლების შეჯამებისას დადგინდა, რომ:

- ქალების 12%-ს სიცოცხლის მანძილზე გამოუცდია პარტნიორის/მეუღლის ან არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა;
- 4-დან 1 ქალზე მეტს (27%) სიცოცხლის მანძილზე გამოცდილი აქვს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ან სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, მათ შორის, ბავშვობაში გადატანილი ძალადობა ან სექსუალური შევიწროება.



5.5 ანალიზი

კვლევით დადგინდა, რომ საერთაშორისო გამოცდილების მსგავსად, ქალები ძალადობის რისკის ქვეშ უფრო მეტად პარტნიორის/მეუღლის მხრიდან არიან.⁵⁶ ამასთან, კვლევა აჩვენებს, რომ არაპარტნიორის მხრიდან ძალადობა ასევე გავრცელებული ფენომენია. ქალთა თითქმის ერთმა მესამედმა განაცხადა, რომ სიცოცხლის მანძილზე გამოცდილი აქვს არაპარტნიორის მხრიდან ძალადობის, სულ მცირე, ერთი ფორმა მაინც, ბავშვობაში გადატანილი ძალადობის ჩათვლით. 18 წლის ასაკიდან მოყოლებული, არაპარტნიორის მხრიდან ძალადობის ეროვნული მაჩვენებელი იყო 2.7%. საქართველოში, მოძალადეებად ყველაზე ხშირად მეგობრები/ნაცნობები და სრულიად უცნობები სახელდებიან. ეს მაჩვენებლები საქართველოში 2009 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის მაჩვენებლების მსგავსია.⁵⁷

56 Garcia-Moreno, C., et al. 2013. Global and Regional Estimates of Violence against Women: Prevalence and Health Effects of Intimate Partner Violence and Non-partner Sexual Violence. WHO: Geneva.

57 ჩიტაშვილი და სხვ, 2010.

საქართველოში სექსუალური ძალადობის 80 შემთხვევა იყო რეგისტრირებული 2014 წელს და 87 შემთხვევა – 2015 წელს, მათ შორის 20 (2014 წ.) და 13 (2015 წ.) გაუპატიურების შემთხვევა იყო.⁵⁸ თუმცა, მთლიანობაში, ეს მაჩვენებელი რეგიონში არსებულ 5%-იან მაჩვენებელზე დაბალია.⁵⁹ სოციალური სტიგმები საქართველოში – ქალის ქალწულობისა და ოჯახის პატივისცემის ასპექტების მნიშვნელოვნების ჩათვლით – სავარაუდოდ, ხელს უშლის ქალებს, არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ განაცხადონ⁶⁰. სექსუალური ძალადობა, ყველა პარამეტრში, სტიგმატიზებულ თემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის დროს დიდი ყურადღება ექცევა საკითხის სენსიტიურობას, გამუდავების ხარისხი დამოკიდებულია რესპონდენტის აღქმებზე საკითხის გარშემო არსებული სტიგმების შესახებ და ასევე – რესპონდენტის მიერ აღქმულ შედეგებზე იმ შემთხვევაში, თუ ძალადობის შესახებ სხვა გაიგებს.⁶¹

თვისებრივი ინტერვიუების დროს გავრცელებულ მოვლენად არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობაც დასახელდა. კერძოდ, ქალებმა განაცხადეს, რომ ფიზიკურ და ემოციურ ძალადობას განიცდიდნენ ოჯახის წევრების (მათ შორის, დედამთილის და მამამთილის), ძმების, გერებისა თუ მულის მხრიდან. ტრადიციულად, საქართველოში ოჯახი ფართო ცნებას გულისხმობს, რომელშიც ხშირად რამდენიმე თაობა მოიაზრება. რძალს, ჩვეულებრივ, ყველაზე მცირე ძალაუფლება აქვს ოჯახში. რესპონდენტების განცხადებით, ოჯახში ძალადობის მთავარი ფაქტორი ხშირად დედამთილია. მისი მხრიდან რძალზე ძალადობა გავრცელებული ფენომენია და პატრიარქალურ სტრუქტურას ასახავს, რომელიც ქალის მარგინალიზებას ახდენს. სხვა შემთხვევებში, „პატრონის“ – კაცი დამცველის – არარსებობა ზრდის ძალადობის რისკს ოჯახის სხვა წევრთა მხრიდანაც. კერძოდ, ქვრივები აცხადებდნენ, რომ მაკონტროლებელ ქვევასა და ემოციურ ძალადობას განიცდიდნენ ოჯახის წევრების

მხრიდან, რომელთაც ქმრის გარდაცვალების შემდეგ „პატრონის“ როლი მიიღეს. მომავალში სასურველია არაპარტნიორი ოჯახის წევრების მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ რაოდენობრივი კვლევის ჩატარებაც.⁶²

რაც შეეხება ბავშვობაში გამოცდილი ძალადობას, კვლევის მიხედვით, ქალთა თითქმის 14%-ს რაიმე ფორმით მაინც აქვს გამოცდილი ბავშვთა მიმართ ძალადობა. გაცხადებული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფიზიკური ძალადობა (6%); ქალთა 3%-ს კი სექსუალური ძალადობა გამოუცდია 18 წლის ასაკამდე. ეს რიცხვი თითქმის ნახევარია (7%) 2009 წლის კვლევის შედეგებისა და დაბალი – რეგიონის სხვა ქვეყნებში ჩატარებული მსგავსი კვლევების შედეგებთან შედარებით.⁶³

კვლევა იყო პირველი მცდელობა საქართველოში სექსუალური შევიწროების საკითხის ეროვნულ დონეზე შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის მიმართ ცნობიერების დონე ე.წ. #MeToo კამპანიამდე შედარებით დაბალი იყო, სექსუალური შევიწროება და ადევნება საქართველოში ძალადობის გავრცელებულ ფორმებად დაფიქსირდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქალთა თითქმის 20%-მა განაცხადა სექსუალური შევიწროების გამოცდილების შესახებ, ხოლო 4%-მა – ადევნების შესახებ. რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს რიცხვი დაბალია. ევროკავშირის ფარგლებში ჩატარებული უკანასკნელი კვლევების მიხედვით, ქალთა 45-55%-ს გამოუცდია სექსუალური შევიწროება 15 წლის ასაკიდან, ხოლო თურქეთში ქალთა 27%-ს – ადევნება.⁶⁴

საქართველოში სექსუალური შევიწროება ხშირად ნორმალიზებულია და სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ განცხადება სირცხვილად ითვლება, მიღებული არაა. შევიწროება ხშირად განისაზღვრება როგორც „შეგობრული შევიწროება“ და ქალებისგან

58 ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭო, 2016, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ A/HRC/32/42/Add.3
59 WHO. 2013. Responding to Intimate Partner Violence and Sexual Violence against Women: WHO Clinical and Policy Guidelines. WHO: Geneva

60 ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭო, საქართველო, 2016.
61 WHO, 2013.
62 თვისებრივი ანგარიში, 2018.
63 Garcia-Moreno et al., 2005; Ministry of Family and Social Policies. 2015; Ospipov, V. 2011.
64 FRA, 2014; Ministry of Family and Social Policies, 2015.

მის კომპლიმენტად აღქმას მოელიან. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროება საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა ხშირად არ მუდავნდება სხვადასხვა სტიმების გამო.⁶⁵ აზიის განვითარების ბანკის მიერ 2014 წელს ქალთა მიერ, თბილისში, საჯარო ტრანსპორტსა და მსგავს ადგილებში სექსუალური შევიწროების გამოცდილების შესახებ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 200 რესპონდენტიდან 45%-ს გამოუცდია სექსუალური შევიწროება თბილისის მეტროში. ამ კვლევის მსგავსად, შევიწროების ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო მოშტერება, სექსუალური ხასიათის კომენტარები და არასასურველი შეხება.⁶⁶ ხსენებულ ანგარიშში აღინიშნა ისიც, რომ ქალებს არ სურდათ სექსუალური შევიწროების შესახებ გაცხადება ამ საკითხზე დაბალი ცნობიერების გამო, რადგან ამგვარი შევიწროება სერიოზულ შეურაცხყოფად არ აღიქმება.

სექსუალური შევიწროება საქართველოს კანონმდებლობით განმარტებული არ არის, რაც შეუძლებელს ხდის მის რეგულირებას. ქალები იშვიათად აცხადებენ სექსუალური შევიწროების შესახებ პოლიციაში ან სხვა ოფიციალურ ორგანოებში. ვინაიდან ის არ რეგულირდება კანონით, პოლიციას ხშირად უჭირს განსაზღვრა, თუ როგორც მოიქცეს სექსუალური შევიწროების ფაქტების დროს. ასეთ შემთხვევებს ხშირად სერიოზულად არ თვლიან და უგულებელყოფენ. თვისებრივი ინტერვიუების ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით: „თუ ქალი რეკავს პოლიციაში, რათა საჯარო სივრცეში განცდილი სექსუალური შევიწროების შესახებ განაცხადოს, პოლიცია მას ასე პასუხობს: „ეს ახალგაზრდა კაცი, უბრალოდ, თქვენს გაცნობას ცდილობდა, ლამაზო ქალბატონო“.⁶⁷

რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთი ქართველი ჟურნალისტი გახდა პირველი ქალი, რომელმაც თავის დამსაქმებელს ბრალი დასდო სექსუალურ შევიწროებაში და სასამართლოში უჩივლა. ამ უპრეცედენტო შემთხვევაში, სასამართლომ ცნო სექსუალური შევიწროების ბრალეულობა და ბრალდებულს კომპენსაციის გადახდა დააკისრა. ადამიანის უფლებათა დამცველები იმედოვნებენ, რომ ეს შემთხვევა პრეცედენტი გახდება მომავალში სექსუალური შევიწროების სხვა შემთხვევების დროს.⁶⁸

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების განსაზღვრისთვის (კანონმდებლობაში შესატანად) საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციები (2017 წლის რაოდენობრივი კვლევა) წარედგინა. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, ასევე, განიხილავს ქალთა მოძრაობის მიერ წარდგენილ პეტიციას, რომელიც სექსუალური შევიწროების კრიმინალიზაციას ითხოვს, შრომის კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი შესწორებების შეტანით.⁶⁹

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ საქართველოში არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, მათ შორის სექსუალური შევიწროება და ადევნება, სერიოზული პრობლემაა და ჩარევას მოითხოვს, რათა უთანასწორო და დისკრიმინაციული გენდერული შეხედულებების ჩამოყალიბება და ქალთა მიმართ ძალადობის ნორმალიზება არ მოხდეს. კვლევის შედეგები მართლმსაჯულების რეაგირების აუცილებლობას უსვამს ხაზს, რათა იმ ქალთა მოთხოვნები და საჭიროებები დაკმაყოფილდეს, რომელთაც ძალადობა ან შევიწროება გამოსცადეს.

65 ადამიანის უფლებათა საბჭო, სპეციალური მომხსენებლის ანგარიში 2016

66 Asian Development Bank, 2014. Georgia: Rapid assessment of sexual harassment in public transport and connected spaces in Tbilisi. Technical Assistance Consultant's Report.

67 თვისებრივი ანგარიში, 2018.

68 JAM News, 2018. ქართველმა ჟურნალისტმა თავის უფროსს სასამართლოში სექსუალური შევიწროების საქმე მოუგო, იანვარი 6, <<https://jam-news.net/?p=79067>>

69 JAM News, 2017. საქართველოში შესაძლოა მიიღონ კანონი სექსუალურ შევიწროებაზე, ნოემბერი 7, <<https://jam-news.net/?p=68351>>

თავი 6. ქალთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებები

ძირითადი მიგნებები

- ქალების თითქმის ერთ მეოთხედს (22%) და კაცების ერთ მესამედს (31%) მიაჩნია, რომ ცოლის ცემა გარკვეულ გარემოებებში გამართლებულია, მაგალითად, ღალატის ან ბავშვების უგულვებლყოფის შემთხვევაში;
- როგორც მამრობითი (50%), ისე მდედრობითი სქესის (33%) რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა პირადი საკითხია და მასში სხვები არ უნდა ჩაერიონ. ქალები, რომლებსაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, ამ განცხადებას ნაკლები ალბათობით ეთანხმებოდნენ (27%);
- ქალების (66%) და კაცების (78%) უმეტესობა დაეთანხმა, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სახლში წესრიგის შენარჩუნებაა;
- ქალების თითქმის მეოთხედს (23%) და კაცების თითქმის ნახევარს (42%) მიაჩნია, რომ ქალი უნდა ემორჩილებოდეს კაცს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ ეთანხმება მას;
- თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევს მოძალადეს, ქალებისა და კაცების თითქმის ნახევარს ეს გაუპატიურებად არ მიაჩნია;
- ქალების 67% და კაცების 74% ინფორმირებულია ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონების არსებობის თაობაზე.

წინამდებარე თავი საქართველოში გენდერული ურთიერთობებისა და ძალადობის შესახებ რესპონდენტების დამოკიდებულებებს იკვლევს. ქალებსა და კაცებში არსებული შეხედულებების დასადგენად, კვლევაში ჩართული იყო რამდენიმე კითხვა გენდერის, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობისა და ქალების მიმართ სხვა სახის ძალადობის შესახებ. რესპონდენტების გენდერული როლებისა და ურთიერთობებისადმი დამოკიდებულების შესაფასებლად, კითხვები გენდერულად სამართლიანი კაცის აღქმის (Gender Equitable Man) სკალის⁷⁰ მიხედვით დაესვათ ქალებსაც და კაცებსაც. მდედრობითი და მამრობითი სქესის რესპონდენტებს ჰკითხეს, დასაშვებად მიაჩნდათ თუ არა ზოგიერთ შემთხვევაში მეუღლის მიერ ცოლის ცემა. ქალებს ასევე დაუსვეს შეკითხვები სქესობრივ კავშირზე უარის თქმის, ხოლო კაცებს – გაუპატიურების შემთხვევაში მსხვერპლის დადანაშაულების შესახებ.

70 გენდერულად სამართლიანი კაცის აღქმის სკალა Population Council და Instituto Promundo ორგანიზაციების მიერ შემუშავდა და მრავალ ქვეყანაში გამოიყენეს როგორც გაერო-ს და ჯანმო-ს მრავალეროვნული კვლევების ნაწილში, ისე სხვა კვლევებშიც. სკალა გამოიყენება საზოგადოებაში გაბატონებული ნორმების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, ასევე - იმ პროგრამების ეფექტიანობის შესაფასებლად, რომლებმაც ამ ნორმებზე უნდა იმოქმედოს. თავდაპირველად გენდერულად სამართლიანი კაცის აღქმის სკალა სხვადასხვა სფეროდან 24 საკითხს მოიცავდა, როგორცაა: გენდერული ნორმები, ძალადობა, სექსუალურობა, კაცურობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ა.შ. შეხედულებების შესახებ დასმული კითხვები განსხვავებულ გარემოებებში გამოიყენებოდა და მუდმივად აჩვენებდა სანდოობის მაღალ დონეს (Pulerwitz and Barker, 2008).

6.1 ქალისა და კაცის დამოკიდებულებები ქალთა მიმართ ძალადობისადმი

„თუ გინდა, კაცი იმდენად არ გააბრაზო, რომ გცემოს, თავი უნდა აკონტროლო.“
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცი)


რესპონდენტებს ჰკითხეს, ეთანხმებოდნენ თუ არა ისინი ისეთ განცხადებებს, რომელთა მიზანი მეუღლის მიერ ცოლის ცემისთვის მისაღები გარემოებების დადგენა იყო. ცხრილში 6.1 იმ ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებელია ნაჩვენები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მეუღლეს ცოლის ცემის უფლება აქვს გარკვეული გარემოებების გამო, როგორცაა: სახლის სამუშაოს არასათანადო შესრულება, ქმრის მიმართ დაუმორჩილებლობა, სქესობრივ კავშირზე უარის თქმა ან ღალატი. მთლიანობაში, ქალების 22% და კაცების 31% დაეთანხმა მეუღლის მიერ ცოლის ცემის, სულ ცოტა, ერთ გამამართლებელ გარემოებას მაინც. ძალადობის გამამართლებელი გარემოებები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ეთანხმებოდნენ ქალები, იყო ღალატი (20%) და ბავშვების უგულვებლყოფა (10%). ყველაზე ხშირი გამამართლებელი გარემოებები კაცების შემთხვევაშიც ღალატი (29%) და ბავშვების უგულვებლყოფა (12%) აღმოჩნდა.

იმ ქალებს შორის, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შესახებ განაცხადა, დაახლოებით მესამედი დაეთანხმა მეუღლის მხრიდან ცოლის ცემის ერთ-ერთ გამამართლებელ გარემოებას მაინც. საზოგადოდ, ამ შეხედულებების მიმღებლობის დონე უფრო მაღალი იმ ქალთა შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა განიცადეს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან, ვიდრე იმ ქალებს შორის, ვისაც პარტნიორის მხრიდან ძალადობა არ გამოუცდია.

მთლიანობაში, კაცები უფრო მეტად ამართლებდნენ ძალადობას ქალებთან შედარებით, თუმცა ამგვარი შეხედულებების მიმღებლობის დონე ძალიან მიახლოებულია კაცებსა და იმ ქალებს შორის, ვინც პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შესახებ განაცხადეს.

როგორც ერთ-ერთმა კაცმა რესპონდენტმა განაცხადა:
„თქვენ ვინმეს სცემდით უმიზეზოდ? ან მისცემდით ვინმეს უფლებას, დაუმსახურებლად ეცემით? არავინ არავის უმიზეზოდ არ სცემს, მაშინ ის გიჟია და შედეგად გამოდის, რომ, თუ მეზობელი ცოლს სცემს, ამ კაცის თვალსაზრისით, ის ამას იმსახურებს.“
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცი)

გრაფიკი 6.1: იმ კაცებისა და ქალების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც კაცის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს




გრაფიკი 7 აჩვენებს, რომ უფროსი ასაკის ქალები და კაცები ძალადობისადმი უფრო მეტ მიმდებლობასა და კონსერვატიულ დამოკიდებულებას იჩენენ, ვიდრე ახალგაზრდა თაობა. მაგალითად, **გრაფიკიდან 7**

ჩანს, რომ 15-24 წლის ასაკის ქალების 16 %-ის აზრით, ქალმა უნდა აიტანოს ძალადობა ოჯახის შესანარჩუნებლად, 55-64 წლის ქალების 34 %-თან შედარებით.

გრაფიკი 6.2:

იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ძალადობის მიმართ მიმდებლურ განაცხადებს ეთანხმება, ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



6.2 დამოკიდებულებები გენდერული ურთიერთობების შესახებ

რესპონდენტებს ჰკითხეს, ეთანხმებიან თუ მტკიცედ ეთანხმებიან ისინი რიგ განცხადებებს გენდერული ურთიერთობების შესახებ? მთლიანობაში, ქალი და კაცი რესპონდენტების პასუხი საკმაოდ ერთგვაროვანი აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალისა და კაცის დამოკიდებულებებში მცირე განსხვავება იყო. შედეგებმა არასამართლიანი გენდერული ნორმების მიმართ მიმდებლობის ტენდენციები გამოავლინა, მაგალითად, ის, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სახლში წესრიგის შენარჩუნებაა ან ის, რომ ქალი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს კაცს.

„მამთარი იყო და თოვდა, მე დავერეკე [მეუღლის სახელი] და ვთხოვე წყალი მოეტანა, რადგან მე არ შემეძლო გარეთ გასვლა. როგორც ჩანს, ის თავის თანამშრომლებთან იდგა და მათ ყველაფერი გაიგონეს და უთხრეს, რომ დახმარების თხოვნა არ უნდა გამეხდებოდა. ვერ წარმოიდგენთ, რა მოხდა, როდესაც მეუღლე სახლში დაბრუნდა. დიდი სკანდალი!“
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი)

„ჩემთვის ღირსეული ქალი არის ის, ვინც ზრდის ბავშვებს, ასწავლის მათ და არის წარმატებული შვილების მშობელი. იმავე დროს, მას კარგად შეუძლია საჭმლის მომზადება და დაუთოება“.
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი)

„ქალის ძირითადი ფუნქცია არის დედობა, კაცის კი – ოჯახისა და ქვეყნის ღირსების შენარჩუნება“.

(ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცი)

მაშინ, როდესაც თითქმის ყველა ქალი და კაცი თანხმდებოდა, რომ ქალმა და კაცმა ოჯახში უფლებამოსილება უნდა გაინაწილოს, ქალების ერთ მეხუთედს და კაცების ორ მეხუთედს მიაჩნია, რომ ქალი უნდა დაემორჩილოს კაცს მაშინაც კი, თუ მას არ ეთანხმება. ქალებისა და კაცების დაახლოებით ერთი მეოთხედი (შესაბამისად, 25,1 % და 27,2 %) ასევე ეთანხმება, რომ ქალს არ შეუძლია უარი თქვას სქესობრივ კავშირზე მეუღლესთან, ხოლო ქალებისა და კაცების 40 %-ს მიაჩნია, რომ კაცებს უფრო მეტად ესაჭიროებათ სექსი, ვიდრე ქალებს. ეს უკანასკნელი მიგნება აისახა თვისებრივ კვლევაში, სადაც რესპონდენტები კაცების დალატსა და მათთვის სქესობრივი კავში-

რის საჭიროებაზე საუბრობდნენ. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ, გენდერული თვალსაზრისით, იმ საზოგადოებრივ ნორმებს, რომლებიც დალატის უფლებას აძლევს ვაცს, მაგრამ არა - ქალს.

ორი რესპონდენტის დისკუსიიდან:

რესპონდენტი 1: - ვაცი ვაცია, ხომ იცი... ხანდახან გაივლის ქალებში...

რესპონდენტი 2: - ეს რას ნიშნავს, სხვა ქალებთან გაივლიან?

რესპონდენტი 1: - რა მოხდა, როცა ჩემი მეუღლე რუსეთში იყო, უნდა ვიფიქრო, რომ მართო იყო? არ ვარ დარწმუნებული (იცინის).

რესპონდენტი 2: - შენც ასე იქცეოდი?

რესპონდენტი 1: - არა, მე ქალი ვარ. არავის არ შეუძლია, მე მასე შემომხედოს.

(ქალები, სასოფლო დასახლების ფოკუს ჯგუფი)

ცხრილი 6.1:

ქალებისა და ვაცების პროცენტული მაჩვენებლები, ვინც უსამართლო გენდერულ ნორმებს/როლებს ეთანხმება

	ყველა ქალი		ქალები, ვისაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური/სექსუალური ძალადობა გამოუცდიათ		ყველა ვაცი	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ქალს არ შეუძლია უარი თქვას სქესობრივ კავშირზე მეუღლესთან	322,861	25.1	18,800	29.4	321,572	27.2
ქალმა და ვაცმა უნდა გაიზიარონ უფლებამოსილება ოჯახში	1,223,630	94.9	61,216	95.8	1,006,709	85.0
ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სახლზე ზრუნვაა	848,710	65.8	42,262	66.2	923,897	78.0
ქალი უნდა დაემორჩილოს მეუღლეს მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება მას	292,250	22.7	11,986	18.8	495,872	41.9
ქალს უნდა შეეძლოს საკუთარი ფულის დახარჯვა	1,155,052	89.6	57,704	90.4	975,864	82.4
ორსულობის თავიდან აცილება ქალის მოვალეობაა	504,007	39.1	26,273	41.1	439,979	37.2
მეუღლე განრისხებული უნდა იყოს, თუ ცოლმა მას პრეგრევატივის გამოყენება მოსთხოვა	48,420	3.8	2,442	3.8	82,287	7.0
სექსი ვაცს უფრო სჭირდება, ვიდრე ქალს	480,496	37.3	25,219	39.5	467,938	39.5

თვისებრივი კვლევებიდან დამატებით გამოვლინდა, რომ ქალების მიერ მოსალოდნელი ქცევებიდან გადახვევას, ძირითადად, თანამედროვე ღირებულებების კონტექსტში მოიხსენიებდნენ, მაგალითად, „ევროპული ღირებულებები“, რაც არ ითვლებოდა დადებითად. თანამედროვე ღირებულებების მქონე ქალებს თავისუფალი ცხოვრების წესი ახასიათებთ და ეს საზოგადოების ზოგიერთი წევრის მიერ უპატივცემულად აღიქმებოდა. მეტიც, იმ ქალებს, ვინც არის დამოუკიდებელი, ძლიერი და ლიდერის ხასიათი აქვთ, აღწერდნენ და მოიხსენებდნენ როგორც „კაცურ ქალს“. ეს კარგად ჩანს ქალებისა და კაცების ქვემოთ მოყვანილ კომენტარებშიც:

„ძველი ტრადიციები უკვე დაკარგულია საქართველოში. ქალები ისეთები აღარ არიან, როგორებიც იყვნენ, კაცებიც შეიცვალნენ მეტნაკლებად. მაგრამ ქალმა ყველაფერი დაკარგა. ჩემი აზრით, ქალი ისეთი აღარ არის, მას ადრე ისე ეცვა, რომ კოჭები დაემალა, დღესდღეობით კი ქალებს ისე აცვიათ, რომ კაცები მიიზიდონ“.
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცი)

„უნესკო გოგოები, ე. ი. არ აინტერესებთ [სხვისი აზრი და] ბედმეტად თავისუფლად ცხოვრობენ. ჩემი აზრით, ასეთი გოგო უნესკო“.
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა)

„უნდა გადავიდეთ ევროპულ ტრადიციებზე, როცა 20 წლის გოგოს მეგობარი კაცი ჰყავს, პარტნიორი ეყოლება და გათხოვდება 27 წლის ასაკში, ეს ნორმალურია ქართულ კონტექსტში?“
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი)

6.3 დამოკიდებულებები ძალადობის მიმართ

რესპონდენტებს ჰკითხეს, ეთანხმებიან თუ არა ისინი მთელ რიგ წესებს, რომლებიც ძალადობის ნორმალიზებას ახდენს? გრაფიკი 6.3 ასახავს იმ ქალებისა და კაცების განაწილებას, რომლებიც ამ წესებს ეთანხმებიან. მთლიანობაში, ქალების 60 % და კაცების 72% ეთანხმება ძალადობის ნორმალიზების ერთ-ერთ ნესს მანის. ყველა ქალის 33% და ყველა კაცის 50% დაეთანხმა, რომ ძალადობა მეუღლეებს შორის პირადი საკითხია, რომელშიც გარე პირები არ უნდა ჩაერიონ. აღნიშნულ განცხადებას, ასევე, დაეთანხმა ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობაგადატანილი ქალების 27%. რესპონდენტების თითქმის ნახევარს კი

მიაჩნია, რომ თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევს მოძალადეს, მაშინ ეს გაუპატიურება არ არის.

საერთო ჯამში, ამ შეხედულებების მიმართ თანხმობა უფრო მაღალი იყო იმ ქალებს შორის, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა განიცადა იმ ქალებთან შედარებით, ვისაც პარტნიორის მხრიდან ძალადობა არ გამოუცდია. კაცები ამ განცხადებებს უფრო მეტად ეთანხმებოდნენ, ვიდრე ქალები.

„ძალადობა არ ხდება, თუ კაცის სიტყვას ძალა აქვს. რა თქმა უნდა, ქალსაც შეუძლია რამის თქმა, მაგრამ ოჯახს, რომელსაც ქალი განაგებს, არ აქვს მყარი საფუძველი“.
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცი)

თვისებრივი კვლევით ისიც დადგინდა, რომ კვლევის მონაწილეების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის აღიარების მიუხედავად, ზოგადი განწყობა ისეთია, რომ აღნიშნული პრობლემა მათ გარემოში არ არის. ეს, შესაძლოა, იმაზე მიანიშნებდეს, რომ კვლევის მონაწილეებს უჭირთ პრობლემის სეროზულობის შეფასება, ანდა ძალადობის შემთხვევების განხილვა ტაბუირებული რჩება და ადამიანები ცდილობენ, გაემიჯნონ პრობლემას და ამ საკითხზე საუბარი თავიდან აიცილონ. კვლევის ახალგაზრდა მონაწილეები პრობლემაზე უფრო გახსნილად საუბრობდნენ, ვიდრე ზრდასრულები და აცხადებდნენ, რომ იცოდნენ მეზობლებს ან/და ნათესავებს შორის ძალადობის შემთხვევების შესახებ.

„ტელევიზორში ხშირად მესმის, რომ ვიღაცამ თავისი ცოლი მოკლა, მაგრამ ასეთი რაღაცეები ჩვენს წრეში არ ხდება. ჩვენ არ გვაქვს მსგავსი რაღაცეები... ღმერთმა დაგვიფაროს“.
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე კაცი)


„მე მჯერა, რომ საქართველოში და თბილისში ძალადობა დიდი პრობლემა არ არის. ვფიქრობ, ვინ შეიძლება იყოს ჩემს გარშემო მოძალადე, მაგრამ ვერავის ვადგენ“.
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი)

„მე მესმის ყვირილი და გინება ყოველდღე ჩემი მეზობლის სახლიდან, ჩემს გვერდით“.
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი)

„ეს სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ძალადობაა, ქალები არ არიან ნებადართული, თავისუფლად გამოხატონ თავისი აზრი.“
(ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა)

გრაფიკი 6.3:

იმ ქალებისა და კაცების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ძალადობის ნორმალიზების განცხადებებს ეთანხმება




მთლიანობაში, ქალებსა და კაცებს სოფლად უფრო მეტად აღენიშნებათ კონსერვატიული და ძალადობის

მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება, ვიდრე ქალაქად (იხ. გრაფიკი 6).

გრაფიკი 6.4:

იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ფიქრობს მოძალადის პატიებას - ქალაქის/სოფლის ჭრილში




6.4 ინფორმირებულობა მომსახურებებისა და კანონმდებლობის შესახებ

ქალებსა და კაცებს ჰკითხეს, იყვნენ თუ არა ინფორმირებულნი საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული კანონების თაობაზე და თუ იცნობდნენ ვინმეს, ვინც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი გახდა?

კვლევის მიხედვით, ქალებისა და კაცების უმეტესობას შიამნია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა გავრცელებულია ან საკმაოდ გავრცელებული. ქალებს უფრო მეტად შიამნიათ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა გავრცელებულია, ვიდრე კაცებს.

გრაფიკი 6.5:

რამდენად გავრცელებულია ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ქალებისა და კაცების შეხედულებით




კვლევამ აჩვენა, რომ ქალების 19.0% და კაცების 9.6% ოჯახის ან მეგობრების წრეში იცნობდა ისეთს, ვისაც ოჯახში ძალადობა გამოუცდია; ხოლო ქალების 9.8 %-მა და კაცების 4.0%-მა განაცხადა მსხვერპლის ცნობის შესახებ სასწავლო ან სამუშაო ადგილას. ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ქალების

მიერ კვლევის შედეგად გაცხადებული ძალადობის დონე, რაც მოსალოდნელი იყო კიდევ. აღნიშნული, სავარაუდოდ, იმაზეც მიუთითებს, რომ ძალადობის რეალური მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მისი გაცხადებული დონე.

გრაფიკი 6.6:

იმ ქალებისა და კაცების პროცენტული რაოდენობა, ვინც განაცხადა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს იცნობს



კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების უმეტესობამ (ქალების 67%-მა და კაცების 74%-მა) იცის საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებულ კანონმდებლობაზე. თუმცა, კაცების (38%) და ქალების (44%) ნახევარზე ნაკლებს მიაჩნია, რომ

მეუღლის გაუპატიურება დანაშაულია. თითქმის ყველა კაცისა და ქალისთვის მისაღებია, რომ ძალადობასთან დაკავშირებულ დაზიანებებს რეგულარულად ამოწმებდეს ექიმი.

ცხრილი 6.2:

იმ ქალების და კაცების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც განაცხადა, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული კანონმდებლობისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულია

	ქალი	კაცი
მიაჩნია, რომ კანონის მიხედვით, მეუღლე, რომელიც აიძულებს ცოლს, ჰქონდეს სქესობრივი კავშირი საკუთარი ნების გარეშე, დანაშაულებრივ საქციელს ჩადის	43.9	38.0
ინფორმირებული არიან კანონების არსებობის თაობაზე საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის შესახებ	67.4	73.5
ახლახან ნახა ან გაიგო ქალთა მიმართ ძალადობის კამპანიის შესახებ	78.3	72.6
ინფორმირებულია ცხელი ხაზის არსებობის შესახებ	76.8	71.0
ინფორმირებულია თავშესაფრის შესახებ	61.7	48.8
ინფორმირებულია კრიზისული ცენტრების შესახებ	38.0	31.6
მისაღებად ჩათვლიდა, თუ ექიმები რეგულარულად გამოკითხავდნენ ქალებს, რომელთაც დაზიანებები ჰქონდათ, იყო თუ არა ეს ძალადობის შედეგად გამოწვეული	90.5	85.8

6.5 ანალიზი

დამოკიდებულებების შესახებ კვლევის მიგნებებმა გამოავლინა, რომ უსამართლო გენდერული ნორმები საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია. მაგალითად, რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლია ოჯახზე ზრუნვა და თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევს მოძალადეს, მაშინ ეს გაუპატიურებად არ უნდა ჩაითვალოს. ქალებისა და კაცების უმეტესობას მიაჩნია, რომ ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან პირადი საქმეა, რომელშიც გარეშე პირები არ უნდა ჩაერიონ; მეტიც, ქალებისა და კაცების თითქმის ერთი მესამედი დაეთანხმა მეუღლის მიერ ცოლის ცემის ერთ გამართლებას მაინც, რითაც საქართველოში ძალადობისადმი მიმდებლობის და შემწყნარებლობის მაღალი დონე აჩვენა.

სხვა კვლევებიდან ირკვევა, რომ თუ ძალადობა მიჩნეულია დისციპლინის მიღებულ ფორმად ქალის ქცევის „გამოსასწორებლად“ ან შერცხვენისგან მის გადასარჩენად – ცოლის ცემა გამართლებული საქციელია ქალის მხრიდან მეუღლის მიმართ უპატივცემულობის შემთხვევებში. სინამდვილეში ქალები ოჯახისა და საზოგადოებისგან ხშირად იკიცხებიან იმ საქციელის გამო, რამაც ისინი ძალადობამდე მიიყვანა.⁷¹ ქართველი პოლიციელების 2008 წლის კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 83%-ის აზრით, ქალები ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას წინდაუხედავი საქციელის გამო განიცდიან, ხოლო 71% მიიჩნევს, რომ ქალები თვითონ უწვევენ პროვოცირებას კაცებს მუდმივი წუნუნით. პოლიციელების დიდმა ნაწილმა, ასევე, გააკიცხა ქალები, რომლებიც ეჭვიანობენ ან რომელთაც გამომწვევი ტანსაცმელი აცვიათ.⁷²

71 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთში“ ნ. სუმბაძე 2014, UN Women

კვლევაში ძალადობის გამართლება, როგორც კაცების, ისე ქალებს მიერ, მკაფიოდ ასახავს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობისა და გენდერული უთანასწორობის სოციო-კულტურულ გამყარებას. გენდერული როლები, რომლებიც შინამეურნეობაში ქალების დაქვემდებარებულ პოზიციას ინარჩუნებს, ქალთა მიმართ ძალადობის ნორმალიზებას ამყარებს, განსაკუთრებით, ოჯახურ გარემოში, რადგან ძალადობა ოჯახში კაცის მიერ ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოიყენება. კვლევის დროს გამოვლინდა, რომ კაცებს უფრო მეტად აქვთ გენდერულად უთანასწორო დამოკიდებულებები, ვიდრე - ქალებს. ეს კი ხაზს უსვამს კაცებსა და ბიჭებთან გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის მუშაობის მნიშვნელობას.

მაშინ, როდესაც ქალები და კაცები გენდერული თანასწორობის აბსტრაქტულ ცნებას უჭერენ მხარს, შინამეურნეობაში კაცების თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ ქალი მეუღლეს უნდა ემორჩილებოდეს, ხოლო ქალებისა და კაცების თითქმის ერთი მესამედის აზრით, ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახზე ზრუნვაა. ეს მიგნებები გენდერულად უთანასწორო დამოკიდებულებების შესახებ წინა კვლევების მონაცემებს ადასტურებს.⁷³ გენდერული სტერეოტიპები ქალებისა და კაცების როლების შესახებ პატრიარქალურ ურთიერთობებს და ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას ამყარებს. კვლევამ აჩვენა, რომ ქალისაგან ელიან პასიურობას, თავმდაბლობასა და სექსუალურად მიუწვდომლობას;⁷⁴ კაცისგან კი მოლოდინი აქვთ, იყოს ძლიერი, კარგი მსმელი, სექსუალურად აქტიური და ოჯახის თავი. სახლის

72 Anti-Violence National Network Georgia & Estonian Institute for Social Research, 2008. Interviews with Georgian police personnel on domestic abuse and violence against women.
 73 UNFPA, 2014. კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში. UNFPA: თბილისი.
 74 თვისებრივი კვლევა, 2018

მოვალეობებზე ზრუნვა კი კაცებისთვის მიუღებელია, მათი სტატუსი და ძალაუფლება აქტიური და აგრესიული ქცევით მიიღწევა.

„მან ბევრი უნდა ჭამოს, დალიოს 2 ლიტრზე მეტი (ღვინო) და მოწიოს. უნდა იყოს შესაბამის დონეზე ოჯახში, რომ ცოლმა ვერ გაბედოს, რამე უთხრას ან გაუკეთოს. კაცს აქვს თავისი სტატუსი ქუჩაში, სახლში. მას შეუძლია ბევრი დალიოს. მეტი არაფერი. ეს არის იდეალური კაცი.“

პოლიციელების 2008 წლის კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 46% თვლის, რომ კაცი კაცი არ არის, თუ მას ცოლის დამორჩილება არ შეუძლია; რესპონდენტების 18% კი მიიჩნევს, რომ ქალი უნდა დაემორჩილოს მეუღლეს, ხოლო მეუღლეს უფლება აქვს, სქესობრივი კავშირი მოსთხოვოს ცოლს მისი სურვილის წინააღმდეგ⁷⁵.

ქალის მოსალოდნელი როლის შესახებ პატრიარქალური დამოკიდებულებები და სტერეოტიპები საკმაოდ გავრცელებულია რეგიონული მასშტაბით. 2012 წლის UNICEF-ის კვლევამ აჩვენა, რომ კაცების თითქმის 60% უზბეკეთსა და აზერბაიჯანში, კაცების 20% მოლდოვასა და სომხეთში და კაცების 30%-ზე მეტი ალბანეთში გამართლებულად თვლიან ცოლის ცემას მეუღლის მიერ. ასეთი დამოკიდებულებები, შეხედულებები და ქცევა მტკიცედ არის დამკვიდრებული სოციალურ ნორმებში, რომლებიც ქალს აქვემდებარებს და კაცს ამართლებს. გარდა ამისა, სხვა კვლევებითაც გამოვლინდა რეგიონში მზარდი კონსერვატიულობა გენდერული ნორმებისა და ქალებისა და კაცების როლების ირგვლივ, რაც მკაცრი გენდერული როლების გამყარებას უწყობს ხელს.⁷⁶ ასეთი დამოკიდებულებები კი განაპირობებს ქალთა მიმართ ძალადობის სოციალური მიმღებლობის ატმოსფეროს შექმნას და გამოკვეთს საზიანო სოციალური ნორმების მიმართ დამატებითი ღონისძიებების გატარების საჭიროებას.

საქართველოში „პატრონის“ ცნება უთანასწორო გენდერულ ნორმებს აძლიერებს, რაც ქალის მარგინალიზაციასა და მის მიმართ ძალადობის გამწვავებას ახდენს. „პატრონი“ არის უახლოესი კაცი ნათესავი – მამა, ძმა, ქმარი, ან კაცი ბიძაშვილი, რომელიც ქალზე პასუხისმგებელი და მისი ღირსება და უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. ქალის რესპექტაბელურობა მისი კაცი პატრონის სტატუსის თვალსაზ-

რისით განიხილება და, შესაბამისად, ქალები ასეთი მხარდაჭერის გარეშე ნაკლებ პატივსაცემად აღიქმებიან. მართალია, ზოგიერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ქალები, „პატრონის“ გარეშე, არაპატრიონის მხრიდან ძალადობას უფრო მეტი ალბათობით განიცდიან, მაგრამ არც ის არის სრულად ნათელი, თუ კონკრეტულად როგორ არიან ქალები დაცული თავიანთი „პატრონის“ მიერ და შესაძლებელია თუ არა, რომ „პატრონი“ თავად გახდეს მოძალადე?⁷⁷

სექსუალური ძალადობის შესახებ კაცების შეხედულებებიდან ვლინდება, რომ სექსს არსებითი ადგილი უჭირავს კაცურობის განმარტებაში. რესპონდენტების თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ კაცებს უფრო მეტად სჭირდებათ სექსი, ვიდრე ქალებს. როგორც გაეროს მოსახლეობის ფონდის „საქართველოში კაცებისა და გენდერული ურთიერთობების შესახებ“ 2014 წლის კვლევა აჩვენებს, კაცების 35%-ის აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში, ქალებს თვითონ აქვთ გაუპატიურების სურვილი, ხოლო კაცების 36%-სა და ქალების 31%-ს მიაჩნია, რომ ქალების გაუპატიურება მათივე წინადადებად ხდება. კვლევაში კაცების 50% და ქალების 41% თვლის, რომ თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევს მოძალადეს, მაშინ ეს გაუპატიურება არ არის.⁷⁸ მსგავსი შეხედულება გაუპატიურების კლასიფიცირების ირგვლივ სხვა კვლევებშიც გამოვლინდა. თურქეთში 2003 წლის დემოგრაფიული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, ქალების 16%-ს ძალადობა გამართლებულად მიაჩნია, თუ ქალი უარს ამბობს სქესობრივ კავშირზე; ხოლო მოლდოვის 2011 წლის ეროვნული კვლევის თანახმად, ქალების 14%-ის აზრით, სქესობრივ კავშირზე ქალს უარის თქმა არ შეუძლია.⁷⁹ საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, გენდერული დამოკიდებულებები საქართველოში უფრო კონსერვატიული აღმოჩნდა, ვიდრე ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში.⁸⁰ თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის კვლევის შემდეგ საქართველოში გენდერული დამოკიდებულებებისა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით, წინსვლა შეინიშნება. გარდა ამისა, ახალგაზრდა თაობის კაცებში და ქალებში არადისკრიმინაციული გენდერული შეხედულებები უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე უფროს თაობაში, რაც ძალიან პოზიტიური ნიშანია და გასული ათწლეულის განმავლობაში მიღწეულ პროგრესზე მიანიშნებს ინფორმირებულობის გაუმჯობესების, ქალთა გაძლიერებისა და უფლებების ზრდის მიმართულებით.

75 Anti-Violence National Network Georgia & Estonian Institute for Social Research, "Interviews" (2008).

76 UNFPA, "Combating violence against women and girls in Eastern Europe and Central Asia", Issue Brief 6 (Istanbul, UNFPA, 2015).

77 თვისებრივი კვლევა, 2018

78 UNFPA, 2014

79 DHS, 2003. Turkey Demographic and Health Survey, DHS: Istanbul; Statistica Moldova, 2011.

80 FRA, 2014

თავი 7. პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავლენა ქალის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე

ძირითადი მიზნები

- ქალთა ერთ მესამედზე მეტმა (33%), რომელთაც გამოუცდიათ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, დაზიანებები მიიღო, სულ მცირე, ერთ შემთხვევაში;
- იმ ქალთა შორის, ვინც დაზიანებების მიღების შემდეგ სამედიცინო მომსახურების საჭიროების შესახებ განაცხადა, მხოლოდ 0.2%-მა აღნიშნა, რომ ყოველთვის სარგებლობდნენ სამედიცინო დახმარებით, ხოლო ქალების 8% მხოლოდ ზოგჯერ იღებდა დახმარებას;
- ქალები, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოუცდიათ, უფრო დეპრესიული არიან და უფრო მეტად უჩინდებიან თვითმკვლელობასთან დაკავშირებული აზრები.

საერთაშორისო მტკიცებულებებიდან ვლინდება, რომ ფიზიკური და სექსუალური ძალადობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემაა, რომელიც მსოფლიოში ერთ მესამედზე მეტ ქალზე ახდენს გავლენას. ძალადობის ზეგავლენის შედეგები გოგობისა და ქალების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მოიცავს მოტეხილობებს, ორსულობის გართულებებს, ფსიქიკურ პრობლემებს, გაუარესებულ სოციალურ ურთიერთობებსა და სიკვდილიანობასაც კი. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის მიერ მკვლელობების შესახებ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ 2012 წელს მოკლულ ქალთა 50% მოკლულია მათი პარტნიორის/მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ (კაცების შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებელი 6%-ს შეადგენს). გარდა ამისა, ქალთა 42%-მა, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა გამოსცადეს, სხვადასხვა სახის დაზიანე-

ბები მიიღო⁸¹. საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობით მიყენებული შედეგები შეისწავლა, რომლებიც უკავშირდება როგორც დაზიანებებს, ისე ფიზიკური, გონებრივი ან რეპროდუქციული ჯანმრთელობის საერთო ასპექტებს. მკვლელობების შესახებ მონაცემები ამ კვლევის ფარგლებში არ შედის.

7.1 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები

7.1.1 გამოკითხვის დროს, იმ ქალებს, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ განაცხადა, ჰკითხეს, მიიღეს თუ არა მათ დაზიანებები პარტნიორის ქმედების შედეგად. კითხვები, ასევე, ეხებოდა დაზიანებების მიღების სიხშირეს, მათ სახეებსა და სამედიცინო მომსახურების გამოყენებას. ცხრილში 7.1 ნაჩვენებია, რომ იმ ქალთა 33%-ს, რომელთაც ოდესმე პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოუცდიათ, სულ მცირე, ერთხელ მაინც მიუღია დაზიანებები. 12%-მა განაცხადა, რომ მათ მრავალჯერადი ტრავმები მიიღეს. ქალებმა აღნიშნეს სხვადასხვა სახის დაზიანებების შესახებ, კერძოდ, ახსენეს: ნაფხაჭნები, ნაკანრები, დაღურჯებები და სისხლჩაქცევები (23%), ჭრილობები, ნაჩხვლეტები, ნაკბენები (8%) და შინაგანი დაზიანებები (5%).

იმ ქალთა შორის, ვინც დაზიანებების გამო სამედიცინო დახმარების საჭიროება განაცხადა, მხოლოდ 0.2% იღებდა სამედიცინო დახმარებას ყოველთვის, როცა სჭირდებოდა; ხოლო 8% – მხოლოდ ხანდახან. ეს კი

81 United Nations Office on Drugs and Crime (2014). Global Study on Homicide 2013, p. 14; Garcia-Moreno et al., 2013.

ნიშნავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მრავალი ქალი არ იღებს სამედიცინო დახმარებას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა სტიგმები, რომელთა გამო ისინი არ ითხოვენ სამედიცინო დახმარებას ან კიდევ, ისეთი ხელისშემშლელი მიზეზები, როგორცაა, მაგალითად, პარტნიორის ან სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობა.

მათი შორის, ვისაც დაზიანებების გამო სამედიცინო დახმარება მიუღია, 2%-მა განაცხადა, რომ, სულ მცირე, 1 დამე მინც გაატარეს საავადმყოფოში. კვლევაში მონაწილე ქალთა უმრავლესობამ (96%), რომელთაც სამედიცინო დახმარება ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო დასჭირდათ, სამედიცინო პერსონალს დაზიანებების მიზეზი არ გაუმხილა.

ცხრილი 7.1:

ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან მიღებული დაზიანებები

	რაოდენობა	%
პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობაგადატანილი ქალების მიერ მიღებული დაზიანებები		
ოდესმე მიუღია დაზიანება პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	21,127	33.1
დაზიანებების სიხშირე		
მიიღო დაზიანებები ერთხელ	5,210	8.2
მიიღო დაზიანებები რამდენჯერმე (2-5-ჯერ)	7,669	12.0
მიიღო დაზიანებები ბევრჯერ	7,898	12.4
ტრავმები ქალებში, ვისაც ოდესმე მიუღია დაზიანებები		
ჭრილობები, ნაჩხვლეტები, ნაკბენები	5,020	7.9
ნაფხაჭნები, ნაკანრები, დალურჯებები, სისხლჩაქცევები	14,572	22.8
დაჭიმულობები, ნაღრძობები	1,067	1.7
დამწვრობები	993	1.6
გამჭოლი, ღრმა ჭრილობები	681	1.1
ყურისა და თვალის დაზიანებები	859	1.3
მოტეხილობები, ჩამტვრეული ძვლები	738	1.2
ჩამტვრეული კბილები	781	1.2
შინაგანი დაზიანებები	2,879	4.5
სხვა	2,079	3.3
ქალები, რომელთაც მიიღეს სამედიცინო დახმარება დაზიანებების გამო		
გაატარა დამე საავადმყოფოში	1,243	1.9
ოდესმე გაუმხილა დაზიანებების მიზეზი სამედიცინო პერსონალს	2,309	3.6


ცხრილი 7.2:

იმ ქალების წილი, რომელთაც საჭირო დროს მიიღეს სამედიცინო დახმარება პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად

	რაოდენობა	%
არასდროს	1,618	22.7
ზოგჯერ	5,375	75.5
ყოველთვის	125	1.8


გრაფიკი 7.1:

იმ ქალების წილი, რომელთაც საჭირო დროს მიიღეს სამედიცინო დახმარება პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გამო



გრაფიკი 7.2:

დაზიანებების მიღების სიხშირე ქალებში, რომელთაც ოდესმე მიუღიათ დაზიანებები




რესპონდენტის განცხადებით:

„ის მირტყამდა ისე ძლიერად, რომ ნევროპათოლოგი დამჭირდა, 6 თვის განმავლობაში ვიღებდი ფსიქოტროპულ პრეპარატებს“

(მსხვერპლი, 36, ჩადრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

გრაფიკი 7.3:

დაზიანებების სახეები ქალებში, ვისაც ოდესმე მიუღია დაზიანებები



7.2 ძალადობა პარტნიორის/ მეუღლის მხრიდან და ქალის საერთო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები


ყველა ქალს, მიუხედავად იმისა, ჰყავდა თუ არა პარტნიორი, კითხვები დაუსვეს მათი ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შემდეგი სავარაუდო პასუხებით: „ძალიან კარგი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, „ცუდი“ თუ „ძალიან ცუდი“. მათ, ასევე, ჰკითხეს, ინტერვიუმდე ოთხი კვირის განმავლობაში, უჩიოდნენ თუ არა რაიმე სახის სიმპტომებს, როგორცაა სირთულეები სიარულის დროს, მეხსიერების ან

კონცენტრაციის პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ კროსსექციური, ანუ ჯვარედინი კვლევის დროს შეუძლებელია ძალადობასა და ჯანმრთელობის პრობლემებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა და ჯანმრთელობის სსენებელი პრობლემები ერთმანეთს დავუკავშიროთ.

გრაფიკზე 7.4 ნაჩვენებია, რომ გაუარესებული ჯანმრთელობის თითქმის ყველა სიმპტომისათვის არსებობდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობაგადატანილ ქალებსა და იმ ქალებს შორის, რომელთაც პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ არ განუცხადებიათ.

გრაფიკი 7.4:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც გაუარესებული ჯანმრთელობის სიმპტომების შესახებ განაცხადა, პარტნიორის მხრიდან გადატანილი ძალადობის მიხედვით



ცხრილი 7.3:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც გაუარესებული ჯანმრთელობის სიმპტომების შესახებ განაცხადა პარტნიორის მხრიდან გამოცდილი ძალადობის შედეგად

	არასდროს გამოუცდია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა		გამოუცდია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ზოგადი ჯანმრთელობის ცუდი ან ძალიან ცუდი მდგომარეობა (დამაკმაყოფილებელი, კარგი ან ძალიან კარგი მდგომარეობის საპირისპიროდ)	147,745	14.8	17,638	27.6
სირთულე მხედველობასთან დაკავშირებით მაშინაც კი, როდესაც სათვალეს ატარებს	55,483	5.6	3,794	5.9
სირთულე სმენასთან დაკავშირებით მაშინაც კი, როდესაც სმენის დამხმარე ხელსაწყოს იყენებს ან დაუქვეითდა სმენა	5,775	0.6	1,241	1.9
სირთულე სირთულე სიარულთან ან კიბეზე ასვლასთან დაკავშირებით	66,401	6.7	6,499	10.2
კონცენტრაციასთან ან მესხიერებასთან დაკავშირებული სირთულეები	12,408	1.2	2,927	4.6
სირთულე საკუთარი თავის მოვლასთან (ბანაობა, ჩაცმა) დაკავშირებით	2,827	0.3	745	1.2
კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულე (მაგალითად, სხვების არ ესმის ან სხვებს ვერ აგებინებს საკუთარ აზრებს)	1,508	0.2	292	0.5

ცხრილი 7.4:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ იმ ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შედარება, რომელთაც გამოუცდიათ და არ გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა

	ქალები, რომელთაც გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა		ქალები, რომელთაც არასოდეს გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
წარსული სტრესული გამოცდილების განმეორებადი, შემამოფთოებელი მოგონებები, აზრები ან სურათები	78,178	7.8	19,516	30.6
გალიზიანება, როდესაც რაიმე ახსენებს წარსულის სტრესულ გამოცდილებას	66,029	6.6	17,440	27.3
თავს არიდებს რაიმე საქმიანობას ან სიტუაციებს იმიტომ, რომ ის ახსენებს წარსულის სტრესულ გამოცდილებას	89,157	8.9	22,408	35.1
შენწყვიტა ხალხთან ურთიერთობა	9,725	1.0	5,571	8.7
სიბრაზის შეგრძნება და გაღიზიანება	73,138	7.3	17,596	27.6
კონცენტრაციის პრობლემები	16,687	1.7	4,173	6.5

7.3 პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობა, თვითგამოკითხვის გზით, ათკითხვიანი კითხვარის გამოყენებით შეფასდა. რესპონდენტს ჰკითხეს, ინტერვიუმდე 2 კვირის მანძილზე, გამოუცდია თუ არა ემოციურ სტრესთან დაკავშირებული სიმპტომები, როგორცაა: შიში, მართობა, უძილობა და ა. შ.

ცხრილი 7.6 გვიჩვენებს, რომ ქალები, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექ-

სუალური ძალადობა გამოუცდიათ, ორჯერ მეტად ავლენენ ფსიქოლოგიური აშლილობის სხვადასხვა ფორმებს, ვიდრე ქალები, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა არ გამოუცდიათ. იმ ქალთა ნახევარი, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, თვლიდა, რომ ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებდნენ, ძალისხმევას მოითხოვდა. ანალოგიური მაჩვენებელი კი ქალებში, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა არ გამოუცდიათ, მხოლოდ 23%-ს შეადგენდა. იმ ქალთა თითქმის 45%, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, დეპრესიაში იყო მაშინ, როდესაც ქალებში, ვისაც პარტნიორის/


მეუღლის მხრიდან ძალადობა არ გამოუცდიათ, იგივე მაჩვენებელმა მხოლოდ 17% შეადგინა.

„იმ დროს სულიერად სრულიად დავეცი. ხალხთან ურთიერთობაც კი არ შემეძლო. ამ იზოლაციაში ყოფნამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. ამიტომაც ჩემთვის რთული იყო, ნაგ-სულიყავი სამსახურში და ხალხთან მქონდა ურთიერთობა. როდესაც მას დავშორდი,

ძალიან შეშინებული ვიყავი. როცა ხალხი ცდილობდა დამლაპარაკებოდა, მათ თავიდან ვირიდებდი. მე ხალხის მეშინოდა, თუმცა თანდათანობით გავძლიერდი. ახლა მივეჩვიე არსებულ სიტუაციას, მაგრამ პატარ-პატარა პრობლემები კვლავ არსებობს“
(მსხვერპლი, 28, ჩადრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

გრაფიკი 7.5:

იმ ქალთა შედარება, ვინც განაცხადა ფსიქოლოგიური აშლილობის შესახებ, ბოლო 2 კვირის მანძილზე, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით



ცხრილი 7.5:

იმ ქალთა შედარება, ვინც განაცხადა ფსიქოლოგიური აშლილობის შესახებ, ბოლო 2 კვირის მანძილზე, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით

	ქალები, რომელთაც გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა		ქალები, რომელთაც არ გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ანუხებდა ის, რაც, ჩვეულებრივ, არ ანუხებს ხოლმე	25,532	40.0	204,351	20.5
უჭირდა გახსენება იმის, თუ რას აკეთებდა	18,070	28.3	136,338	13.7
დეპრესიაში იყო	28,440	44.5	169,134	17.0
ფიქრობდა, რომ ყველაფერი რასაც აკეთებდა, უმნიშვნელო იყო	32,006	50.1	228,176	22.9
მომავალს იმედით უყურებდა	54,187	84.8	834,520	83.8
ეშინოდა	23,213	36.3	157,117	15.8
მოუსვენრად ეძინა	31,574	49.4	255,284	25.6
ბედნიერი იყო	49,512	77.5	864,165	86.7
მართოსულად გრძნობდა თავს	27,330	42.8	124,656	12.5
„გარეთ გასვლა“ არ უნდოდა	26,472	41.4	169,605	17.0
CES-D-ის (10-40) დეპრესიის ჯამური მაჩვენებელი	22, 111	34,7	97, 209	9,8


„ახლა ეჭვი არ მეპარება, რომ ყველაფერი სტრესის ბრალი იყო (რატომაც არ შემეძლო დაფეხმძიმება). მას შემდეგ რაც ძალადობით სავსე გარემო დავტოვე და ნამოვედი, აღმოჩნდა, რომ სტრესის გამო ხდებოდა ყველაფერი, და ახლა შემეძლია (დაფეხმძიმება). ძილიც კი არ შემეძლო (ყოფილი პარტნიორის სახლში), მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში ვცხოვრობდი“. (მსხვერპლი, 36, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

7.3.3 სუიციდური აზრებისა და ქცევის შედარება ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში, მათი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით

ქალებს ასევე ჰკითხეს, ჰქონიათ თუ არა ოდესმე სუიციდური აზრები. საქართველოში ქალების 70%-მა, რომელთაც ოდესმე გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა, განაცხადა, რომ თვითმკვლევლობაზე უფიქრია, რაც მხოლოდ 2%-ია იმ ქალებში, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა არ გამოუცდიათ. ქალების 22%-მა, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, თვითმკვლევლობის ოდესმე ჩადენის მცდელობის შესახებაც განაცხადა მაშინ, როდესაც ქალებში, რომელთაც არ გამოუცდიათ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა, იგივე მაჩვენებელი 1%-ზე ნაკლებია.

გრაფიკი 7.6:

სუიციდური აზრებისა და ქცევის შედარება ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში, მათი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით



ცხრილი 7.6:

სუიციდური აზრებისა და ქცევის შედარება ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში, მათი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით

	გამოუცდია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა		არ გამოუცდია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ოდესმე უფიქრია თვითმკვლევლობაზე	44,582	69.8	15,958	1.6
ოდესმე უცდია თვითმკვლევლობა	13,708	21.5	6,565	0.7

7.4 ანალიზი

კვლევამ აჩვენა, რომ ქალთა მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან გამოცდილი ძალადობა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მთელ რიგ პრობლემებს უკავშირდება. ქალთა მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შედეგად მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით განსხვავება თითქმის არ არის ამ კვლევისა (33%) და 2009 წელს ჩატარებული კვლევის (35%) შედეგებს შორის. თუმცა, ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების გავრცელება შემცირდა. ამ კვლევაში, ქალთა 12.4%-მა განაცხადა მრავალი დაზიანების მიღების შესახებ, ხოლო 2009 წელს ჩატარებული კვლევით, ეს მაჩვენებელი 36% იყო.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ძალადობა ჯანმრთელობის პრობლემას ქმნის არა მხოლოდ ფიზიკური დაზიანებების გამო, მას ჯანმრთელობის სხვა ასპექტებზეც აქვს პირდაპირი გავლენა. კვლევის კროსსექციური სტრუქტურისგან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, ძალადობა დაიწყო ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემების სიმპტომების გამოვლენამდე, თუ მას შემდეგ. ამასთან, ქალთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ ჯანმრთელობის გაცხადებული პრობლემები, ძირითადად, ძალადობის შედეგია, ვიდრე წინმსწრები.⁸²

გარკვეული კავშირი, რომელიც ქალების მიერ ინტერვიუმდე ორი კვირის მანძილზე გაცხადებულ დეპრესიულ განწყობასა და პარტნიორის/მეუღლის მხრიდან სიცოცხლის მანძილზე განხორციელებულ ძალადობას შორის დადგინდა, იმაზე მიანიშნებს, რომ ძალადობის ზეგავლენის ეფექტი, შესაძლოა, ძალადობის დასრულების შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდეს. ეს სხვა კვლევის შედეგებსაც შეესაბამება, რომელიც

გვიჩვენებს, რომ განმეორებითი ძალადობა ქალებს ისეთი ფსიქოლოგიური პრობლემების რისკის ქვეშ აყენებს, როგორცაა: შიში, შფოთვა, დაღლილობა, ძილისა და კვების დარღვევები, დეპრესია და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.⁸³ მიუხედავად იმისა, რომ დეპრესია მსოფლიოში ქმედუნარობის გამომწვევი მთავარი მიზეზია ქალებშიც და კაცებშიც, დეპრესიის წილი ქალებში კაცებთან შედარებით 50%-ით უფრო მაღალია.⁸⁴ შეიძლება ითქვას, რომ დეპრესია მაღალი, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ქალების დაავადებების გამომწვევი წამყვანი მიზეზია.⁸⁵

პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შედეგები ქალის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე გვიჩვენებს, რომ გლობალურად, ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.⁸⁶ WHO MCS მეთოდოლოგიით სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევებით დგინდება ისიც, რომ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა ქალის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს. თურქეთში იმ ქალთა ერთ მეოთხედს, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოუცდიათ, მიღებული აქვს დაზიანებები ერთ შემთხვევაში მაინც; ქალები, რომელთაც პარტნიორის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, 3-ჯერ მეტად არიან მიდრეკილნი სუიციდური აზრებისკენ.⁸⁷ ამის მსგავსად, მოლდოვაში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ორიდან ერთ ქალს, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოუცდია, მიღებული აქვს დაზიანებები, სულ მცირე, ერთ შემთხვევაში მაინც.⁸⁸ მთლიანობაში, კვლევებით დგინდება, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მსოფლიოში ქალთა მონყვლადობის მთავარი წყაროა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრულფასოვან ჩართულობას აფერხებს.

82 Ellsberg, M. et al., 2008. "Intimate Partner Violence and Women's Physical and Mental Health in the WHO Multi-country Study on Women's Health and Domestic Violence: An Observational Study." *The Lancet* 371 (9619): 1165—1172; Campbell, J., Garcia-Moreno, C. and Sharps, P., 2004. "Abuse during Pregnancy in Industrialized and Developing Countries." *Violence Against Women* 10 (7): 770—789; Krug, E., 2002. *World Report on Violence and Health*. World Health Organization: Geneva.

83 Plichta, S., 1992. "The Effects of Woman Abuse on Health Care Utilization and Health Status: A Literature Review." *Women's Health Issues* 2 (3): 154—163.

84 WHO, 2008. *The Global Burden of Disease: 2004 Update*. World Health Organization: Geneva.

85 WHO, 2008.

86 Garcia-Moreno et al. 2013; Fulu and Kerr-Wilson 2015. *What Works to Prevent Violence against Women and Girls Evidence Reviews: Paper 2: Interventions to Prevent Violence against Women and Girls. What Works to Prevent Violence: South Africa*.

87 Ministry of Family and Social Policies, 2015.

88 Statistica Moldovei, *Violence against women in the family* (2011).

ჯანმრთელობაზე ძალადობის სერიოზული გავლენის გამო, სავარაუდოა, რომ სამედიცინო პერსონალი რეგულარულად ემსახურება ძალადობის მსხვერპლთ, თუმცა მათთვის ხშირად უცნობი რჩება, რომ მათი პაციენტები სწორედ ძალადობის მსხვერპლი არიან. წინამდებარე კვლევის თანახმად, ქალთა თითქმის სამ მეოთხედს, რომელთაც სამედიცინო დახმარება ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო მიიღეს, დაზიანებების რეალური მიზეზი არ გაუმხელია ექიმებისთვის. ამის მიზეზი კი, შესაძლოა, ძალადობასთან დაკავშირებული სტიგმები და შემდგომი ძალადობის უფრო მაღალი რისკი იყოს. ეს შესაძლოა, ასევე, უკავშირდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის ხარისხს, სამედიცინო პერსონალის თანაგრძობისა და ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში კონფიდენციალური სივრცის ნაკლებობას. მართლაც, საქართველოში სამედიცინო პერსონალის კვლევის შედეგებით, ამ უკანასკნელთა 25% მიიჩნევს, რომ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა პირადი საქმეა და ოჯახში უნდა მოგვარდეს, ხოლო 65%-ის აზრით, ქალები ძალადობას უპასუხისმგებლო საქციელის გამო განიცდიან.⁸⁹ უფრო მეტიც, საქართ-

ველოში არ არსებობს მკაფიო სამედიცინო პროტოკოლები ან სახელმძღვანელო პრინციპები სამედიცინო პერსონალისათვის, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში. ჯანდაცვის თანამშრომლები სამართლებრივად ვალდებული არიან, სერიოზული დაზიანებების შესახებ სამართალდამცავ ორგანოებში განაცხადონ, თუმცა სტიგმები და შემდგომი შედეგების შიში ქალებს ძალადობის დამალვისაკენ უბიძგებს.⁹⁰

საერთო ჯამში, კვლევა ადასტურებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი საკითხია. დასკვნები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის აუცილებლობაზე მიუთითებს, რისი მიზანიც ქალთა ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და, ზოგადად, მათ კეთილდღეობაზე ძალადობის უარყოფითი გავლენის შემცირებაა. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მნიშვნელობა კი კვლევის რეკომენდაციებისათვის მიძღვნილ ნაწილშია განხილული.

89 Anti-Violence National Network Georgia & Estonian Institute for Social Research, 2008.

90 UNFPA, 2014.

თავი 8. პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავლენა ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ბავშვთა კეთილდღეობაზე

ძირითადი მიგნებები

- ოდესმე ორსულად მყოფი ქალების 2%-მა განაცხადა, რომ ორსულობის დროს უცემიათ, მათგან 37%-ს კი ორსულობის დროს მუცელში ჩაარტყეს მუჭით ან წიხლი;
- ქალები, რომელთაც ოდესმე პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, უფრო მეტი ალბათობით იკეთებენ აბორტს ან აქვთ ადრეული მშობიარობა;
- ქალებს, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, უფრო მეტი ალბათობით ჰყავთ ბევრი ბავშვი და ნაკლებად იყენებენ კონტრაცეპტივებს;
- ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან გამოცდილი ძალადობის ბავშვებზე გავლენა შემამფოთებელია. ძალადობაგადატანილი ქალების შვილებს უფრო მეტი ალბათობით აქვთ ფსიქოლოგიური და ქცევის პრობლემები, რჩებიან კლასში ან ტოვებენ სკოლას.

ამ თავში გამოკვლეულია პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გავლენა ქალის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და მათი ბავშვების კეთილდღეობაზე. ინფორმაცია შეგროვდა ორსულობის და ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობების, მუცლის მოშლის, მკვდრადშობადობის, ან/და ხელოვ-

ნური აბორტების შესახებ. ქალებს ჩასახვის სანინაღმდეგო საშუალებების გამოყენების შესახებაც დაუსვეს კითხვა; ასევე, ქალებს, რომელთაც ორსულობის შესახებ განაცხადეს, ჰკითხეს, გამოუცდიათ თუ არა მათ ფიზიკური ძალადობა ორსულობის დროს? და, მიუხედავად იმისა, გამოუცდიათ თუ არა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა, 6-12 წლის ასაკის ბავშვების დედებს იმ ფსიქოლოგიური ქცევითი პრობლემების შესახებაც ჰკითხეს, რომლებიც შესაძლოა, მათ ბავშვებს ჰქონოდათ.

8.1 ძალადობა ორსულობის დროს

ოდესმე ორსულად მყოფ რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ გამოუცდიათ ფიზიკური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ორსულობის დროს. ცხრილში 8.1 ნაჩვენებია ორსულობის დროს ქალების მიერ გამოცდილი ფიზიკური ძალადობის გავრცელება და მახასიათებლები. საერთო ჯამში, ოდესმე ორსულად მყოფი ქალების 2%-მა განაცხადა, რომ მათ გამოცდილი აქვთ ფიზიკური ძალადობა ერთი ორსულობის დროს მაინც; მათგან 37%-მა კი აღნიშნა, რომ ორსულობის დროს მუცელში ჩაარტყეს მუჭით ან წიხლი. ორსულობის დროს ნაცემ ქალთა 64%-მა განაცხადა, რომ იგივე პირს ისინი ორსულობამდეც უცემია.

ცხრილი 8.1:

ოდესმე ორსულად მყოფ ქალებში ფიზიკური ძალადობის ფორმები

	რაოდენობა	%
ოდესმე ორსულად მყოფ რესპონდენტებს შორის		
ორსულობის დროს გამოცდილი ფიზიკური ძალადობა	15,589	1.6
ორსულობის დროს მუცელში ჩაარტყეს მუშტი ან წიხლი	5,781	0.6
რესპონდენტებს შორის, ვინც უცემიათ ორსულობის დროს		
ორსულობის დროს მუცელში ჩაარტყეს მუშტი ან წიხლი	5,781	37.1
ბავშვის მამა იყო მოძალადე	15,519	99.6
იგივე პირს უცემია ორსულობამდეც	9,979	64.0
მათ შორის, ვინც უცემიათ ორსულობამდე და ორსულობის დროს, ძალადობა დამძიმდა ორსულობის დროს	985	6.3

თვისებრივი გამოკითხვების დროს ქალებმა ორსულობისას სხვადასხვა სახის ძალადობის შესახებ განაცხადეს, მათ შორის: ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთ ორსულ ქალს ნათესავების სახლში მოუწია დამალვა იმის გამო, რომ პარტნიორი ემუქრებოდა და აბორტს ითხოვდა მისგან; ასევე, ძალადობა გადატანილმა ქალებმა ინტერვიუზე გააზიარეს გამოცდილება, რომ ორსულობის დროს მათ პარტნიორი ან ოჯახის წევრები სცემდნენ ანდა ფიზიკური სამუშაოს შესრულებას აიძულებდნენ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა განმარტა:

„როდესაც პირველ ბავშვზე ვიყავი ორსულად, ჩემი ბრალია, ყველაფერს თვითონ ვაკეთებდი. ორსულობის მე-9 თვეზე შეშას ვჭრიდი, რომ არ შესცივოდა. ყველაფერს ვუკეთებდი, რომ მისთვის ცხელი საჭმელი და თბილი ოთახი მომემზადებინა. იგივენაირად მოხდა, როდესაც მეორედ დავორსულდი, მაგრამ ორსულობის მე-7 თვეზე გამიჭირდა, რადგან საშვილოსნოს ტონუსმა მოიმატა და მძიმე ნივთების გადაზიდვა რთული იყო, იგი გაბრაზდა ჩემზე, რომ ამ ყველაფერს აღარ ვაკეთებდი“.

(მსხვერპლი, 29, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

სხვა რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ორსულობის დროს ისინი მეუღლემ გააუპატიურა.

„ძალიან მძიმე პირობებში ვიყავი. მცემდნენ, აგრეთვე, მეუღლე მაუპატიურებდა ორსულობის დროს, რის შედეგადაც სისხლდენა დამეწყო და ეჭიმებმა იეჭვეს (ძალადობის შესახებ), რადგან ასეთი სიმპტომები არ იყო ნორმალური.“


(მსხვერპლი, 39, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

8.2. გავლენა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე

გრაფიკზე 8.1 ნაჩვენებია, რომ ქალები, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, უფრო მეტი სიხშირით აცხადებენ მუცლის მოშლის, აბორტისა და მკვდრადშობადობის შესახებ. მაგალითად, მუცლის მოშლის შესახებ განაცხადა იმ ქალების 23%-მა, ვისაც პარტნიორის მხრიდან ძალადობა გამოუცდია; ანალოგიური მაჩვენებელი კი მხოლოდ 16%-ია იმ ქალებში, ვისაც ძალადობა არ გამოუცდია. მკვდრადშობადობის შესახებ განაცხადეს ქალების 8%-მა და 3%-მა იმის შესაბამისად, გამოუცდია და არ გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა. უფრო მეტიც, ძალადობა გადატანილ ქალთა 60%-მა განაცხადა აბორტის ვაკეთების შესახებ მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 44%-ია იმ ქალთა შემთხვევაში, ვისაც ძალადობა არ გამოუცდია.

გრაფიკი 8.1:

ოდესმე ორსულად მყოფ ქალებში ფიზიკური ძალადობის ფორმები



ცხრილი 8.2:

ოდესმე ორსულად მყოფი იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც უარყოფითი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შედეგების შესახებ განაცხადა, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილების შედეგად

	არასდროს გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან		გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ოდესმე ჰქონია მეუღლის მოშლა	194,107	16.4	14,803	23.2
ოდესმე ჰქონია მკვდრადშობადობა	28,748	2.9	4,790	7.5
ოდესმე გაუკეთებია აბორტი	436,764	43.7	38,209	59.8


8.2.1 თანაფარდობა

ცხრილში 8.2 ნაჩვენებია ცოცხალი ბავშვების რაოდენობა ქალების მიერ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილებაზე დაყრდნობით. ქალებს, ვინც ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა განიცადა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან, უფრო მეტი

აღბათობით ჰყავთ მეტი ბავშვი, ვიდრე ქალებს, ვისაც ძალადობა არ გამოუცდია. კვლევა აჩვენებს, რომ ქალების 22%-ს, ვინც პარტნიორის მხრიდან ძალადობა განიცადა, ორზე მეტი ბავშვი ჰყავს, იმ ქალების 18%-თან შედარებით, ვისაც ძალადობა არ გამოუცდია.

გრაფიკი 8.2:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებლები 1-2 და 2-ზე მეტი ამუამად ცოცხალი ბავშვით, პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მიხედვით



ცხრილი 8.3:

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობებში მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი 1-2 და 2-ზე მეტი ამუამად ცოცხალი ბავშვით, მათი პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილებაზე დაყრდნობით

	არასდროს გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან		გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1-2 ბავშვი	700,118	59.1	45,311	70.9
2-ზე მეტი ბავშვი	216,556	18.3	13,738	21.5

8.2.2 ჩასახვის სანინალმდეგო საშუალების გამოყენება

ურთიერთობაში მყოფ რესპონდენტებს (დაქორწინებული და სხვ.) ჰკითხეს, ოდესმე თუ იყენებდნენ კონტრაცეპციის საშუალებებს ორსულობის თავიდან ასაცილებლად? მომდევნო კითხვები ეხებოდა კონტრაცეპციის გამოყენებას მიმდინარე პერიოდში.

ცხრილში 8.4 ზემოთჩამოთვლილი კითხვების შედეგებია ნაჩვენები, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის გამოცდილებაზე დაყრდნობით. ქალები, ვისაც პარტნიორის მხრიდან ძალადობა გამოუცდია, უფრო მეტი ალბათობით სარგებლობდა ოდესმე ჩასახვის სანინალმდეგო საშუალებებით, თუმცა ნაკლები ალბათობით იყენებს კონტრაცეპციას ამუამად, ვიდრე ის ქალები, ვისაც ამგვარი ძალადობა არ გამოუცდია.

ცხრილი 8.4:

კონტრაცეპტივების გამოყენება ამუამად პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებს შორის, მათი პარტნიორის/მეუღლის მხრიდან გამოცდილი ძალადობის მიხედვით

	არასდროს გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან		გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
არასდროს გამოუყენებია ჩასახვის სანინალმდეგო საშუალება - ამუამად პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში	471,912	39.9	16,926	26.5
ამუამად იყენებს ჩასახვის სანინალმდეგო საშუალებას - ქალებს შორის, ვისაც ოდესმე გამოუყენებია კონტრაცეპცია	183,566	15.5	5,498	8.6

8.3 გავლენა ბავშვებზე

ქალებს, ვისაც 6-15 წლის ასაკის ერთი ან მეტი ბავშვი ჰყავდათ, კითხვები დაუსვეს იმ ფსიქოლოგიური და ქცევითი პრობლემების შესახებ, რომელიც, შესაძლოა, მათ ბავშვებს ჰქონოდათ. ასეთი კითხვებით მიმართეს ყველა ქალს, მიუხედავად იმისა, განაცხადეს მათ ძალადობის გამოცდილების შესახებ თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი მიზნმდებლობრივი კავშირის დადგენა შეუძლებელია პარტნიორის მხრიდან ქალის მიერ გამოცდილ ძალადობასა და მის შვილებზე შესაბამის გავლენას შორის, გარკვეული კავშირების ახსნა მაინც მოხერხდა.

ქალთა უმეტესობამ განაცხადა, რომ ბავშვებთან პრობლემები არ აქვს. ქალების 5%-მა, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოსცადა, ბავშვთა ქცევის მცირე პრობლემის შესახებ აღნიშნა. ანალოგიური მაჩვენებელი იმ ქალებისთვის, ვისაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა არ გამოუცდია, 3%-ის დონეზე დაფიქსირდა.

თვისებრივი გამოკითხვების დროს ქალებმა ბავშვებში მრავალი ქცევითი პრობლემის შესახებ განაცხადეს, რომლებიც ოჯახში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შესწრების და განცდის შედეგად იყო გამოწვეული. მაგალითად, ზოგიერთ ბავშვს მათი ასაკისათვის შეუფერებელი პასუხისმგებლობა აკისრია, თუნდაც ოჯახის ფინანსური დახმარება ან პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შემთხვევების დროს ფიზიკური დაცვა. ქალების დიდმა ნაწილმა აღიარა, რომ მათი შვილები ისეთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიდნენ მამების მხრიდან, როგორცაა: დამცირება და შეურაცხმყოფელი სახელები, სიტყვები, იზოლირება და უგულვებლყოფა.

„როდესაც ჩემი უფროსი ვაჟიშვილი სახლში იყო, [მოძალადე] ერთდებოდა ფიზიკურად ჩემზე ძალადობას, რადგანაც [ჩემი ბიჭი] საკმაოდ ნერვიული ბავშვია და საკმაოდ ძლიერი ფიზიკურად. ერთ-ერთი შემთხვევის დროს, როდესაც მამამისმა დაარტყა, მანაც შეუბრუნა“. (მსხვერპლი, 41, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)


„[უფროსი თინეიჯერი გოგო] ძალიან გვეხმარება ფინანსურად. ერთი ძმისთვის ის ყველაფერის აკეთებს. ეს უმცროსი ძმაა, რომელიც მან ბავშობიდან გაზარდა. მისთვის ის ყიდულობს ტანსაცმელს, საკვებს და ყველაფერს, რაც სჭირდება“. (მსხვერპლი, 37, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

თვისებრივი გამოკითხვების დროს რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ მათი შვილები ფსიქოლოგიურად უფრო აგრესიული და არასტაბილურები გახდნენ და შიშს და მღელვარებას განიცდიდნენ.

„ერთხელ სააბაზანოდან გამოვედით. ხელების დაბანაში დავხმარე და შემდეგ ვცადე, ხელების გამშრალებაში დავხმარებოდი და უცებ გაიქცა ტირილით და ყვირილით. ძლივს დავიჭირე ებოში. შეშინებული სახე ჰქონდა... ჩავეხუტე და დავსხედით... და მეც ავტირდი, რადგან არ ვიცოდი, რა მოუვიდა. ვკითხე, რა სჭირდა? და მიპასუხა, რომ იფიქრა, დავარტყამდი. ვკითხე რატომ? ოდესმე დამირტყია? მიპასუხა, რომ არა, მაგრამ არ იცოდა, რატომ ეშინოდა ჩემი.“ (მსხვერპლი, 27, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

გრაფიკი 8.3:

ბავშვთა ქცევითი პრობლემები იმ დედების მიხედვით, რომლებიც 6-12 წლის ასაკის, სულ ცოტა, ერთ შვილთან ერთად ცხოვრობენ



ცხრილ 8.5-ში მოყვანილი მიგნებები ასევე ცხადყოფს, რომ იმ ქალების ბავშვები, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოსცადა, უფრო მეტი ალბათობით განიცდიან წარუმატებლობას სკოლაში, რჩებიან კლასში ან საერთოდ ტოვებენ სკოლას.


თვისებრივი გამოკითხვების დროს რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ბავშვები იძულებული იყვნენ, სკოლა დაეტოვებინათ სახლში ძალადობის შემთხვევების გამო. ზოგიერთმა რესპონდენტმა, ასევე, აღნიშნა, რომ სტრესული გარემოსა და სახლში ძალადობის გამო ბავშვებს სწავლისა და მახსოვრობის პრობლემები

ჰქონდათ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა:

„უმცროს (გოგოს) მეხსიერების პრობლემა აქვს. ახლა გარკვეული მედიკამენტები უნდა მივცეთ. ძალიან გარიყული იყო სტრესის გამო. მოგვიანებით შევამჩნიე, რომ უფრო კომუნიკაბელური გახდა თანატოლებთან. მანამდე კიდევ სულ მარტო იყო, მარტო თამაშობდა, ახლაც ხანდახან, მაგრამ ისე აღარ, როგორც ადრე.“
(მსხვერპლი, 41, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

გრაფიკი 8.4:

ქცევითი პრობლემები ბავშვებში იმ დედების მიხედვით, რომელთაც ჰყავთ 6-15 წლის ასაკის, სულ ცოტა, ერთი სკოლის მოსწავლე შვილი



ცხრილი 8.5:

ბავშვთა ქცევითი პრობლემები იმ დედების მიხედვით, რომლებიც 6-12 წლის ასაკის, სულ ცოტა, ერთ შვილთან ერთად ცხოვრობენ

იმ რესპონდენტებისათვის, რომელთაც ჰყავთ 6-15 წლის ასაკის ბავშვები	არასოდეს გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან		გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
განაცხადეს, რომ ბავშვებს აწუხებთ კომპარული სიმშრები, ასველებენ სანოლს, არიან შეშინებული ან აგრესიული				
ბავშვებში პრობლემების შესახებ არ (0) განუცხადებია	953,349	80.5	57,344	89.8
განაცხადა ბავშვებში მცირე (1) პრობლემების შესახებ	29,583	2.5	3,227	5.1
განაცხადა ბავშვებში ზოგიერთი (2) პრობლემის შესახებ	8,629	0.7	822	1.3
განაცხადა ბავშვებში მრავალი (3) პრობლემის შესახებ	985	0.1	-	-
იმ რესპონდენტებისათვის, რომლებსაც ჰყავთ 6-15 წლის ასაკის სკოლის მოსწავლე ბავშვი	არასოდეს გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან		გამოუცდია ფიზიკური/სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ბავშვი ჩარჩა კლასში/უნდა გაიმეორეს ერთი წელი სკოლაში	1,265	0.1	445	0.7
ბავშვმა მიატოვა სწავლა	5,579	0.5	917	1.4

8.4 ანალიზი

კვლევით დადგინდა, რომ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქალების რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და მათი ბავშვების კეთილდღეობაზე. ოდესმე ორსულად მყოფი ქალების 2%-მა განაცხადა, რომ ისინი ორსულობის დროს უცემიათ⁹¹. მონაცემები თავსებადია 2009 წლის კვლევასთან საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ, რომლის შედეგებით ქალთა 3%-ს გამოცდილი აქვს ძალადობა ორსულობის დროს. ორსულობის დროს ძალადობის მძიმე ფორმების შესახებ განაცხადა 1%-მა, რაც მუცელში წიხლის ან მუშტის ჩარტყმით გამოიხატებოდა. ეს ციფრი უფრო დაბალია რეგიონული გავრცელების კვლევებთან შედარებით. მაგალითად, თურქეთში, ოდესმე ორსულად მყოფი ქალების 8%-მა განაცხადა ფიზიკური ძალადობის შესახებ ორსულობისას, მეუღლის ან/და პარტნიორის მხრიდან⁹²; ცენტრალურ ევროპაში ჩატარებული კვლევით კი, მთლიანობაში, ძალადობის უფრო მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა - ქალთა 20%-მა განაცხადა პარტნიორის მხრიდან ორსულობისას

გამოცდილი ძალადობის შესახებ.⁹³ სხვა კვლევებში, ორსულობის დროს ძალადობაგადატანილ ქალებში დაფიქსირდა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის მძიმე ფორმების უფრო მაღალი გავრცელება, ვიდრე ქალებში, ვინც ძალადობას ორსულობამდე ან/და ორსულობის შემდეგ განიცდიდა.⁹⁴ კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ ქალები, ვინც ორსულობისას ძალადობას განიცდიდა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან⁹⁵, სიცოცხლის ხელყოფის უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან. ამგვარად, ორსულობისას ძალადობაგადატანილი ქალები და განსაკუთრებით ისინი, ვისთვისაც ძალადობა ორსულობის დროს კიდევ უფრო

91 ჩიტაშვილი და სხვ. 2010

92 Ministry of Family and Social Policies, *Research on domestic violence (2015)*.

93 FRA, 2014

94 Campbell, J., Garcia-Moreno, C. and Sharps, P. 2004. Abuse during Pregnancy in Industrialized and Developing Countries. *Violence Against Women* 10 (7): 770—789; Campbell, J. 2004. Helping Women Understand Their Risk in Situations of Intimate Partner Violence. *Journal of Interpersonal Violence* 19 (12): 1464—1477; Macy, R., et al. 2007. Partner Violence among Women before, during and after Pregnancy: Multiple Opportunities for Intervention. *Women’s Health Issues* 17 (5): 290—299; McFarlane, J., et al. 2002. Abuse during Pregnancy and Femicide: Urgent Implications for Women’s Health. *Obstetrics&Gynecology* 100 (1): 27—36.

95 McFarlane et al., 2002.

დამძიმდა, სერიოზული რისკის ქვეშ დგანან და აქტიურ ჩარევას საჭიროებენ.

კვლევის შედეგებით, ქალებს, ვისაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გადაუტანიათ, უფრო მეტი ალბათობით გამოუყენებიათ ჩასახვის სანინააღმდეგო საშუალებები. იგივე შედეგი მიიღეს ახალბელანდიაში და სხვა ქვეყნებში, სადაც ჯანმო-ს კვლევა ჩატარდა.⁹⁶ ამგვარად, კონტრაცეპციის გამოყენებასთან დაკავშირებული განხილვები, შესაძლოა, კარგი შესაძლებლობა იყოს სამედიცინო პერსონალისათვის, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის ნიშნების შესაფასებლად და გარკვეული ჩარევის მოსახდენად. მეორე მხრივ, კონტრაცეპციის გამოყენება მიმდინარე პერიოდში უფრო დაბალი იყო ძალადობაგადატანილი ქალებისათვის, იმ ქალებთან შედარებით, ვისაც ძალადობა არ გამოუცდია. ეს, შეიძლება, იმაზე მიუთითებდეს, რომ ქალებს, ვინც ძალადობა გამოსცადა, კონტრაცეპციის გამოყენების შესახებ გადანყვეტილების მიღების საშუალება არ აქვთ. მაგალითად, 2012 წლის საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევაში ქალების 4%-მა განაცხადა, რომ ისინი არ გამოიყენებენ ჩასახვის სანინააღმდეგო საშუალებებს პარტნიორის/მეუღლის წინააღმდეგობის გამო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონულ დონეზე, საქართველოში კონტრაცეპციის გამოყენების ყველაზე დაბალი დონე ფიქსირდება და, შესაბამისად - აბორტების მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებლები.⁹⁷

კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობაგადატანილი ქალები უფრო მეტი სიხშირით აცხადებდნენ აბორტებისა და მუცლის მოშლის შესახებ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევებიდან დადგინდა, რომ ქალები, ვისაც ორსულობის დროს სცემდნენ, მუცლის მოშლის ორმაგი რისკის და წონანაკლული ბავშვის დაბადების ოთხმაგი რისკის მატარებლები არიან იმ ქალებთან შედარებით, ვისაც ორსულობისას არ სცემდნენ.⁹⁸ რიგ ქვეყნებში ფიზიკური ძალადობა, ასე-

ვე, აისახება აბორტების, მუცლის მოშლის, მკვდრად-შობადობისა და პრენატალური მოვლის გვიან დაწყების უფრო მაღალ მაჩვენებლებში.⁹⁹ მართალია, პარტნიორის მხრიდან ძალადობაგადატანილი ქალები უფრო მეტი ალბათობით აცხადებენ აბორტის შესახებ (60%), ვიდრე ქალები, ვისაც პარტნიორის მხრიდან ძალადობა არ გამოუცდია (44%), თუმცა, ზოგადად, აბორტების დონე შედარებით უფრო მაღალია საქართველოში. „2010 წლის საქართველოში ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის“ მიხედვით, ხუთიდან ერთმა რესპონდენტმა, რომელმაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე აბორტის გაკეთების შესახებ განაცხადა, ამის მიზეზად მშობიარობის შემდეგ შუალედის გაკეთების სურვილი დაასახელა, ხოლო 50%-ზე მეტმა ქალმა აღიარა, რომ აღარ უნდოდა მეტი ბავშვი. ორსულობის შეზღუდვის სურვილი უფრო მაღალი იყო ქალებს შორის სოფლად.¹⁰⁰ ეს მიგნებები აჩვენებს, რომ საქართველოში დაუგეგმავი ორსულობა გავრცელებულია და ქალებს რეპროდუქციულ საკითხებთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღებაზე კონტროლი შეზღუდული აქვთ. მეტიც, სხვა კვლევებმა აჩვენა ძალადობრივი ურთიერთობების მაკონტროლებელი ბუნება, რომელსაც შეუძლია, ქალის არჩევანი შეზღუდოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ალტერნატივების მიმართ.¹⁰¹ ჯანდაცვის სამსახურებმა უნდა გაითვალისწინონ, როგორი გავლენა, შეიძლება, ჰქონდეს პარტნიორის/მეუღლის

96 Fanslow, J., et al. 2008. Contraceptive Use and Associations with Intimate Partner Violence among

97 UNFPA 2012, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010, UNFPA, თბილისი

98 Watts, C. H., et al. 1998. WHO multi-country Study of Women's Health and Domestic Violence, Core Protocol. World Health Organization: Geneva

99 Garcia-Moreno et al., 2015; Heise, L. and Kotsadam, A. 2015. Cross-national and Multi-level Correlates of Partner Violence: An Analysis of Data from Population-based Surveys. *The Lancet Global Health* 3 (6): e332—e340; Pallitto, C., Garcia-Moreno, C., Jansen, H., Heise, L., Ellsberg, M. & Watts, C. 2013. Intimate partner violence, abortion, and unintended pregnancy: results from the WHO multi-country study on women's health and domestic violence. *International Journal of Gynecology and Obstetrics*, 120, 3-9; Velzeboer, M., Ellsberg, M., Arcas, C. C. & Garcia-Moreno, C. 2003. Violence against women: the health sector responds. Washington.

100 UNFPA, 2012.

101 Fulu et al., 2009; Gao, W., Paterson, J., Carter, S. and Lusitini, L. 2008. Intimate Partner Violence and Unplanned Pregnancy in the Pacific Islands Families Study. *International Journal of Gynecology and Obstetrics* 100 (2): 109—115; Kishor, S. & Johnson, K. 2004b. Profiling domestic violence: a multi-country study. Calverton, MD

მხრიდან ძალადობას მათი პაციენტების მიერ რეპრო-დუქციული ჯანმრთელობის მომსახურებისა და, კერძოდ, კონტრაცეპტივების გამოყენების საკითხზე.¹⁰²

როგორც მეოთხე თავიდან ჩანს, პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობაგადატანილი ქალების შვილები ხანდახან შესწრებიან ძალადობის შემთხვევებს. კვლევამ შემდგომ აჩვენა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მნიშვნელოვნად მოქმედებდა ბავშვებზე. პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობაგადატანილი ქალების ბავშვებს უფრო მეტი ალბათობით აქვთ ისეთი ფსიქოლოგიური და ქცევითი პრობლემები, როგორცაა: კომპარული სიზმრები, ენურეზი, შიში, აგრესია და ამ ბავშვებში უფრო ხშირია სწავლის მიტოვების ან კლასში ჩარჩენის ფაქტები. აღნიშნული მიგნებები 2009 წლის ეროვნული კვლევით არის გამყარებული, სადაც

ნაჩვენებია, რომ ქცევითი პრობლემების მქონე (მათი დედების განცხადებით) ხუთიდან ერთი ბავშვი ბედმეტად მორიდებული ან ჩაკეტილია, ხოლო ათიდან ერთს ხშირი კომპარული სიზმრები აწუხებს¹⁰³. ანალოგიურად, 2014 წლის ჯანმო-ის კვლევამ თურქეთში გამოავლინა, რომ ძალადობაგადატანილ ქალთა ბავშვები უფრო მეტი ალბათობით განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ ან ქცევით პრობლემებს.¹⁰⁴ ეს ხაზს უსვამს ძალადობის პრევენციის საჭიროებას არა მხოლოდ ქალებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის გამო, არამედ მათი ბავშვების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე უარყოფითი ზემოქმედებიდან გამომდინარე. აღნიშნული მტკიცებულებები იმაზეც მიუთითებს, რომ ძალადობაშესწრებულ ბავშვებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ დახმარების შესაბამის მომსახურებებზე წვდომა, როგორც ძალადობის ციკლის პრევენციისადმი ჰოლისტიკური მიდგომის ნაწილი.

102 Ellsberg, M. 2000. Candies in hell: women's experiences of violence in Nicaragua. *Social Science and Medicine*, 51, 1595-1610; Fanslow et al., 2008; Williams, C. M., Larsen, U. & McCloskey, L. A. 2008. Intimate partner violence and women's contraception use. *Violence Against Women*, 14, 1382-1396.

103 ჩიტაშვილი და სხვ. 2010.

104 Ministry of Family and Social Policies, *Research on domestic violence (2015)*.

თავი 9. ქალთა მიერ მეუღლის/ პარტნიორის მხრიდან ძალადობასა და სექსუალურ ძალმომრეობაზე რეაგირება და დაძლევის სტრატეგიები

ძირითადი მიზნები

- ქალთა თითქმის სამ მეოთხედს (74%), რომელთაც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობა გამოუცდია, არასოდეს განუცხადებია ძალადობის შესახებ რომელიმე უწყებაში ან დახმარების მიმწოდებელ დაწესებულებაში;
- ქალები, რომლებმაც განაცხადეს ძალადობის შესახებ სხვადასხვა უწყებებში, ყველაზე ხშირად მიმართავენ პოლიციას (18%), სამედიცინო პერსონალს (8%) ან სასამართლოებს (5%);
- ქალების უმრავლესობა დახმარებას არ ითხოვს სხვადასხვა სტიგმისა და სირცხვილის (25%), მუქარის (17%) ან შერცხვენის (14%) შიშის გამო;
- ქალებმა, რომლებმაც დახმარება მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემდეგ ითხოვეს, განაცხადეს, რომ მათ მეტის ატანა აღარ შეეძლოთ (80%) ან/და მძიმე დაზიანებები მიიღეს (21%). პრობლემის გამჟღავნებისკენ ქალების 18%-ს მეგობრებმა ან ოჯახის წევრებმა უბიძგეს.

ქალთა ძალადობის გამოცდილების კონტექსტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქალები ახერხებენ თავისუფალ მოქმედებას და კონტროლის განსხვავებულ ხარისხს საკუთარ ცხოვრებაში, დაქვემდებარების მრავალი ფორმის პირობებშიც კი.¹⁰⁵ მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ქალები, რომლებიც ძალადობას განიცდიან, არა, უბრალოდ, მსხვერპლნი, არამედ, უფრო მეტად, ძალადობაგადატანილები არიან. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში მათ დასახმარებლად მცირე რაოდენობის ფორმალური მომსახურებებია (მაგალითად, ქალთა თავშესაფრების შეზღუდული ხელმისაწვდომობა), ქალებმა განავითარეს გამკლავების საკუთარი სტრატეგიები და მექანიზმები როგორც არაფორმალურ (სოციალური კავშირები მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან), ისე ფორმალურ (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობები) დონეზე. ამასთან, დანარჩენ ქალთა დიდი

რაოდენობა, უბრალოდ, იტანს ძალადობას. ამ თავში განხილულია ქალთა მიერ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე რეაგირება და გამკლავების სტრატეგიები.

ქალთა მიერ გამკლავების სტრატეგიების შესწავლის მიზნით, რესპონდენტებს, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა გამოუცდიათ, შემდეგი კითხვები დაუსვეს: ვის ესაუბრნენ ისინი პარტნიორის ქცევაზე, სად ეძიებდნენ დახმარებას, ვინ დაეხმარა მათ, რამდენად კმაყოფილი იყვნენ მიღებული დახმარებით და როდესმე შეინიშნა შემდეგებიან თუ არა ან თუ მიუტოვებიათ პარტნიორი ძალადობის გამო? თუ ქალმა ძალადობა ერთზე მეტი პარტნიორის მხრიდან გამოსცადა, მას ყველაზე ბოლოს მოძალადე პარტნიორზე უნდა ეპასუხა.

9.1 ვის უხელონ ქალები ძალადობის ფაქტს და ვინ უხმარებდა მათ?


ქალებს, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, ჰკითხეს, მოუყოლიათ თუ არა ვინმესთვის პარტნიორის ქცევის შესახებ? ჩამოთვლილი პასუხებიდან რამდენიმეს არჩევა იყო შესაძლებელი. იმ ქალებს შორის, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის გამოცდილების შესახებ განაცხადა, მხოლოდ 26%-მა აღიარა ამ ძალადობის შესახებ რაიმე სამსახურში ან დახმარების ცენტრში. ცალკეული კატეგორიების მიხედვით, ყველაზე ხშირად ქალები ძალადობის შესახებ ატყობინებენ პოლიციას (18%), სამედიცინო პერსონალს (8%) და სასამართლოს (5%). ძალიან მცირე რაოდენობის ქალებმა მიმართეს იურიდიული რჩევისთვის ან მიაკითხეს რელიგიურ დაწესებულებას; არცერთ ქალს დახმარება არ უთხოვია თავშესაფარში ან ადგილობრივი თემის ლიდერისთვის.

ცხრილში 9.1 მოყვანილია ქალთა რაოდენობა, რომელთაც დახმარება მომსახურების ერთ ცენტრში მაინც ითხოვეს, ასევე - მიღებული დახმარებით მათი კმაყოფილების დონე. მთლიანობაში, ქალები კმაყოფილი იყვნენ დახმარებით, რომელიც მათ სხვადასხვა სამსახურებიდან მიიღეს.

105 United Nations General Assembly 2006. In-depth study on all forms of violence against women: Report of the Secretary General. Geneva: United Nations.

გრაფიკი 9.1:

რესპონდენტები, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შესახებ განაცხადეს და სხვადასხვა სამსახურებსა და დახმარების ცენტრებს მიმართეს



ცხრილი 9.1:

რესპონდენტები, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შესახებ განაცხადეს და სხვადასხვა სამსახურებსა და დახმარების ცენტრებს მიმართეს

	მიმართა უწყებას		კმაყოფილი დარჩა მიღებული მომსახურებით	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
არ მიუმართავთ არცერთი უწყებისთვის	47,272	74.0		
პოლიცია	11,646	18.2	9,417	80.9
საავადმყოფო ან სხვა სამედიცინო დაწესებულება	4,938	7.7	4,078	82.6
სოციალური მომსახურების ცენტრი	1,340	2.1	1,340	100
იურიდიული კონსულტაციის ცენტრი	1,536	2.4	1,409	91.7
ცხელი ხაზი	840	1.3	370	44
სასამართლო	3,319	5.2	3,319	100
არასამთავრობო ორგანიზაცია	370	0.6	370	100
სასულიერო პირი/რელიგიური ლიდერი	1,278	2.0	1,278	100
სხვა	545	0.9	362	66.4

თვისებრივმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ქალებს, რომელთაც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, აქვთ ძალიან მცირე ან, საერთოდ, არა აქვთ მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან, ძალადობის შესახებ შესაბამის სამსახურებში თუ დახმარების ცენტრებში მიმართვის თვალსაზრისით. ქალებს ხშირად აკლიათ სოციალური კავშირები და მხარდაჭერა ოჯახისგან, საზოგადოებისგან. საქართველოს კონტექსტში, სოციალური კავშირები და სოცი-

ალური კაპიტალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფორმალური ინსტიტუტები. სხვადასხვა სახის პრობლემები პირადი კავშირებით უფრო წყდება, ვიდრე ოფიციალური მხარდაჭერით. ეს ნიშნავს, რომ ქალებს, რომლებიც ძალადობას განიცდიან, შეზღუდული სოციალური მხარდაჭერა აქვთ, რათა დახმარება ოფიციალური არხებით ეძიონ. რესპონდენტი ქალის მონაცვლიდან:

„პოლიციამ დაურეკა დედაჩემს, აუხსნა ჩემი სიტუაცია და უთხრა, რომ დახმარება მჭირდებოდა. მაგრამ დედაჩემმა უპასუხა, რომ მე გათხოვილი ქალი ვიყავი და მისი პრობლემა აღარ ვიყავი. ის მაბრალებდა კიდევ, რომ მე ფსიქოლოგიური პრობლემები მქონდა.“
(მსხვერპლი, 39, ჩადრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

„ჩემი ბიძაშვილი თბილისში ცხოვრობს და ის ძალიან დამეხმარა. მან იცოდა, რომ თუ ტელეფონს გავუთიშავდი, დახმარება მჭირდებოდა და პოლიციაში უნდა დაერეკა, რადგან მე არ შემიძლო პოლიციაში დარეკვა (ფიზიკური ძალადობის გამო). რაც შეეხება მეზობლებს, იცით, მათ ბოლომდე ვერ ენდობი... ერთადერთი, ვისაც ვენდობოდი, ჩემი ბიძაშვილი იყო. ამიტომაც ვთხოვე მას დახმარება. მე პოლიციაში სამჯერ დავრეკე, და ყოველ ჯერზე მისი დახმარებით.“
(მსხვერპლი, 27, ჩადრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

9.1.1 დახმარების ძიების და არ მოძიების მიზეზები

იმ ქალებს, რომელთაც დახმარებისთვის, სულ მცირე, ერთ მომსახურების ცენტრს მაინც მიმართეს, დახმა-

რების ძიების მიზეზებზე ჰკითხეს. ეს მიზეზები მოყვანილია გრაფიკზე 9.2. ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზები ძალადობის სიმძიმესა და ზეგავლენას უკავშირდებოდა, მაგალითად: მეტის ატანა აღარ შეეძლო, მიიღო მძიმე დაზიანებები, მოძალადე ემუქრებოდა ან მისი მოკვლა სცადა. ქალებმა ისიც აღნიშნეს, რომ დახმარების ძიება მათ ოჯახის წევრებმა ან მეგობრებმა ურჩიეს, ანდა მათ ეს ბავშვების ტანჯვის გამო გააკეთეს.

ქალებს, რომლებსაც არ მიუმართავთ არც ერთი უწყებისთვის, ასევე, ჰკითხეს ამის მიზეზი. მათი პასუხებიც ასახულია გრაფიკზე 9.2. ყველაზე გავრცელებული პასუხი, რომელიც ოთხიდან ერთმა ქალმა დაასახელა (25%), იყო იმის მტკიცება, რომ ოჯახის შერცხვენა არ უნდოდათ. მეორე ყველაზე გავრცელებული პასუხი კი ის იყო, რომ მომავალი შედეგებისა ან მეტი ძალადობის (17%) ეშინოდათ. დაბნეულობა და სირცხვილი დასახელდა სხვა მიზეზებს შორის. საინტერესოა, რომ ქალთა მხოლოდ 7%-სთვის წარმოადგენდა ძალადობა ნორმალურ ან არასერიოზულ საკითხს. ეს რიცხვი 2009 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ მაჩვენებელზე გაცილებით მცირეა, როდესაც ძალადობის გამოცდილების მქონე ქალთა 16%-მა განაცხადა, რომ ისინი არ ტოვებდნენ მოძალადეს, რადგან ძალადობას ნორმალურად ან არასერიოზულად მიიჩნევდნენ.¹⁰⁶

გრაფიკი 9.2: დახმარების ძიების მიზეზები (იმ ქალებისათვის, ვინც ეძებდა დახმარებას) და არმოძიების მიზეზები (იმ ქალებისათვის, ვინც არ ეძებდა დახმარებას)

- დახმარების ძიების მიზეზები**
- ✓ აღარ შეეძლო მეტის ატანა
 - ✓ მიიღო მძიმე დაზიანებები
 - ✓ მეგობრების/ოჯახის რჩევით
 - ✓ დაემუქრნენ ან ეცადნენ მის მოკვლას
 - ✓ ეშინოდა, რომ დაარტყამდნენ/განიცდიდა მეტი ძალადობას
 - ✓ ეშინოდა რომ მოძალადე მოკლავდა
 - ✓ ხედავდა, რომ ბავშვები იტანჯებოდნენ
 - ✓ მოძალადე ემუქრებოდა ან სცემდა ბავშვებს
 - ✓ გააგდეს სახლიდან
 - ✓ ეშინოდა, რომ თავად მოკლავდა მოძალადეს

- დახმარების არ მოძიების მიზეზები**
- ✓ შეარცხვენდა ოჯახს
 - ✓ ეშინოდა მუქარის/შედეგების/მეტი ძალადობის
 - ✓ რცხვენოდა/ეშინოდა, რომ არ დაუჭერებდნენ და გამტყუნდებოდა
 - ✓ არ იცოდა, რა არჩევანი ჰქონდა
 - ✓ ძალადობას მიიჩნევდა ნორმალურად/არასერიოზულად
 - ✓ ეშინოდა ბავშვების დაკარგვის
 - ✓ ეშინოდა, რომ მოძალადე დაასრულებდა ურთიერთობას
 - ✓ სჯეროდა, რომ დახმარების თხოვნა არაფერს შეცვლიდა/იცოდა, რომ სხვა ქალებს არ დაეხმარნენ
 - ✓ მოძალადე ემუქრებოდა, რომ თავს მოიკლავდა

106 ჩიტაშვილი და სხვ. 2010.

ცხრილი 9.2:

დახმარების ძიების მიზეზი (იმ ქალებს შორის, ვინც ეძებდა დახმარებას) და არ მოძიების მიზეზი (იმ ქალებს შორის, ვინც არ ეძებდა დახმარებას)

	რაოდენობა	%
დახმარების ძიების მიზეზები		
მეგობრების/ოჯახის რჩევით	3,024	18.3
აღარ შეეძლო მეტის ატანა	13,142	79.6
მიიღო მძიმე დაზიანებები	3,505	21.2
დაემუქრნენ ან ეცადნენ მის მოკვლას	2,257	13.7
მოძალადე ემუქრებოდა ან სცემდა ბავშვებს	919	5.6
ხედავდა, რომ ბავშვები იტანჯებოდნენ	1,152	7.0
გააგდეს სახლიდან	195	1.2
ეშინოდა, რომ თავად მოკლავდა მოძალადეს	-	-
ეშინოდა, რომ მოძალადე მოკლავდა	1,237	7.5
ეშინოდა, რომ დაარტყამდნენ/განიცდიდა მეტ ძალადობას	1,735	10.5
სხვა	101	0.6
დახმარების არ მოძიების მიზეზები		
არ ვიცი/უარი პასუხზე	12,932	27.3
ეშინოდა მუქარის/შედეგების/მეტი ძალადობის	8,212	17.3
ძალადობას მიიჩნევდა ნორმალურად/არასერიოზულად	3,257	6.9
რცხვენოდა/ეშინოდა, რომ არ დაუჯერებდნენ და გამტყუნდებოდა	6,657	14.1
სჯეროდა, რომ დახმარების თხოვნა არაფერს შეცვლიდა/იცოდა, რომ სხვა ქალებს არ დაეხმარა	1,429	3.0
ეშინოდა, რომ მოძალადე დაასრულებდა ურთიერთობას	2,192	4.6
ეშინოდა ბავშვების დაკარგვის	2,248	4.7
შეარცხვენდა ოჯახს	11,800	24.9
არ იცოდა, რა ალტერნატივები ჰქონდა	4,002	8.5
მოძალადე ემუქრებოდა, რომ თავს მოიკლავდა	292	0.6
სხვა	3,021	6.4

თვისებრივმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ძალადობა-გადატანილი ქალები, უფრო ხშირად, მარტო უძკლავდებიან ძალადობას. ბევრი საკუთარ თავს ადანაშაულებს და ცდილობს, უკეთესი გახდეს ან ქცევა გამოასწოროს, რათა თავიდან აირიდოს ძალადობა, კერძოდ კი, გახდეს უკეთესი დიასახლისი. რესპონდენტის მონაცოლიდან:

„ვფიქრობდი, რომ სიტუაცია გამოსწორდებოდა, თუ ყველაფერს გავაკეთებდი, რასაც მთხოვდა. დაინახავდა, რომ ბავშვზე კარგად ვზრუნავ, სახლის საქმეებს ვაკეთებ და (მამინ ის) უკეთ მომექცეოდა, რადგან ჩემთან ჩხუბის მიზეზი აღარ ექნებოდა“.

(მსხვერპლი, 22, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

სხვა რესპონდენტები ცდილობდნენ პარტნიორის/მეუღლის დამშვიდებას და ძალადობრივი ქმედებების შეცვლას პასიურობითა და ჩუმიად ყოფნით. მაგალითად, როგორც რესპონდენტმა განმარტა:

„მე ვიდექი და ვუსმენდი, როგორ იგინებოდა და ჩხუბობდა. ცოტა ხნის შემდეგ, უბრალოდ, მიდიოდა სახლიდან. არ ვენინააღმდეგებოდი, არც ჩემი პოზიციის დამტკიცებას ვცდილობდი, რადგან არ მინდოდა კიდევ უფრო გამებრაზებინა“.

(მსხვერპლი, 22, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

რესპონდენტები, ასევე, ფიქრობდნენ, რომ მათ შეეძლოთ უკეთესობისკენ შეეცვალებათ მათი პარტნი-

ორის/მეუღლის ქცევა. ისინი ამართლებდნენ ძალადობას, მის ამგვარ ქცევას აბრალებდნენ ალკოჰოლს, აზარტულ თამაშებს, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ან ბავშვობაში გამოცდილი ძალადობას.

9.2 ქალები, რომლებიც სახლიდან წასვლას ან დარჩენას ირჩევენ

ცხრილი 9.3:

ძალადობის გამო სახლის დატოვების (სულ მცირე, ერთი ღამით მაინც) სიხშირე ქალებში, რომელთაც ოდესმე მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოუცდიათ

	რაოდენობა	%
ძალადობის გამო დატოვა სახლი სულ მცირე ერთი ღამით მაინც	29,586	46.3

ქალებმა, რომლებიც ძალადობის მიუხედავად სახლში რჩებიან, დარჩენის მიზეზები დაასახელეს (იხ. ცხრილი 9.3). ყველაზე გავრცელებული მიზეზი, რის გამოც ქალი ძალადობის მიუხედავად არ ტოვებს სახლს, არის ქორწინების სინამდის ცნება (38%). სხვა ქალების მიერ დასახელებული მიზეზები, აგრეთვე, განმარტავდა, რომ მათ არ უნდოდათ ბავშვების დატოვება (17%) და არ სურდათ ოჯახის შერცხვენა (16%). ამასთან, ქალების 14%-მა, ვისაც ძალადობის მიუხედავად სახლი არასოდეს დაუტოვებია, თავიანთ პარტნიორს ძალადობა აპატია.

თვისებრივ გამოკითხვებში ქორწინების სინამდის ცნება საკმაოდ ძლიერ არგუმენტად დასახელდა. საქართველოში განქორწინება მიუღებლად ითვლება ბევრ ოჯახსა და თემში და რადგან ქალია პასუხისმგებელი ოჯახის ერთიანობის შენარჩუნებაზე, განქორწინება სწორ გადამწყვეტილებად არ ითვლება. ამგვარი მოლოდინები და აღქმები, რომელსაც ემატება საკითხები ოჯახის სირცხვილთან დაკავშირებით, თვისებრივ ინტერვიუებშია ასახული:

„ვიფიქრობდი, რომ ოჯახის მთლიანობა უნდა შემენარჩუნებინა. ჩემი პირველი ქორწინება დაინგრა, ახლა კიდევ მეორე... ვიფიქრე, თუ მეორედაც განვქორწინდებოდი, ხალხი ჩემს პატიოსნებაში შეიტანდა ეჭვს. მე ბავშვების გამოც ვცდილობდი. მათ მამა ისევე სჭირდებათ, როგორც დედა“

(მსხვერპლი, 27, ჩადრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც ქალები სახლში დარჩენას ამჯობინებდნენ, იყო

ქალებს, რომლებმაც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შესახებ განაცხადეს, ჰკითხეს, თუ დაუტოვებიათ სახლი ძალადობის გამო ერთი ღამით მაინც. იმ ქალთა შორის, რომელთაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გამოუცდიათ, 46%-მა განაცხადა, რომ სახლი, სულ მცირე, ერთი ღამით მაინც დაუტოვებია.

საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხები. ბევრ ქალს არ შეეძლო მშობლიურ სახლში დაბრუნება, რადგან მათი ოჯახი უარს ამბობდა მათ უკან მიღებაზე. ამას როგორც კულტურული, ისე ეკონომიკური მიზეზები აქვს. ოჯახებს ხშირად არა აქვთ ეკონომიკური შესაძლებლობა, შეინახონ თავიანთი ქალიშვილი და მისი შვილები. უფრო მეტიც, მშობლების ქონების შემკვიდრედ ბიჭი სახელდება და არა გოგო. გათხოვების შემდეგ მათ უნდა დატოვონ მშობლების სახლი და მომავალში მასზე უფლებები აღარ აქვთ. ეს ნიშნავს, რომ ქალებს, რომლებიც ძალადობას განიცდიან, არ შეუძლიათ, თავშესაფარი მოსთხოვონ მშობლებს.

ეკონომიკური პირობები, აგრეთვე, უშლის ხელს ქალებს, ძალადობის შემცველ ურთიერთობებს დააღწიონ თავი. ქალები, ჩვეულებრივ, არ მუშაობენ და, შესაბამისად, აქვთ მცირე ან საერთოდ არ გააჩნიათ შემოსავალი. ამგვარად, ისინი ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან ქმარზე. ოჯახის ან საზოგადოების წევრების მხრიდან ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე, მათთვის განსაკუთრებით რთულია, ძალადობრივ ურთიერთობებს დააღწიონ თავი.

თვისებრივი გამოკითხვებიდან გამოვლინდა, რომ მთავარი ფაქტორი, რის გამოც ქალი ძალადობრივ ურთიერთობას წყვეტს, ბავშვებისკენ მიმართული ძალადობის მუქარა ან უშუალოდ ძალადობაა. ბევრი ქალი ძალადობას ბავშვების გამო იტანს იმის რწმენით, რომ ბავშვებს მამა სჭირდებათ. ქალთა უმრავლესობა წყვეტს ძალადობის შემცველ ურთიერთობებს, როდესაც სიტუაცია აუტანელი ხდება და რისკის ქვეშ დგება მათი შვილების კეთილდღეობა. რესპონდენტის მონაცოლიდან:

„ბავშვების გამო წავედი.. ჩემი ბიჭი... ის ახლაც კი ნერვიული და აგრესიულია. რომ დავრჩენილიყავი, წლების შემდეგ, მამამისს დაემსგავსებოდა, ისიც მოძალადე გახდებოდა“.


(მსხვერპლი, 41, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

„ვფიქრობდი, რომ ჩემს თავს ვერ ვუღალატებდი, რომ ჩემი შვილებისთვის ძლიერი უნდა ვყოფილიყავი და თუ რაიმეს გავაკეთებდი, ეს იმოქმედებდა.“

(მსხვერპლი, 37, ჩაღრმავებული ინტერვიუ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ)

გრაფიკი 9.3:

დარჩენის მიზეზები იმ ქალებისთვის, რომელთაც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა განიცადეს, მაგრამ განაცხადეს, რომ არასდროს შეწყვეტენ ძალადობის შემცველ ურთიერთობებს



9.3 წინააღმდეგობის განწევა

რესპონდენტებს, ვინც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილების შესახებ განაცხადეს, ჰკითხეს, თავდაცვის მიზნით, ოდესმე თუ გაუწევიათ ფიზიკური წინააღმდეგობა პარტნიორისათვის ძალადობის დროს. როგორც გრაფიკი 9.4 აჩვენებს, ქალთა 37%-მა განაცხადა, რომ მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. წინააღმდეგობის სიხშირეს რაც შეეხება, ქალთა ერთმა მესამედმა განაცხადა, რომ ისინი შეწინააღმდეგებიან რამდენჯერმე (2-5-ჯერ), ხოლო ხუთიდან ერთმა ქალმა განაცხადა, რომ შეწინააღმდეგებია ბევრჯერ (ხუთჯერ და მეტჯერ). იმ ქალთა

შედარებით მაღალი რიცხვის მიუხედავად, რომელთაც არ მიუღიათ თავდაცვის ზომები, ქალთა, სულ მცირე, 61%-ს, ვისაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა გამოუცდია, წინააღმდეგობა გაუწევია პარტნიორისთვის.

ქალებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ პარტნიორს, ჰკითხეს, რა გავლენა მოახდინა შეწინააღმდეგებამ ძალადობაზე? გაცხადებული შედეგები სხვადასხვაგვარი იყო: 52%-მა განაცხადა, რომ ამას ძალადობა არ შეუცვლია; 17%-ის თქმით – ამან შეამცირა ძალადობა; 17%-მა აღნიშნა, რომ ძალადობა შეწყდა, ხოლო 13%-ის აღიარებით – იგი გაუარესდა.

ცხრილი 9.4:

შეწინააღმდეგებიან თუ არა რესპონდენტები, როდესაც მათზე ძალადობდნენ და რა გავლენა ჰქონდა ამას ძალადობაზე იმ ქალებისათვის, ვინც მოძალადეს წინააღმდეგობა გაუწია

გაუწევიათ თუ არა წინააღმდეგობა?	რაოდენობა	%
არასდროს	21,314	36.6
ერთხელ	6,378	11.0
რამდენჯერმე (2-5-ჯერ)	17,580	30.2
ბევრჯერ/უმეტესად	11,298	19.4
უარი პასუხზე	1,631	2.8

წინააღმდეგობის განვივის შედეგები	n	%
არაფერი შეცვლილა	18,415	52.2
გაუარესდა	4,619	13.1
შემცირდა	6,035	17.1
შენცდა	5,885	16.7
უარი პასუხზე	1,933	5.5

9.4 ქალთა რეაგირება ადევნებაზე

ქალებს, ასევე, ჰკითხეს სექსუალურ შევიწროებასა და ადევნებაზე მათი მხრიდან რეაგირების შესახებ. მთლიანობაში, ქალთა უმრავლესობა ოჯახსა და მეგობრებს (53%) ესაუბრა ამის შესახებ; შეწინააღ-

მდეგება და მოძალადის მიმართ დამუქრება იყო მეორე ყველაზე გავრცელებული პასუხი (35%); ზოგმა საკონტაქტო ინფორმაცია და სოციალური მედიის ანგარიშები (25%) შეცვალა; ქალთა მცირე რაოდენობამ კი საცხოვრებელი მისამართი შეიცვალა ან დახმარების ცენტრებს მიმართა.

ცხრილი 9.5: ქალთა რეაგირება ადევნებაზე

რეაგირება	რაოდენობა	%
წინ აღუდგა ან დაემუქრა მოძალადეს იმის გამო, რასაც ის აკეთებდა	15,959	35.1
შეიცვალა საცხოვრებელი	1,906	4.2
შეიცვალა ტელეფონის ნომერი/ელექტრონული ფოსტის მისამართი, დახურა სოციალური მედიის (მაგ. ფეისბუქის) ანგარიშები	11,725	25.8
მიმართა მსხვერპლთა მხარდაჭერის ორგანიზაციებს ან სხვა	1,607	3.5
შემთხვევის შესახებ ესაუბრა ოჯახის წევრებს ან მეგობრებს	23,971	52.8

9.5 ანალიზი

კვლევით დადგინდა, რომ ქალთა უმრავლესობა არავის უმხელს მეუღლის/პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტს და არც რომელიმე უწყებას მიმართავს დახმარებისთვის. უფრო მეტიც, კვლევაში მონაწილე მრავალი ქალისთვის ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მათ ვინმეს გაუშვილეს ძალადობის ფაქტის შესახებ. მსგავსი სიტუაცია იყო სხვა ანალოგიურ კვლევებშიც.¹⁰⁷ ეს კარგად ასახავს იმ სიძნელეებს, რომელთა წინაშეც მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობაგადატანილი ქალები დგანან, როდესაც დახმარების ძიებას ცდილობენ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში.

კვლევამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოავლინა იმ ქალთა რაოდენობაში, რომლებიც ძალადობრივ ურთიერთობებს არ წყვეტენ. მაგალითად, 2009 წელთან შედარებით 10%-ით შემცირდა იმ ქალთა რაოდენობა, ვინც მოძალადე ქმართან რჩება, რადგან ძალადობა ნორმალურად მიაჩნია.¹⁰⁸ ეს შეიძლება დადებით ტენდენციად ჩაითვალოს და იმაზე მიანიშნებს, რომ უფრო და უფრო ნაკლები ქალი იტანს

ძალადობას, როგორც ნორმალურად ქმედებას. საინტერესოა, რომ 2009 წელს ჩატარებული კვლევის შემდგომ სამჯერ გაიზარდა იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ძალადობრივ ურთიერთობაში ქორწინების სინამდის გამო რჩება. ეს ცვლილება, შესაძლოა, გენდერული როლებისა და ქალის ოჯახური პასუხისმგებლობების ირგვლივ კონსერვატიული შეხედულებების ხელახალი გავრცელებით იყოს გამოწვეული.¹⁰⁹

დადებითი ცვლილებები აღინიშნა ქალთა მიერ დახმარების ძიების საკითხშიც. კვლევის შედეგების თანახმად, ქალთა 18%-მა, რომელთაც ძალადობა გამოუცდიათ, დახმარებისათვის პოლიციას მიმართეს. იგივე მაჩვენებელი 2009 წლის ეროვნული კვლევის შედეგებით მხოლოდ 2% იყო.¹¹⁰ აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა დამაიმედებელია და შეიძლება, პოლიციის მიმართ ნდობის გაუმჯობესებას ასახავდეს - ამ უკანასკნელის მიერ ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ჩარევის უფრო მაღალი ქმედითობის გამო. იმის მიუხედავად, რომ პოლიციელებს ჩაუტარდათ ტრენინგები, როგორ იმოქმედონ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის დროს და შეუძ-

107 Garcia-Moreno et al., 2005

108 ჩიტაშვილი და სხვ. 2010

109 UNFPA, 2015.

110 ჩიტაშვილი და სხვ. 2010

ლიათ, შემავაველებელი ორდერებიც გამოსცენ, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ პოლიციელები გულგრილად ეკიდებიან ამ საკითხს და ძალადობრივი ქმედებების გამო მოძალადისთვის ვალდებულების დაკისრება არ სურთ. პოლიციის მხრიდან ძალადობის შემთხვევების დროს რეაგირების სურვილის ნაკლებობა, შესაძლოა, გამომწვეული იყოს სოციალური ნორმებით, რომლის მიხედვითაც პარტნიორის მხრიდან ძალადობა პირადი საქმეა; აგრეთვე - ცოლის ცემის მიმართ საზოგადოების მაღალი მიმღებლობით.

კვლევამ აჩვენა, რომ დახმარებისთვის ქალთა ძალიან მცირე რაოდენობა მიმართავს სამედიცინო პერსონალს. ამ უკანასკნელთ არ აქვთ შესაბამისი მომზადება ძალადობის შემთხვევების გამოსავლენად და მათი ცოდნისა და შესაძლებლობების დონე შეზღუდულია რეაგირების მექანიზმების თვალსაზრისით. თვისებრივი გამოკითხვების დროს ეს ფაქტი რესპონდენტებმა მომსახურების მიღების ერთ-ერთ მთავარ ბარიერად დაასახელეს. მაგალითად, სამედიცინო პერსონალისთვის არ არსებობს სპეციალური სახელმძღვანელოები და მითითებები, როგორ გამოავლინონ ძალადობის სხვადასხვა ფორმები, რა შეკითხვები დაუსვან ან როგორ დაამყარონ ურთიერთობა პოტენციურ მსხვერპლთან; განსაკუთრებით მაშინ, თუ ადგილი აქვს ძალადობის ისეთ ფორმას, რომელიც ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგალითად, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა. ამასთან, არსებული სტიგმები და სირცხვილის გრძობაც აიძულებს ქალებს, დამალონ ძალადობის ფაქტები. რეაგირების მექანიზმები ფიზიკური ძალადობის ფაქტების გამოვლენაზეა დამოკიდებული და ექიმები ვალდებულნი არიან, ასეთი შემთხვევების დროს, მსხვერპლის სურვილის მიუხედავად, პოლიციაში განაცხადონ.

სხვა კვლევებიდან ჩანს, რომ ქალებისთვის მომსახურების მიღების ბარიერები სამედიცინო პერსონალის დამოკიდებულებებიდან მომდინარეობს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობას ამართლებენ და უთანასწორო შეხედულებები აქვთ სექსსა და სექსუალურ ძალადობაზე.¹¹¹

თვისებრივი ინტერვიუები, მთლიანობაში, ცნობიერების დაბალ დონეზე მიაწინებს მომსახურებების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. ცნობიერების ამაღლების ბოლოდროინდელი კამპანიების

მიუხედავად, ქალებს კვლავაც აკლიათ ინფორმაცია სხვადასხვა დონეზე მხარდაჭერის მექანიზმების არსებობის შესახებ. მსხვერპლთა უმეტესობას, თავშესაფარში განთავსებამდე, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დონეზე არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. დახმარების მომსახურების შესახებ ცოდნა და ინფორმირებულობა ადგილობრივ დონეზეც შეზღუდულია. ხშირად თავშესაფრები ძალადობაგადატანილი ქალებისთვის ერთ-ერთ უსახლკართო და ღარიბთათვის განკუთვნილ თავშესაფრებში. ამასთან, არსებობს გარკვეული შიშიც მომსახურების მომწოდებლების მხრიდან, რომ მომსახურების შესახებ ცნობიერების ამაღლებამ, მოთხოვნის გაზრდის გამო, შესაძლოა, ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს.

მთლიანობაში, გამოიკვეთა, რომ ქალები საზოგადოების მხრიდან ძალიან მცირე მხარდაჭერას იღებენ. როგორც თვისებრივი გამოკითხვებიდან ჩანს, მათ აკლიათ სოციალური კავშირები და მხარდაჭერა უახლოესი ადამიანებისგანაც კი, როგორცაა: ოჯახის წევრები, თანამშრომლები და დამსაქმებლები. საქართველოს კონტექსტში სოციალური კავშირები და სოციალური კაპიტალი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ფორმალური ინსტიტუტები. ყველა სახის პრობლემა პირადი კავშირებით უფრო მეტად წყდება, ვიდრე ოფიციალური მხარდაჭერით. ამ თვალსაზრისით, სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობა ძალადობის მსხვერპლს მართო ტოვებს პრობლემის წინაშე.

დღეისათვის არსებულ მომსახურებებზე ქალების წვდომის ბარიერების შესამცირებლად აუცილებელია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. კვლევით დგინდება, რომ დახმარების თხოვნით ქალთა მხოლოდ მცირე რაოდენობა მიმართავს ოფიციალურ უწყებებს, როგორცაა პოლიცია და სამედიცინო დაწესებულება. ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების უფრო დელიკატური და ქმედითი განხილვისთვის ამგვარი მომსახურებების ხელმისაწვდომობის ზრდაა საჭირო. ძალადობასთან დაკავშირებულ შემთხვევებში ჩარევას, ამჟამად, ხელს უშლის გავრცელებული კულტურული და სოციალური შეხედულებები ქორწინებაში მყოფი ქალის სტატუსთან დაკავშირებით. ამგვარი შეხედულებები, სამწუხაროდ, იმ საჯარო მოხელეებშიც არის გავრცელებული, რომელთაც შესაბამის საკითხებზე რეაგირება ევალებათ.

111 Anti-Violence National Network Georgia & Estonian Institute for Social Research, 2008.

თავი 10. ქალთა მიმართ ძალადობა

მონყვლად ჯგუფებში: თვისებრივი

კვლევის მიგნებები

ქალების განსხვავებულმა ჯგუფებმა ძალადობა, შესაძლოა, განსხვავებულად გამოსცადონ. ზოგიერთ გარემოში და ზოგიერთ სოციალურ ჯგუფში გენდერული უთანასწორობა დისკრიმინაციისა და ჩაგვრის ისეთ ფორმებთან იკვეთება, როგორცაა: ასაკი, უნარები, სექსუალურობა, ეროვნება, რელიგია, სოციო-ეკონომიკური სტატუსი და სხვა. ამის გამო, მნიშვნელოვანია დეტალური წარმოდგენა გვქონდეს საქართველოში, სხვადასხვა ჯგუფებში, ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორებზე, რათა ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების ინიციატივები სწორად და ეფექტიანად მოვარგოთ ადამიანთა ყველა სამიზნე ერთობლიობას.

ეს თავი მოიცავს თვისებრივი კვლევის მიგნებებს მონყვლადი ქალების, მათ შორის, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი (ლბტ) ქალების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და იმიგრანტი ქალების ჩათვლით. თუმცა ეს მიგნებები აღნიშნული ჯგუფების მიმართ ძალადობის გავრცელებას კი არ აღწერს, არამედ მათ წარმომადგენელთა მიერ განცდილ ძალადობის ფორმებზე, ხასიათსა და თავისებურებებზე საუბრობს.

10.1 ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებში

თვისებრივ კვლევაში სხვადასხვა ფორმის ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევების მქონე ქალები მონაწილეობდნენ. ამ ჯგუფის ქალებში ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებად იზოლაცია, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური და

ფიზიკური ძალადობა გამოვლინდა. მიგნებებიდან ჩანს, რომ ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებში მჭიდროდ უკავშირდება ოჯახზე მათ დამოკიდებულებასა და დამოუკიდებლობის ნაკლებობას, განსაკუთრებით კი, ფინანსურ დამოუკიდებლობას. სოციალური ნორმები და მიდგომები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებზე სტერეოტიპებს აყალიბებს და მათ სტიგმატიზებას ახდენს, ამ ქალების სოციალურ იზოლაციასა და დისკრიმინაციას უწყობს ხელს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ სივრცეში.

„შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უმეტესობა გარიყულია და მიჯაჭვულია სახლს. ისინი იშვიათად ან საერთოდ არ ტოვებენ საცხოვრებელს. ისინი სტიგმის და სტერეოტიპების მსხვერპლნი არიან ოჯახში, მეზობლებში და ნათესავებშიც კი. საქართველოში ძალიან რთულია იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი, რადგან საზოგადოების მხრიდან ძალიან ბევრი ბარიერია, ფიზიკური გარემოდან დაწყებული და საკანონმდებლო საკითხებით დასრულებული“.

(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის შეზღუდულია სოციალური ურთიერთობებიც. ისინი პირად სივრცეში არიან ჩაკეტილი და იშვიათად აქვთ სახლიდან გასვლის საშუალება. მათ ბავშვობიდან ეუბნებიან, რომ ოჯახი ყველაზე უსაფრთხო ადგილია და საჭირო მზრუნველობასა და მხარდაჭერასაც ოჯახის წევრები გაუწევენ. შეზღუდული შესაძლებლობის ქალები მეტი ალბათობით განიცდიან ოჯახის წევრების მხრიდან კონტროლს – სად წავიდნენ, რა ჩაიცვან – შეზღუდვების ჩათვლით.

„სქესს მნიშვნელობა არ აქვს, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხარ, ეს ნიშნავს, რომ სტიგმატიზებული ხარ და ამ სტერეოტიპებით უნდა იცხოვრო. გიყურებენ როგორც პაციენტს, დარღვევებით. საზოგადოების უმეტესობისთვის სოციალურად შენ მკვდარი ხარ“.

(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

სტერეოტიპებთან ერთად ხელმძღვანელობელი სათანადო ინფრასტრუქტურაც (მაგ.: ტრანსპორტი, შენობები, ქუჩები) ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს საჯარო ადგილებში თავისუფლად გადაადგილებაში, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ დამოკიდებულებას ოჯახზე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს შორის გავრცელებულია ფსიქოლოგიური ძალადობაც. ოჯახის წევრებზე დამოკიდებულება მათ დაუცველობასა და ძალაუფლების დისბალანსს ამწვავებს. რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ოჯახის წევრები ხშირად უწყვეტდნენ ან ემუქრებოდნენ, რომ შეუწყვეტდნენ მომსახურებას ან მკურნალობას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს ხშირად მიტოვებით ან იძულებითი ჰოსპიტალიზაციით ემუქრებიან, რადგან მიჩნეულია, რომ მათ საკუთარ თავზე ზრუნვა არ შეუძლიათ. ასეთ მუქარას კი მანიპულაციისა და კონტროლისათვის იყენებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით:

„მე წავალ და მართო დარჩები – ყველაზე დიდი მუქარაა“.

(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები ეკონომიკურ ძალადობასაც განიცდიან. თვისებრივი გამოკითხვების დროს რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები უფრო ძლიერი ეკონომიკური ძალადობის ქვეშ არიან, ვიდრე სხვა ქალები, რადგან მათ დასაქმების შესაძლებლობები შეზღუდული აქვთ. გარდა ამისა, ოჯახის ქონება ტრადიციულად, მემკვიდრეობით, კაცებს გადაეცემათ, ამდენად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს უფრო ნაკლები ალბათობით

აქვთ შემოსავალი ან მემკვიდრეობაზე წვდომა, რაც მათ ოჯახის წევრების კეთილ ნებაზე დამოკიდებულს ხდის.

10.1.1 ინსტიტუციური ძალადობა

თვისებრივი კვლევის მიგნებები გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური დარღვევების მქონე ქალები მეტი ალბათობით განიცდიან ძალადობის ისეთ მძიმე ფორმებს, როგორცაა ფიზიკური და სექსუალური ძალადობა. როგორც რესპონდენტებმა განაცხადეს, ქალები, რომლებიც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ცხოვრობენ, უფრო ხშირად განიცდიან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას სამედიცინო პერსონალისა თუ სხვა პაციენტების მხრიდან. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა:

„მე მონმე ვარ, როგორც სცემდნენ იქ ქალებს... სწრაფად უნდა მოიფიქრო, როგორ გაეცე აგრესიულ პაციენტებს. ან როგორ იყო მშვიდად, როცა იქ ექთნები არიან, როგორ მიიღო მხაპი ცივი წყლით და შეინახო საკვები“.

(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

10.1.2 მომსახურებებზე წვდომა

ძალადობის შემთხვევაში ფსიქიკური დარღვევების მქონე ქალები სახელმწიფო თავშესაფარში არ გადაწყავთ. სამართლებრივად, თავშესაფრის ადმინისტრაციისთვის ნებადართულია ფსიქიკური დარღვევების მქონე ქალის მიღება თუ დადგინდა, რომ იგი ძალადობის მსხვერპლია. მაგრამ მომსახურების მიმწოდებლების თქმით, უმეტეს შემთხვევაში, პოლიციას ისინი პირდაპირ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მიჰყავთ.

საველე ექსპერტის სიტყვებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის სახელმწიფოს არა აქვს სამედიცინო დახმარების სისტემა (სპეციალიზებული მედიცინის ჩათვლით). მართალია, ზოგიერთი ცენტრი ფიზიკურად მისაღვლია, მაგრამ მათი მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების საჭიროებებზე მორგებული არა არის. სამედიცინო პერსონალს ინფორმაცია არ აქვს მათთან ურთიერთობასა და, ზოგადად, პრობლემასთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა, ნეგატიურად მოქმედებს მომსახურების ხარისხზე.

სამედიცინო მომსახურებებთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, გამოწვევები პოლიციის მხრიდან დახმარების მიღების კუთხითაც არსებობს. როგორც ფაქტების მონაწილეები ამტკიცებდნენ, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი პოლიციას ძალადობის საკითხზე უკავშირდება, პოლიცია არასდროს ეკონტაქტება უშუალოდ მას, რადგან მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალს დამოუკიდებლად არ შეუძლია პოლიციასთან ურთიერთობა. შესაბამისად, პოლიცია ურთიერთობას ოჯახის წევრებთან ამყარებს, რომლებიც, უმეტესწილად, თვითონ არიან მოძალადეები. პრობლემაა ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალს კი სურს დაშორდეს მოძალადეებს, მაგრამ არსად აქვს წასასვლელი:

„თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი გახდა მსხვერპლი, პოლიციაში დარეკვა აბრს მოკლებულია, რადგან მას წასასვლელი მაინც არსად არ აქვს. მაშინაც კი, თუ ის მეუღლეს ან მამას უჩივის, მას არ აქვს შესაძლებლობა, უარეს ან უკეთეს ადგილას გადავიდეს“
(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე).

10.2 ძალადობა ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი (ლბტ) ქალების მიმართ

თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა ლბტ ქალებმაც მიიღეს. ყველაზე ხშირად მათ მიერ დასახელებული ძალადობის ფორმები იყო იზოლაცია, დისკრიმინაცია და ფსიქოლოგიური ძალადობა. თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის სოციალური ინტეგრაციის ბარიერი შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა და ოჯახური დამოკიდებულებებია, ლბტ ქალების განცხადებით, ყოველდღიური ცხოვრებიდან ისინი საზიანო სოციალური ნორმების გამო არიან გარიყული. არსებულ სოციალურ მოლოდინებთან (რაც ნიშნავს ქალად ყოფნა) შეუსაბამობის გამო, ლბტ ქალები დეჰუმანიზებული და დეპერსონალიზებული არიან საზოგადოების მიერ. როგორც ერთმა ტრანსგენდერმა რესპონდენტმა განაცხადა:

„რადგან ტრანსგენდერი ქალი ვარ, ჩემი პრობლემა იმაშია, რომ მე მაიძულებენ ის ვიყო, რაც არ ვარ. ეს უძლიერესი ფსიქოლოგიური ძალადობაა. ამას ფიზიკური ძალადობა მირჩევნია“
(ლბტ ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

ლბტ ქალებმა განაცხადეს, რომ ისინი ძალადობას განიცდიან სხვადასხვა ადგილას, მათ შორის ოჯახში, სამუშაოზე და საჯარო ადგილებში. ლბტ ბავშვები განიცდიან იზოლაციას, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, როგორც სასჯელს სოციალურად მისაღებ ქცევასა და ჩვეულებებთან შეუთავსებლობისათვის. თვისებრივი კვლევით დადგინდა, რომ ზენოლა განსაკუთრებით მაღალია ბიჭებზე, რადგანაც გოგონები, რომლებიც კაცურ თვისებებს ამჟღავნებენ, „ქალბიჭებად“ აღიქმებიან და მათ მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ გაიზრდებიან და შეიცვლებიან. ამასთან, საქართველოსნაირ პატრიარქალურ საზოგადოებაში მეტი ტოლერანტობით ექცევიან გოგონებში კაცურ თვისებებს, ხოლო ბიჭებში „ქალური“ საქციელი სამარცხვინოდ აღიქმება და განიკიცება როგორც ოჯახის, ისე საზოგადოების მხრიდან. შედეგად, ბავშვები თავიანთი ოჯახის წევრებისგან ზოგიერთი ქცევის დაფარვას სწავლობენ.

დისკრიმინაცია და ძალადობა სოფლის თემში მცხოვრები ლბტ ქალების მიმართ უფრო გამოკვეთილია. დაოჯახების სოციალური ზენოლა და ვალდებულებები საქართველოში სოფლად უფრო ძლიერია. ლბტ ქალები იძულებული არიან, თავიანთი სექსუალური ორიენტაცია დამალონ ან ქალაქში გადასახლდნენ.

„გეტყვით ჩემს შემთხვევას. სახლიდანაც კი გამომაგდეს და ა.შ... ეს წლობით გრძელდებოდა. თავდაპირველად მათ ძალიან ცუდი რეაქცია ჰქონდათ, მაგრამ გარკვეული დროის მერე მიეჩვივნენ“
(ლბტ ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

რესპონდენტებმა ასევე განაცხადეს სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროებისა და საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიკური ძალადობის შესახებ. მათი თქმით, ტრანსგენდერი ქალები უფრო მეტი ალბა-

თობით ერთვებიან პროსტიტუციაში და კლიენტების მხრიდან ფიზიკური ძალადობის უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან.

„სადაც არ წავედი, არა მართო ფსიქოლოგიურ, არამედ სექსუალურ შევიწროებას წავეწყდი, მსგავსად “შეხედე რა ქალია, კარგი იქნებოდა მასთან დაწოლა.“

(ლბტ ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

10.2.1 ეკლესიისა და მედიის გავლენა

რესპონდენტების თქმით, სტერეოტიპები და სტიგმა, რომლებსაც დისკრიმინაციისა და ფსიქოლოგიური ძალადობისკენ მივყავართ, უმეტესად, განპირობებულია ლბტ თემებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობით, მედიის როლითა და მზარდი რელიგიური ზეგავლენით. ეკლესიას უზარმაზარი გავლენა აქვს საზოგადოებაში, ხოლო ლბტ ქალების ირგვლივ მის მიერ შექმნილი დისკურსი მათ ამორალურებად აღწერს.

მედიის არაკომპეტენტურობა და ინფორმაციის ნაკლებობა დასახელდა ძირითად ფაქტორებად, რომლებიც საზოგადოების დამოკიდებულებაზე მოქმედებს და ძალადობრივ ფონს ქმნის ლბტ ქალების მიმართ. ამ ქალების პრობლემების გარშემო საზიანო სტერეოტიპები გამოიყენება, ხოლო არაკვალიფიციური მოსაუბრეებისგან მცდარი ინფორმაცია და გზავნილები ისმის. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო პროგრამებში სექსუალური განათლებისა და სექსუალური უმცირესობების საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდა.

„ინფორმაციის არარსებობა სერიოზული პრობლემაა, განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვის, ვინც არ არის ჰეტეროსექსუალი და არ ესმით, რა ჯიშით. ისინი ეძებენ ინფორმაციას ინტერნეტში, მაგრამ ბავშვებმა უნდა იცოდნენ, როგორ გაფილტრონ ეს ინფორმაცია. ერთ რამეს იგებენ თავიანთი გარემოცვისგან, ათას რამეს კითხულობენ ინტერნეტში და არ იციან, რას დაუჯერონ“.

საკვლე ექსპერტი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე

10.2.2 მომსახურებებზე წვდომა

დისკრიმინაცია, რომელსაც ლბტ ქალები განიცდიან, ძალადობის რისკს ზრდის და მომსახურებების განწვევის კუთხით ბარიერებს ქმნის მათთვის. ლბტ საზოგადოების საჭიროებები არ არის სათანადოდ გაცნობიერებული და გათვალისწინებული პოლიტიკის დონეზე; დახმარების ნაკლებობა აღინიშნება მომსახურებების მიმწოდებელთა მხრიდანაც. ამ ფონზე ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება პრობლემის გადაჭრისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, ის თავს უფრო უსაფრთხოდ იგრძნობს და ეცოდინება, რომ სამუშაო ადგილას დისკრიმინაციის შემთხვევაში, შეუძლია, დამქირავებელს უჩივლოს. ამასთან, თვისებრივმა განხილვებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს ლბტ ქალების ძალადობისგან დაცვის სათანადო მექანიზმები არ აქვს. დისკრიმინაციის შემთხვევაში ლბტ და, განსაკუთრებით, ტრანსგენდერი ქალები, ჰომოფობიური დამოკიდებულებების გამო, პოლიციაში ვერ რეკავენ. ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, პოლიციაში დარეკვას, ძირითადად, აზრი არ აქვს, რადგან ისინი თვითონ ძალადობენ ლბტ საზოგადოების წევრებზე. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა:

„პოლიციამ დამაკავა. წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და მაიძულეს პორნოგრაფიული ფილმების ყურება“. (ლბტ ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

პოლიციელებს შორის ცნობიერების ნაკლებობის გარდა, პრობლემებია მომსახურებების მიწოდებაშიც. სპეციალისტები, მეტწილად, არაკომპეტენტურად არიან მიჩნეული ლბტ საკითხების განხილვის თვალსაზრისით. ფსიქოლოგებს ხშირად არ გააჩნიათ ან აქვთ არასწორი ინფორმაცია გენდერზე და სექსუალობაზე; მათ, ასევე, აკლიათ ლბტ ქალებთან მუშაობის გამოცდილება; უფრო მეტიც, ტრანსგენდერები არ არიან აღიარებული ცალკე ჯგუფად, განსაკუთრებული საჭიროებებით, როგორცაა, მაგალითად, სქესის შეცვლის ოპერაცია.

10.3 ძალადობა ეთნიკური უმცირესობის ქალთა მიმართ

ეთნიკური უმცირესობის განსაკუთრებული საჭიროებების დასადგენად, თვისებრივი კვლევა ჩატარდა აზერბაიჯანულ ქალთა ჯგუფთან. ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალები ქართულ საზოგადოებაში კარგად ინტეგრირებული არ არიან. ძალიან მცირე რაოდენობის აზერბაიჯანული ოჯახია შერეული ქართულ ოჯახებთან, ხოლო მათი საზოგადოების წარმომადგენლები, უმეტესად, არ საუბრობენ ქართულად. შესაბამისად, აზერბაიჯანელი ქალები და კაცები, მათი ეთნიკური წარმომავლობიდან გამომდინარე, არსებით დისკრიმინაციას განიცდიან. აზერბაიჯანელი ქალები უფრო მეტად განიცდიან ძალადობას საზოგადოებაში. ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები, რომელიც თვისებრივი კვლევით დადგინდა, არის: იძულებითი ქორწინება, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, ისევე, როგორც ფიზიკური და სექსუალური ძალადობა. მოძალადეებს შორის სახელდებიან მშობლები, ოჯახისა და ადგილობრივი თემის წევრები.

10.3.1 იძულებითი ქორწინება

ადრეული ქორწინება აზერბაიჯანულ საზოგადოებაში მიღებული ტრადიციაა. გარდა იმისა, რომ ქალებს ადრეული გათხოვება მოეთხოვებათ, ფართოდ არის გავრცელებული იძულებითი ქორწინებაც და ახალგაზრდა ქალები, ჩვეულებრივ, მათი მშობლების მიერ შერჩეულ კაცზე თხოვდებიან. თვისებრივი კვლევის მიხედვით, ადრეული ქორწინების ორი უმთავრესი მიზეზი არსებობს: ყურანის არასწორი ინტერპრეტაცია, საიდანაც მოდის დაშვება, რომ ქალი ადრეულ ასაკში უნდა გათხოვდეს და რძლის ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ოჯახისთვის დამატებით მუშახელს წარმოადგენს.

10.3.2 ძალადობა მეუღლის/პარტნიორის და ოჯახის მხრიდან

ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა ძალადობის გავრცელებული ფორმებია, რომელსაც აზერბაიჯანელი ქალები განიცდიან ოჯახში. რძლები ოჯახში ყველაზე დაბალ სოციალურ საფეხურს იკავებენ. მათგან, ასევე, მოელიან ბავშვის დაბადებას ქორწინებიდან ერთი წლის პერიოდში. თუ ასე არ

ხდება, აზერბაიჯანულ ქალებს უნაყოფობაში ან სხვა სერიოზულ პრობლემებში ადანაშაულებენ. ეკონომიკური ძალადობა კი გავრცელებულია როგორც პარტნიორის/მეუღლის, ასევე, ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. შრომის ტრადიციული დაყოფა ძლიერია აზერბაიჯანულ ოჯახებში და ქალები, ჩვეულებრივ, სახლს არიან მიჯაჭვული. შედეგად, ისინი ფინანსურად დამოკიდებულები ხდებიან მეუღლეებზე და ოჯახზე და საკუთარი შემოსავალი არ გააჩნიათ. როგორც ერთმა აზერბაიჯანელმა ქალმა განაცხადა:

„ზუსტად იგივე ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში. რატომ დავინყე მუშაობა? იძულებული ვიყავი. თუ რამე მჭირდებოდა, რამდენიმეჯერ უნდა მეთხოვა. ზოგჯერ მაძლევდნენ ფულს, ზოგჯერ არა. მე ვთვლი, რომ ეს საკმაოდ ძლიერი ეკონომიკური ძალადობაა, რომელსაც თან ახლავს ფსიქოლოგიური ძალადობა, რადგანაც თავს განადგურებულად გრძნობ“.
(ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

თვისებრივი განხილვების დროს აზერბაიჯანელმა ქალებმა სექსუალური ძალადობის შესახებაც განაცხადეს. მეუღლის მიერ გაუპატიურება დანაშაულად არ აღიქმება და მკაცრი გენდერული ნორმების თანახმად, ქალს უფლება არა აქვს, უარი თქვას მეუღლესთან სქესობრივ კავშირზე. ის ქალები კი, ვინც მეუღლეებს ეწინააღმდეგებიან, ხშირად ფიზიკურ ძალადობას განიცდიან. აზერბაიჯანელი რესპონდენტის თქმით:

„ქალი უნდა იყოს მორჩილი, არასდროს არ უნდა შეეწინააღმდეგოს მეუღლეს. თუ შეეწინააღმდეგება, შესაძლოა სცემონ. 100-იდან 80 შემთხვევაში ფიზიკური ძალადობა ოჯახში სქესობრივ კავშირზე უარის თქმის გამო ხდება (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

აზერბაიჯანელი ქალები მრავალი სახის ურთიერთდაკავშირებულ და ერთდროულად განხორციელებულ ძალადობას განიცდიან, ხშირად გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც ერთმა აზერბაიჯანელმა ქალმა განმარტა:

„ადგილი აქვს ძალადობის სახეცვლილებას. თუ 20 წლის ასაკში ცოლს მეუღლე სცემს, 50 წლის ასაკში მან შეიძლება აღარ სცემოს, მაგრამ სხვა სახით იძალადოს მასზე. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მხოლოდ ახალგაზრდა ქალები განიცდიან ძალადობას. სახეცვლილებაა. შესაძლოა ის არ იყოს ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი იყოს. საქმეც ეგაა. ძალადობის ფორმა იცვლება, მაგრამ ძალადობა რჩება“.

(ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

10.3.3 მომსახურებაზე წვდომა

ცოდნის ნაკლებობა და მომსახურებებზე წვდომა აზერბაიჯანელი ქალებისთვის მომსახურებების მიწოდების ძირითად ბარიერებად დასახელდა სოფლადაც და ქალაქადაც. ქალების ძალიან მცირე რაოდენობამ იცის, რა არის ძალადობა, ვინ არის მსხვერპლი და რა უნდა გააკეთო ძალადობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია და სხვა გადაუდებელი დახმარების სამსახურები ხელმისაწვდომია აზერბაიჯანელი ქალებისთვის, ასევე, შემაკავებელი და დამცავი ორდერებიც ნათარგმნია აზერბაიჯანულ ენაზე, ქალების მაინც ძალიან მცირე რაოდენობა მიმართავს ფორმალური დახმარების გზებს. ამასთან ერთად, თავშესაფრებში მთარგმნელობითი მომსახურების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ქალები, უმეტესწილად, თავს იკავებენ თავშესაფრებით სარგებლობისაგან. სინამდვილეში, ის ქალებიც, ვინც იყენებს ამგვარ მომსახურებებს, ძირითადად, წყვეტენ პროცესს, სანამ ის ოფიციალური გახდება. ამის შედეგად კი წარმოიქმნება ხარვეზები მომსახურებების მიწოდების თვალსაზრისით და ძალადობის შემთხვევები გადაუწყვეტელი რჩება.

10.4 ძალადობა იმიგრანტი ქალების მიმართ

იმიგრანტი ქალებს შორის ძალადობის შესასწავლად თვისებრივი ინტერვიუები ჩატარდა ქალებთან ერაყიდან და ეგვიპტეიდან. მთლიანობაში, მათ დადებითად ისაუბრეს საქართველოს გამოცდილების შესახებ და აღნიშნეს, რომ ძალადობა როგორც მეუღლის/პარტნიორის, ისე არაპარტნიორის მხრიდან, ფართოდაა გავრცელებული მათ მშობლიურ ქვეყნებში.

რესპონდენტებმა, ვინც განაცხადა, რომ დისკრიმინაცია და ძალადობა მსუბუქ ფორმებში გამოუცდიათ, ისაუბრეს თავიანთ ინტეგრაციაზე ქართულ საზოგადოებაში. ქალთა ნაწილმა აღნიშნა, რომ საქართველოში ჩამოსვლამ გარკვეული თავისუფლება მიანიჭა მათ, რადგან აქ თავისუფლად შეუძლიათ ქუჩაში გადაადგილება და ქალიშვილების სკოლაში მარტო გაშვება. რესპონდენტის მონაცოლიდან:

„ჩვენს ქვეყანაში ქალები თავისუფლად არ დადიან ქუჩებში. როდესაც პირველად ჩამოვედით, ჩემს ქმარს მანქანით მიყავდა ჩვენი ქალიშვილი სკოლაში, ელოდებოდა და უკან მოყავდა. ახლა ჩვენი შვილი ავტობუსით მარტო დადის სკოლაში. ერაყში შეუძლებელია გოგონასთვის ან ქალისთვის, ასე თავისუფლად იაროს“.

(იმიგრანტი ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

იმიგრანტი ქალების მიერ დასახელებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები ენასა და დასაქმების შესაძლებლობებს ეხება. შრომის ტრადიციული დანაწილება ოჯახის შიგნით, იმიგრანტი ქალების ამ ჯგუფისთვის ნიშნავს, რომ ქალებს არ აქვთ შესაბამისი უნარები და გამოცდილება დასაქმებისათვის. ამას

დამატებული ენობრივი ბარიერი და უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით ართულებს სამუშაოს მოძიებას. რესპოდენტი ქალის მონაყოლიდან:

„ქალისთვის უფრო რთულია სამსახურის პოვნა, განსაკუთრებით, არაბი ქალისთვის. რადგან მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, ის რჩება სახლში და უვლის ოჯახს და ესაა მისი პირდაპირი მოვალეობა. პირადად მე, განათლება კომპიუტერული ტექნოლოგიების განხრით მაქვს, მაგრამ არ ვმუშაობ. სახლში ვარ და ბავშვებს ვუვლი. ზოგადად, არაბი კაცები ამჯობინებენ, რომ მათი ცოლები სახლში ოჯახს უვლიდნენ და არ მუშაობდნენ“.
(იმიგრანტი ქალი, ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

იმის მიუხედავად, რომ იმიგრანტი ქალების გამოცდილება საქართველოში, მთლიანობაში, დადებითია, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვისებრივ კვლევაში შევიდა მხოლოდ მუსლიმური ქვეყნების კონფლიქტური რეგიონებიდან ჩამოსული ქალების მოსაზრებები. მათი გამოცდილება, შესაძლოა, განსხვავდებოდეს სხვა იმიგრანტი ქალების გამოცდილებისგან. ამასთან, კვლევის ფოკუსი იყო იმიგრანტი ქალების გამოცდილების შესწავლა იმიგრანტის, და არა ძალადობის მსხვერპლის, გადმოსახედიდან. ეს კი ნიშნავს, რომ რამდენიმე ქალის მიერ, საქართველოში გადმოსახლების შემდეგ, პარტნიორის/მეუღლის ან არაპარტნიორის მხრიდან ძალადობის გაცხადების მიუხედავად, ამ გამოცდილების ყველა იმიგრანტ ქალზე განზოგადება შეუძლებელია.

თავი 11. დასკვნები და რეკომენდაციები

2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში პირველი სრულმასშტაბიანი კვლევაა 2009 წლის შემდეგ, რომელიც ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების დონეს და ქალების ჯანმრთელობაზე მისი შედეგების გავლენას შეისწავლის. ამ ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ქალები მეუღლე/პარტნიორი კაცების მხრიდან ძალადობის უდიდესი რისკის ქვეშ არიან. ქალები ძალადობას, განსაკუთრებით კი, სექსუალურ შევიწროებასა და ადევნებას, არაპარტნიორების მხრიდანაც განიცდიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სექსუალური შევიწროება არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა, ქვეყანაში ამჟამად არ არსებობს სექსუალური შევიწროების სამართლებრივი განმარტება და სექსუალური შევიწროებისაგან დამცავი კანონმდებლობა.

კვლევის შედეგებიდან ვლინდება, რომ როგორც ქალები, ასევე კაცები მაღალ მიმდებლობას ამჟღავნებენ ურთიერთობებში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით და სქესობრივი კავშირისა და სექსუალური ძალადობის შესახებ უთანასწორო შეხედულებებს ავლენენ. ის ფაქტი, რომ ძალადობა გამართლებულად მიიჩნევა როგორც კაცების, ისე ქალების მიერ, მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის და არსებული გენდერული უთანასწორობის უფრო ფართო სოციო-კულტურულ ფენომენს ასახავს.

საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, ქალების მიერ გაცხადებული ძალადობის მაჩვენებლები საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე ევროპაში. ამასთან, გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებები საქართველოში მნიშვნელოვნად უფრო კონსერვატიულია ევროპის უმეტეს ნაწილთან შედარებით, რაც შეიძლება, ძალადობის გავრცელების გაუმჯობესებაზე მიანიშნებდეს. ის გარემოება, რომ ბავშვობაში გამოცდილი სექსუალური ძალადობის მაჩვენებლებმა ანონიმური მეთოდის საშუალებით გაცილებით მაღალი შედეგი გამოავლინა, იმაზე მიუთითებს, რომ პირისპირ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული ძალადობის მაჩვენებლები, სავარაუდოდ, სრულყოფილად ვერ ასახავს ძალადობის რეალურ მაჩვენებლებს.

გემოსხენებულის მიუხედავად, 2017 წლის კვლევის შედეგებმა გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებებსა და პრაქტიკებში ცალსახად დადებითი ტენდენციები გამოავლინა. 2009 წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ:

- გენდერული დამოკიდებულებები ნაკლებად კონსერვატიულია;
- ახალგაზრდა თაობის ნარმომადგენელი ქალები და კაცები უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ;
- იკლო იმ ქალთა წილმა, რომლებიც მოძალადე ქმრებთან რჩებოდნენ, რადგან მიიჩნეოდნენ, რომ ძალადობა ნორმალურია;
- გამოვლინდა იმ ქალთა პროცენტული რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებმაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შემთხვევების შესახებ პოლიციაში განაცხადეს.

აღნიშნული შედეგები იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანაში ცნობიერების ამაღლების, ქალთა გაძლიერებისა და უფლებების ხელშეწყობის კუთხით ბოლო ათწლეულის განმავლობაში განუღმმა ძალისხმევამ დადებითი გავლენა იქონია.

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა საჭიროებს იმ ქცევის, შეხედულებებისა და ჩამოყალიბებული ურთიერთობების შეცვლას, რომლებიც გენდერულ უთანასწორობას ამყარებს და ძალადობის ნორმალიზებას ახდენს. გენდერული როლები, რომლებიც შინამეურნეობაში ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას იწარჩენს, საფუძვლად უდევს ქალის მიმართ ძალადობის ნორმალიზებას. ეს, განსაკუთრებით, ოჯახის დონეზე ვლინდება, სადაც ძალადობა ხშირად კაცის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტია. აღნიშნული კი ხაზს უსვამს კაცებსა და ბიჭებთან მუშაობის მნიშვნელობას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის. შედეგები, ასევე, მიგვანიშნებს მართლმსაჯულებისა და ჯანდაცვის მომსახურებების აუცილებლობაზე იმ ქალთა საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად, რომლებმაც ძალადობა ან შევიწროება გამოსცადეს.

რეკომენდაციები	ძირითადი მიგნებები	პროგრამებისა და მიდგომების მაგალითები
<p>რეკომენდაცია 1: ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის აღსრულება და სამართალდამცავი სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება</p>	<p>დროის განმავლობაში სხვადასხვა სამსახურებში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმართვიანობის დონე გაუმჯობესდა, თუმცა ქალთა უმრავლესობა, რომლებიც ძალადობას მუდღის/პარტნიორის მხრიდან განიცდიან, ამის შესახებ შესაბამის ორგანიზებს კვლავ არ ატყობინებენ. სხვა კვლევებიდან ვლინდება, რომ ამის გამოწვევი მიზეზები დაუსჯელობის კულტურა, ძალადობის გამამართლებელი სოციალური ნორმები და პრობლემების პოლიციის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის სენსიტიურობის და სიმძიმის აღქმაში.</p>	<ul style="list-style-type: none"> უზრუნველყოფა, რომ ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა და ყველა სექტორში მოქმედი დაწესებულებების საქმიანობა მიმართული იყოს ქალთა და კაცთა თანასწორობისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ხელშეწყობისკენ; გენდერთან მიმართებით ცნობიერების გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის (შეუღლის მიერ გაუპატიურების საკითხის ჩათვლით) შესახებ ყოვლისმომცველი ტრენინგის ინტეგრირება პოლიციის, სამართალდამცავი უწყებებისა და სამართლებრივ სფეროში მომუშავე სხვა ინსტიტუტების სასწავლო პროგრამებში; ინვესტირება საზოგადოებრივ უროგრამებში, რომლებიც ფოკუსირებული იქნება: ქალებისა და კაცების ინფორმირებაზე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის შესახებ, ძალადობის პრევენციასა და ინდინიდალური რისკ ფაქტორების განსაზღვრაზე; სრულყოფილი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება მართლშემაჯობის სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად.
<p>რეკომენდაცია 2: ქალთა მიმართ ძალადობის მიმდევლობასთან და პარტნიორულ ურთიერთობებსა და ოჯახში ქალების დაქვემდებარებულ როლთან დაკავშირებული სოციალური ნორმების შეცვლა</p>	<p>კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ქალები და კაცები ქალთა მიმართ ძალადობასთან მიმართებით მძალა შემყნარებლობასა და მიმდევლობას აცხადებენ; ასევე - სქესობრივი კავშირისა და სექსუალური ძალადობის მიმართ უთანასწორო შეხედულებებს ამჟღავნებენ.</p> <p>„პატრონის“ ცნება ქალებს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს და ამზავებს გენდერულად უთანასწორო ნორმებს და ქმედებებს, რომლებიც როგორც პარტნიორის/მეუღლის, ისე არაპარტნიორის მხრიდან ძალადობას უწყობს ხელს.</p>	<ul style="list-style-type: none"> გაეროს პრევენციის ჩარჩო ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი, მრავალსექტორული და მრავალდონიანი მიდგომის საჭიროებას, რომელიც განათლების, სპორტის, მედიისა და სხვა სექტორებს მოიცავს. საწყისი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბმულიდან: - http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/1/prevention-framework ქალებსა და კაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე მიმართული გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი საზოგადოებრივი პროგრამების შემუშავება იმ სოციალური ნორმების შესაცვლელად, რომლებიც გენდერულ უთანასწორობასა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობას ამყარებს; უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროგრამებს, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირს შეუწყობს ხელს; ადგილობრივ საზოგადოებებთან დიალოგის ხელშეწყობი მიდგომების გამოყენება, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას ამ საზოგადოების კუთვნილ და მის მიერ ნარმატიულ საკითხად აქცევს; იმ ადამიანებთან მუშაობა, რომელთაც საზოგადოებაზე კულტურული გავლენა აქვთ, მათ შორის: ადგილობრივ ლიდერებთან (კისაც ქალები ყველაზე ხშირად მიმართავენ დახმარებისთვის), რელიგიურ ლიდერებთან და მედიასა და პოპულარულ კულტურაში დადებითად წარმოჩენილ პირებთან - ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მათი სწავლებისა და ცალკეულ შემთხვევებზე ქმედითი რეაგირების მიზნით.
<p>რეკომენდაცია 3: არაძალადობრივი ხასიათის კაცის იმიჯის ხელშეწყობა, რომელიც ორენტირებულია თანასწორობასა და პატივისცემაზე</p>	<p>ბევრ კაცს ძალადობისადმი კვლავაც ტოლერანტული დამოკიდებულება აქვს და გაუპატიურების გარშემო არსებული მითების სჯერა.</p>	<ul style="list-style-type: none"> გოგონებთან და ბიჭებთან სხვადასხვა სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების განხორციელება პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ხელშეწყობის და ყველა ქალისა და გოგონის-დაფასების, პატივისცემისა და გაძლიერების მატარებელი სოციალური ნორმების დასამკვიდრებლად; თინეიჯერი ბიჭების მსგავს ჯგუფებთან მუშაობა ურთიერთობებში თანხმობის უკეთესი გაგების ხელშეწყობისა და გაუპატიურებასთან დაკავშირებული ცრურწმენებისა და პრაქტიკის დაგმობის მიზნით; მამრობითი სქესის ცნობილ სახეებთან და ადგილობრივ ლიდერებთან გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი მუშაობა „ნამდვილი კაცის“ ცნების დადებითი ასპექტების ხელშეწყობად.

რეკომენდაციები	ძირითადი მიზნები	პროგრამებისა და მდგომარეობების მაგალითები
<p>რეკომენდაცია 4: ჯანდაცვის სექტორის როლის გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების და პრევენციის რეაგირების თვალსაზრისით</p>	<p>ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი პირველი საკონტაქტო პირები არიან ქალებისათვის, რომლებმაც ძალადობა ან სექსუალური თავდასხმა განიცადეს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან. ქალთა ერთმა მესამედმა, ვინც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ განაცხადა, ძალადობის შედეგად დაზიანებები მიიღო;</p> <p>პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა გადატანილი ქალები გაცილებით უფრო ხშირად ავლენენ ცუდ შედეგებს ფიზიკური, ფსიქიკური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით.</p>	<ul style="list-style-type: none"> გენდერული საკითხების მიმართ ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენელთა, პოლიტიკის მწარმოებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მგრძობელობის გაზრდა; ქალთა მიმართ ძალადობის ჯანმრთელობაზე არსებითი უარყოფითი გავლენისა და აღნიშნულ საკითხებზე რეაგირების თვალსაზრისით ჯანდაცვის სექტორის მნიშვნელოვანი როლის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა (წინამძღვარე ანგარიშის შედეგები, შეიქმნება, ამ საკითხის აღფრთხილებით ძირითად საშუალებად გამოვიყენოთ); ჯანდაცვის სექტორში გენდერულად ორიენტირებული მომსახურების ინტეგრირება, კერძოდ: ჯანდაცვის სექტორის უფლებამოსილებებში ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და მისი პრევენციის საკითხების ინტეგრირება რეპროდუქციული ჯანმრთელობის, დედათა ჯანმრთელობის, ბავშვთა ჯანმრთელობის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ავადმჯობინების პროგრამების საკითხებთან დაკავშირებული ინიციატივების ჩათვლით; ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გრძელვადიანი ზედამხედველობის, ტრენინგებისა და სწავლების ინტეგრირება ჯანდაცვის სექტორის სასწავლო პროგრამებში; კლინიკური სახელმძღვანელოებისა და პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა ქალთა მიმართ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე რეაგირების მიზნით ჯანდაცვის სფეროში, მომსახურებისა და რეფერალის უფასოდ მიღების საშუალების ჩათვლით. პროტოკოლები უნდა ეფუძნებოდეს ჯანმო-ს კლინიკურ და პოლიტიკის შესაბამის გაიდლაინებს: http://bit.ly/1PMxiHb; ტრენინგების გაზრდა კრიზისულ ცენტრებსა და სამედიცინო დაწესებულებებში კვალიფიციური მუშაკების არსებობის უზრუნველყოფის მიზნით; ჯანდაცვის, პოლიციის, მართლმსაჯულებისა და სოციალური მომსახურების სექტორების კოორდინაცია; მსოფლიოში მიღებული გამოცდილების შესწავლა შესაძლებელია გაეროს ქალთა ორგანიზაციის პირველადი მომსახურების (UN Women Essential Services Package) გაცნობით: http://www.UN WOMEN.org/en/digital-library/publications/2015/12/essential-services-package-for-women-and-girls-subject-to-violence.
<p>რეკომენდაცია 5: ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირება და ბავშვისთვის ჯანსაღი ოჯახისა და ძალადობისაგან თავისუფალი გარემოს შექმნის ხელშეწყობა</p>	<p>კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქალთა დიდ რაოდენობას გამოუცლია სხვადასხვა ფორმის ძალადობა ბავშვობაში;</p> <p>თვისებრივი ინტერვიუები გვაჩვენებს, რომ ტრანსგენდერი ბავშვები განიცდიან ფიზიკურ ძალადობას, რადგან არ შეესაბამებოდა სოციალურად აღიარებულ ქცევებსა და ნორმებს;</p> <p>სხვა კვლევები მკაფიოდ ადასტურებს ბავშვთა მიმართ ძალადობასა და ქალთა მიმართ ძალადობას შორის კავშირს. ამიტომ ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე რეაგირება მნიშვნელოვანი რეგენერირება მომავალში ქალთა მიმართ ძალადობისთვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> ბავშვთა აღზრდის პოზიტიური პროგრამების შემუშავება, რომლებიც გამომწვევად არააძალადობრივი და უსაფრთხო ცხოვრებისა და არააძალადობრივი დისციპლინის ხელშეწყობაზე - სხვადასხვა უნარების, საშუალებების, რესურსებისა და მხარდაჭერის გამოყენებით; ყოველმთველი საკომუნიკაციო კამპანიების განხორციელება, რომელიც მიმართულია ბავშვთა მიმართ ძალადობის მიღებლობაზე საზოგადოების მხრიდან; კონფლიქტების მოგვარების, პრობლემების გადაწყვეტის უნარ-ჩვევების, ურთიერთობების ჩამოყალიბების გაუმჯობესებისთვის სხვადასხვა პროგრამების განხორციელება და ურთიერთობებში ჯანსაღი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება; ოჯახში გადაწყვეტილებების მიღებაში ბავშვის მონაწილეობის ხელშეწყობა და ბავშვთა უფლებებისა და მათი დაცვის მომსახურების შესახებ ბავშვთა ინფორმირებულობის გაზრდა.

რეკომენდაციები	ძირითადი მიგნებები	პროგრამებისა და მოდგომების მაგალითები
<p>რეკომენდაცია 6: უსაფრთხო საზოგადოებრივი გარემოს შექმნა ქალებისათვის</p>	<p>სექსუალური შევიწროება და ადგილება დასახელება ქალთა მიმართ არააბარტინორის მხრიდან ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებზე;</p> <p>ქალების განცხადებით, მათ გამოუცდიათ სექსუალური შევიწროება სხვადასხვა გარემოში, თუმცა სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილას ყველაზე გავრცელებულ მოვლენად დასახეულა;</p> <p>დღესდღეობით არ არსებობს სექსუალური შევიწროების სამართლებრივი განმარტება და ქალების დამცავი კანონმდებლობა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სექსუალური შევიწროებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავება და მიღება; • სექსუალური შევიწროების ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება სამუშაო ადგილებზე, შევიწროების ინციდენტებზე რეაგირების ყოვლისმომცველ ტრენინგებსა და შექმნილ შემთხვევებთან ერთად; • პროგრამების განხორციელება ქალებისა და გოგონების უსაფრთხოებისა და მობილობის გასაუმჯობესებლად საჯარო სივრცეში. ყურადღებასიძლევა ქალებისა და გოგონების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; • გავრცელებული ორგანიზაციის უსაფრთხო ქალაქებისა და უსაფრთხო საჯარო სივრცის პროგრამები არის კარგი მაგალითი, რომლის გამოყენება შეიძლება ნიშნად. http://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women/creating-safe-public-spaces;
<p>რეკომენდაცია 7 კოორდინაცია</p>	<p>ქალთა მიმართ ძალადობა ფართოდაა გავრცელებული. ძალადობა საზოგადოების ყველა ჯგუფს მოიცავს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯანმრთელობასა და სოციალურ საკითხებზე. იგი, აგრეთვე, მწვავედ მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების შედეგად ინდივიდუალურ, ადგილობრივ და საზოგადოებრივ დონეზე. ამგვარად, ძალადობაზე რეაგირებისა და პრევენციისათვის საჭიროა ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომის გამოყენება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • გენდერული თვალსაზრისით გამართული კოორდინირებული მექანიზმის ხელშეწყობა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე სამინისტროებს, დაწესებულებებს, მომსახურების მიწოდებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის პრევენციისა და რეაგირების სტრატეგიის შესაქმნელად და ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასავითარებლად; • ადგილობრივი რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ეროვნული სამოქმედო გეგმების ყველა შესაბამის სექტორში განხორციელებისთვის; აგრეთვე, საზოგადოებრივი მხარდაჭერის კავშირების, ქალთა მოძრაობებისა და ორგანიზაციების ჩართულობისთვის; • ყველა სექტორს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მექანიზმების ხელშეწყობა, თანამდებრივობისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, ძალადობაგადატანისათვის განკუთვნილი მომსახურებების გაუმჯობესების მიზნით.



გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
კავსადის ქ. #3, ოფისი #11, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

georgia.unwomen.org
www.unwomen.org